გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru
E-mail: r.jalagania@mail.ru
E-mail: gazetiilori@gmail.com

№374 (433) 2-9 აგვისტო 2016 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე



## სერგი საჯაია: როდესაც მოცემულობა სათავზაროა

გვ.2,5

## დავით ქობალია: ჩვენ სხვა გზა არ გაგვაჩნია, გარდა სიმართლისა!

გვ.9

## ნუგზარ კვაშილავა: უცხო სიტყვათა კოლხური წარმომავლობა

გვ.6



გვ.11

## რატომ არის ფონდ „ივანენას“ ფინანსური ოპერაციები გასაიდუმლოებული?..



## გივი სომხიშვილი: საქართველოში პარაზიტების ტაკიმასხარაობა გრძელდება!

გვ.10

მეოთხედი საუკუნეა, იძარცვება, იყიდება და ნადგურდება პატარა, მაგრამ მძლავრი სამრეწველო პოტენციალის მქონე აგრარული საქართველო; ქართველი ხალხი კი საშინელ დღეშია სულგაყიდულ და გადაგვარებულ ვაიქართველთა გაუმაძღრობისა და ამბიციების გამო.



## როლანდ ჯალაღანია: ქართული მუშტი დაშნაკურ დინგში

გვ.8



გვ.4

## ზურაბ კვარაცხელია: კიდევ ერთი ღია მიმართვა სენაკელებისადმი...

## ჰამლეტ ჭიპაშვილი: ხიდაშელის ოინები

გვ.3



გვ.3

## მეუფე ბენედიქტე: „30 ავტორის 300 მეგრული ლექსი“, გაზეთ „ილორი“-დან



## იგორ კეკელია: ისპანახისგან ბურნუთი არ გამოვა, ანუ... ვინ არის ალექსი გაბისონია

გვ.4

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როდესაც მოცემულობა სათავზაროა

## სერგი საჯაია

ანუ, სულიდან კოდორმდინარედ გადმობობოქრებული მხილება (ფიქრები მურმან ხურცილავას ერთი ლექსის გამო)

**"იხარებდით მართალნი უფლისა მიერ..."**
**ფსალმუნი, 5, 32;**
**"...განვიწმიდენ ჩემდად ყოველნნი პირმშონი**
**ისრაელისანი კაცითგან მიპირუტყვამდე:**
**ჩემდა იყუნედ, მე ვარ უფალი".**
**რიცხუთა – 2, 13;**
**"აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართვლის ბედმა"...**
**წმიდა ილია მართალი;**
**"ვინც გველს რძეს ასმევს, შხამს უორკეცებს მასვე".**
**დიდოსტატი კონსტანტინე**

მოხდა ისე, რომ ცნობილ სოხუმელ პოეტ მურმან ხურცილავასთან ყოველდღიური ურთიერთობა, შესაბამისად ახლო მეგობრობა არ მქონია, ამის მიუხედავად ყოველთვის პატივს ვცემდი მის შემოქმედებას და პიროვნულ მოწესრიგებულობას, მისგანაც არ დამკლებია კაცური გამარჯობა.

ბოლო შეხვედრა მასთან სოხუმში, 1993 წლის გაგანია ომის დროს მქონდა. მისი შვილი ჩვენთან სწავლობდა და ამასთან დაკავშირებით გვესტუმრა.

სულ მალე ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი) ვერაგულად გაგვისხვისდა. ჩვენც საბედისწეროდ მიმოვიფანტეთ. 20 წელი არ შევხვედრივარ მას.

ერთ დღეს მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმის ეზოში შემთხვევით გადავეყარე უცხოეთიდან ახლადდაბრუნებულს. საკუთარი ლექსების კრებული მაჩუქა (მ. ხურცილავა, „თემის გაგრძელება", თბილისი, 2011 წ.).

სულმოუთქმელად წავიკითხე. გადავიკითხე მეორედ, მესამედ...

ცხადი იყო, ჩემს სათქმელს ითავისტკივილებდა, ჩემი ჭრილობები თანატკიოდა, ჩემივე ყოველდღიურობით ფიქრობდა, რაც მთავარია, ჩემს წინ აბუმბერაზდა უხანო დროისგან ნაცემ-ნაგვემი, მაგრამ ვერ გალახული, უნდობარ სიცხადესთან დაუზავებელი შემოქმედის სახალხო ძეგლისდება, უფრო მეტიც, ჩვენი ოდაბადისა და მისი ბედკრული შვილების სათქმელი კი არა მარტო, სრულიად საქართველოს ამრისხანება გაახმოვანა მან: „არც ნათესავი მოსულა, არც – მეგობარი ძველი, არავის გახსენებია ჩემი სამოცი წელი. ვაი, ჩემს ყოფას უბედურს – გზა მიმოკლდება გრძელი, ისე ვარ, გადამიჭირეს თითქოს სამოცი წკნელი..."

გავიდა ხანი, ჟურნალ „რიწაში" (2015 წ. №1) გამოქვეყნდა მისი ლექსები. აი, აქ გამაოგნა ერთ-ერთმა მათგანმა („უცნაური გარდასახვა, ანუ განცხადება, ლექსად თქმული"), რომელიც განმაცვიფრებელი მაღალმხატვრულობითა და უზუსტესი სახეზოგადობით აყალიბებს ეროვნულ-სახალხო ბრალდებას მათ მიმართ, ვის კისერზეცაა საუკუნის ღალატი და ცადაწვდენილი ცოდვა. ამ ლექსს მივუბრუნდებით, მაგრამ მანამდე თავს უფლებას მივცემ წინამდებარე ბრალდებათა შესაბამისად გავისიგრძეგანო ჩემს სამშობლოში მოთარეშე „ჟამი უნდობარი" (გალაკტიონი).

როდესაც აგრესიული გლობალიზმის, იგივე ტექნოკრატიული დასავლეთის, ანუ კიდევ უფრო ზუსტად, ევრო-ატლანტიკური რასიზმის საოკუპაციო კონტინგენტი, რომელსაც თაფლობისთვესავით მოიასამნე სახელი – „უფლებადამცველი" ჰქვია და რომელიც საქმიანობს არა ქართველი ერის ეროვნულ-სახალხო დაკვეთათა შესაბამისად, არამედ, ასრულებს რა მორიგი ზესახელმწიფოს დიდმპყრობლურ თითისქნევათა მოთხოვნებს, საქართველოს, როგორც ქვეყანას, მიზანმიმართულად ადგენს აგრესორთა საეთნოდივერსიო პოლიგონად.

ასეთ დროს არათუ ცალკეული პიროვნება, ერია მთლიანად შეთრეული სადენალიზაციო საამქროში და საზოგადოებრივი თვალგახელაც აქედან გამომდინარეა.

ნებისმიერი „კეთილმოსურნე" ჩასაფრებულისგან ნებადართული უფლება, რომელიც არაა დროსა და სივრცეში ეროვნულ სვლაგეზს შელიანდაგებული, სახალხო პასუხისმგებლობისგანაც აცდენილია და უტიფრობაში შესანაბიჯებლად იჭერს თადარიგს. ეს რა თქმა უნდა, აღვირახსნილობა გახლავთ, რომელსაც არც არაფერი აქვს საერთო ღვთივწვდომილებასთან. მას მკაფიო შესატყვისი დაუზუსტდა: ჩასაფრებული ავმოსურნეობა!.. არადა, უფლებადაცვასა და დემოკრატიას უწოდებენ წვრთნაშეუსმენელი თაობის ჯოგში.

თუ ძალიან არ გამექცა სიტყვა, ბარემ ესეც გავითვალისწინოთ, – ყველა ეს „უფლებადაცვითი" ხელგამოღება, რომელიც ერის ცნობიერებაში მიზანმიმართულად გენმოდიფიცირდება, გაცილებით ქართველთსაპობითი ნაღმი გახლავთ, ვიდრე ქართულ მიწებზე „გასხვაქვეყნებული" საბჭოთა სოციალისტური ავტონომიები (ნელი მოქმედების ნაღმები) მათთვის საგანგებოდ შეკოწიწებული „დემოგრაფიული დადასტურებებით".

სწორედ ამიტომ, როდესაც ქვეყანა, ამა თუ იმ მიზეზით, პოლიტიკურ უტევანზე მარცხდება, გონიერთა წინდახედულება მოითხოვს, ერის სახალხო წიაღში შეიქმნას სარწმუნოების, ცნობიერების, აზროვნების წესის, დედაენის, საერთოდ, სულიერების, განათლების, მეცნიერების, კულტურის, ადათობრივ-გრადაციული ღირებულებების, ქვეყნის მეურნეობის, ოფლითა და სისხლით მორწყული მიწის არათუ გადამრჩენი, შესაბამისად, მისი აღმავლობის უზრუნველმყოფი პირობები, რაც მიმოწაფებაა წმინდა ილია მართლისა და „კოლხური კოშკის" მსოფლმხედველობებთან.

საზოგადოება იქცა უვინაო კრებითობად, ანუ სიმრავლედ ღმერთის, სამშობლოსა და შთამომავლობის გარეშე. ასეთია აგრესიული გლობალიზმის დაკვეთა, გამომდინარე საიდანაც თაობას უბოდიშოდ ართმევენ იმ ზნეობრივ ფასეულობებსა და ჯიშისმიერ მეხსიერებას, რამაც იგი ქართველად უნდა გააშინაარსოს (ქაოსის დიქტატურა).

სწორედ ასეთმა გარეგანმა დაკვეთამ საქართველოს თავს მოახვია ათასწლეულებზე გაწელილი და მსოფლიოში ცნობილი მსოფლმხედველობითი დარგების (სამწუხაროდ, არა მარტო მათი) „ქსაჰარიქას" წესით გაუქმება მარტო კი არა, – ერის თვალსაწიერიდან გადაცოცხვის წესით გაძევება, რასაც შედეგად მოჰყვა მეცნიერებათა აკადემიის, ინსტიტუტების, შემოქმედებითი კავშირების და ა. შ. წინააღმდეგ იერიში მათ გასაპარტახებლად.

ასეთ ვითარებაში მწერლობამ უნდა აუხსნას ერს თუ რა დაემართა და რა სჭირს ქვეყანას, რომ ბოროტება საქართველოში აგრესიული გლობალიზმის მიერ გარედან შემოდისლოცირებული ე. წ. მედიის მოთხოვნილება კი არაა მარტო, მას მიმოწაფებული საზოგადოების ნებაყოფილებაცაა, ამის მიხედვით, ისეთი თაობა ინკუბატორდება, რომელსაც თავი სამშობლოზე დიადი ჰგონია.

ასეთი კაცღმერთული აკვარცხლბეკების სახეზოგადობად ამას წინათ განიშანსვეტდა გიორგი მარგველაშვილის ქადილი 2016 წლის 15 მარტს.

მართლაც ბედის ახარხარებაა, რომ 1993 წლის 15-16 მარტის გმირული ბრძოლის 23-ე წლისთავზე საქართველოს პრეზიდენტად (ვითომ) წოდებულმა სუბიექტმა, იმის მაგივრად, რომ ჭკუასაკითხი ჭირისუფლის თავსატკივარით მიგებებოდა ამ დღეს, როცა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) სამშობლოს დასაცავად თავგანწირულთა გმირობამ, მათ შორის 16-17 წლის ბიჭუნების თავდადებებმა, მორიგი ძლევაი გამოსჭედეს, დიახ, ამ ხმაწრიპინამ საქართველოს „რიხით" აუწყა, რომ იგი საინტერესო „სექსის" შემოქმედია და დაიცავდა ადამიანთა პირადი ცხოვრების ორგიულ თავაწყვეტებს ანუ ახურუშებულ (მკითხველთან ბოდიში) ხროვას აკვარცხლბეკებდა ერის ცნობიერ ნიშანსვეტად (წინა დღეს ქართული ვინაობისთვის ვინმე ინგა გრიგოლიამაც სრულიად საქართველოს „რუსთავი-2"-ის ეკრანიდან მიაუკანალა სარეცლის ჭუჭყი). კი ბატონო, ადამიანს აქვს პირადი ცხოვრების (და არა ხრწნადობის) უფლება, მაგრამ იმავდროულად მას მოეთხოვება საზოგადოებრივი ცხოვრებაც. ეს ანსხვავებს მას ცხოველისგან.

რას იზამ, ეპოქას მოაქვს თავისი ჭირვეულობები (კაპრიზები), მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არ გახლავთ ეპოქალური კანონზომიერება, იგი უფრო აშშ-ს საეჭვო მითითებაა, კომლის, იგივე ლასკარის (ოჯახის) ცნების გადასაგვარებლად. მით უფრო, როდესაც წვრთნაშეუსმენელ თაობას ერის მიმართ მხოლოდ ბრალდებები გააჩნია და ის რეგრესის სათავედ მიაჩნია („ნუ, საქართველოა"), რაც აღვივებს ასეთ სიმრავლეთა ობსკურანტულ დამოკიდებულებას ჩვენი სამშობლოსადმი.

რა თქმა უნდა, ზემოთ მოხმობილ ლექსში, უპირველეს ყოვლისა, ავდროებისგან ჯვარცმული სამშობლოს ხვედრია უპირატესად დასურათხატებული, ვიდრე მისი ავტორის – მ. ხურცილავას სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე გასიგრძეგანებული სიცხადე. რაც თავისთავად საგაკვეთილოა შთამომავლობისთვის, რადგან დიდოსტატური სიტყვა სახალხო რაგადობათა გახმოვანებაა. აი, რისთვის სჭირდება ერს მწერლობა... „ჰე, საწუთროო... შევჩივლო მინდა მეც ჩემი დიდი წინაპარივით, მეც მინდა დავხვდე ღვთისნიერ სტუმარს, ჩემი პურით და ჩემი მარილით"... (მ. ხურცილავა – „უცნაური გარდასახვა, ანუ განცხადება"...).

სავსებით ბუნებრივი და ჯანსაღი ნდომა გახლავთ ეს. თუმცა აგრესიული გლობალიზმის სამიზნეც სწორედ ასეთი სურვილია და ამის გამოა, რომ მისი დესანტი ასე უბოდიშოდ იპანღურება ქართული საზოგადოების ყოველდღიურობაში.

სინამდვილეში წინამდებარე დესანტი ანუ ვითომ უფლებადაცვითი ბატალიონები არაერთი სინათლის წელიწადის მანძილით ჩამორჩებიან ქართველი ერის ნებას: საქართველოში სახელმწიფოებრივ დღის წესრიგს ქართველი ერის ნაცვლად აშშ-ს ელჩი ადგენს!.. უფრო მეტიც, ქვეყანას არა ჰყავს ხელისუფლება, რომელიც საქართველოს ეკუთვნის! ამის შესახებ დუმილი ან ყურდახშობა, როგორც ეროვნულ-სახალხო ნების (კანონის) საწინააღმდეგო მდგომარეობა არათუ დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, გამოჭენებული ბოროტმოქმედებაა, ამიტომ: „რაკი არ ესმით ჩუმად ნათქვამი, მინდა ჩავძახო ყურში მთავრობებს: შინ იქნები თუ გარე იქნები, ხომ სულერთია სად იმათხოვრებ?!.." (იქვე).

არა, მათხოვრობა ქართველთა ვინაობას არ უნდა გაუშინაარსდეს, – ქართული მწერლობის სახელით შეგვახსენებს თავზე თავის ზვინგადამწვარი მურმან ხურცილავა – სოხუმელი პოეტი, თუმცა ჯერჯერობით: „ასე გრძელდება ფუჭი თამაში, ასე კარდაკარ დავდივარ დღემდე, ვერ გავარღვიე, დღემდე ვეხლები ბოროტების და სიცრუის კედელს", – ეს უკვე წვრთნაშეუსმენელი თაობის ყურდახშობათა ბრალია.

ჭკუადმყოფელი საზოგადოებისათვის გასაგები უნდა იყოს, რომ ქართველი ერის საყოველთაო გენმოდიფიცირება აგრესიული გლობალიზმის სტრატეგიული მიმართულებაა. ამის შესაბამისად ქვეყანაში შემოდისლოცირებულმა საინფორმაციო-პროპაგანდისტულმა, იდეოლოგიურმა კომბინატებმა მძლავრი ინდუსტრიის სახე მიიღეს და ისინიც ქართველი ერის დენაციონალიზაციისათვის (ეთნოდივერსიისათვის) საქარხნო წესითა და საველე-სასანგრო მდგომარეობით ყოველდღიურობენ.

უფრო მეტიც, თუ არა ამას, აბა,რას უნდა ერქვას ქვეყნის ყოველმხრივ გაუწმინდურების (უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა – გაუპატიურების) მცდელობა, როდესაც ქართველების ბუნებრივი შინაარსი, აზროვნების წესი, მეტყველება, სიწმინდეები, მეურნეობა და ა. შ. ერის ცნობიერებიდან მიზნობრივად და თანმიმდევრულად იძევება და ამის სანაცვლოდ „სულიერი მოძღვრის"აღკაზმულობით შემოსეული ოკუპანტები იავნანად და დემოკრატიად გვიაურზაურებენ (გვიპიარებენ) უსაგნო ალიაქოთში ჩათრევას.

ამ დროს რკინის ფარდაა შემოჯავშნული ისეთ სიცხადეს, როცა ქართველი ერი მილევადი მდგომარეობიდან, ანუ გადაშენებიდანაა გამოსაყვანი, ამასთანავე, გადასაჭრელი გვაქვს არაერთი სათავზარო თუ საგანგაშო საკითხი, რომელიც ეხება მოსახლეობის გამოკვებას, დასაქმებას, მიტაცებულ ქართულ მიწებზე ქართული კულტურის ძეგლების იავარყოფას, საზღვარგარეთ ქართელთა მდგომარეობას (არადა, თავის ქვეყანაში ყველაზე უუფლებო დღეს ქართველად დარჩენილები გახლავან). სამაგიეროდ, ასეთი ეროვნული პარტახის გასწვრივ ე. წ. უფლებადაცვითი სამსახურები ჩვენს სამშობლოში ქვეყანაშიც შორსგამიზნულად ფაბრიცირებულ ე. წ. უმცირესობებს იცავენ, რომლებმაც, თავის მხრივ ხელში მოიგდეს ქართველი ერის კოლექტიური დირიჟორობის მოვალეობა (უფრო სწორად, სასამსახურო თანამდებობა).

დღეს სრულიად საქართველოს არ გააჩნია საქვეყნო აღმავლობით გამოწვეული აღფრთოვანების მიზეზი (საბაბი), რაც შეეხება ქვეყნისათვის თავსმოხვეულ „ჰოოპუნას", იგი გარედან, საქართველოს ვინაობას დაპირისპირებული შემოსაღებაა. ასევეა სიძულვილიც ჩვენთვის დავალებული, ანუ ქართველს ავალებენ თუ ვინ შეიძულოს ან შეიყვაროს.

სამწუხაროდ, საზოგადოებას უჩქმალავენ, რომ დღეს ჩვენს სამშობლოს არ შეუძლია, მის ძალებს აღემატება ამ რაოდენობის (არ ვამბობ შარახვეტიამეთქი) უცხო ქვეყნიდან შემოსულთა (შემოცუცლუტებულთა) შემომშობლიურება (ადაპტირება), მით უფრო, როდესაც ისინი სასახლიკაცოდ არ გვიტალახებენ ჭიშკრის მიდამოებს.

ასეთი გახლავთ ქვეყნისათვის თავსმოხვეული სარეზერვაციო პირობები,რომლის ერთ-ერთ ხრიოკში მურმან ხურცილავამ საკუთარი სისხლით საკუთარი სულის განფენილობაზე სახალხო ბრალდებად წააწერა ეს უმცდარი ლექსი – განცხადება (მისი ზოგიერთი სტრიქონი ზემოთ გაგაცანით) და რომელიც წარმოადგენს არა მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) დევნილთა, არამედ, ყოველთა ქართველთა ხელმოსაწერ არზას ერის ღირსების სამსჯავროზე გასანიშანსვეტებლად. გთავაზობთ ამ ლექსი-განცხადების შესავალს. მართალია, ის საკმაოდ ვრცელია, მაგრამ ბოდიშს არ ვიხდი ამისათვის, ეს ყველა ჩვენთაგანის სათქმელი გახლავთ: ***„მე ჩემი თავი მეგონა გმირი, როცა ვიცავდი მშობლიურ ქალაქს, ვიცავდი ისე, როგორც შემეძლო, მაგრამ თავს ზემოთ არ იყო ძალა. არ ამცდენია ტყვია და ცეცხლი, ვნახე სისხლიც და ვნახე ტყვეობაც, მე ჩემი თავი მეგონა გმირი, როცა ვხედავდი ჩემს უმწეობას. მაშინაც, როცა საფათერაკო ჩამოვიტოვე საზღვრის ორი ბჭე და ჩემი ორი უბუმბლოო მართვე ხახადაფჩენილ მგლებს გამოვგლიჯე. ჩემი ქვეყნიდან გადაკრაგულმა შორს უცხოობას რომ გავუძელი, ასე მეგონა, რომ მეც ვიყავი მისი კედელი და საფუძველი, მაშინაც, როცა მონატრებული მშობელი მიწის ძალა ვიგრძენი, შეღერებულნი შემომხვდნენ როცა მარუშისძენი, არსაკიძენი, მე სიყვარულიც მყოფნიდა ჯილდოდ, არ მითხოვია ჩინი, ორდენი, ერთი პატარა ბიძგი მინდოდა, ერთი პაწია ფრჩხილისოდენა... მაგრამ არაო, მეუბნებიან, შენ ის არ ხარო, შენ სულ სხვა ხარო, ხარხარებს ყვავი – მეფისტოფელი, ნეტავი რა აქვს ყვავს სახარხარო? ცა ჩამოიქცა? მზე დაგვიბნელდა? და ელდამ ხომ არ დაჰკრა სამყაროს? რა გაიგონეს ჩემმა ყურებმა? შენ-შენ არ ხარო, შენ სულ სხვა ხარო! „არა, – ჩამძახის, – გმირი კი არა, მათხოვარი ხარ, მწირი, დერვიში, არვის სჭირდება შენი წარსული, არვის სჭირდება შენი მერმისიც. ვინ არის, ნეტა, ეს მატრაბაზი, ნეტა ვიცოდე, ვინ მეუბნება? ლიტონი სიტყვით და ჰაიჰარად გამაქიაქოს, ვის აქვს უფლება? ახლა ვიცანი! ბრძოლის ველიდან რომ გამორბოდა უკან, ის არი, სწორედ ის არი, რომ გამორბოდა, ვიცი, ვინც არი, ახლა ვიცანი!.."***

უნუგეშო მდგომარეობა, რომელშიც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) ეთნიკური წმენდისა და გენოციდის შედეგად გამოძევებული იმ მხარის მკვიდრი სამასათასზე მეტ ადამიანთან ერთდ აღმოჩნდა ცნობილი სოხუმელი პოეტი მურმან ხურცილავა, – დივერსიებთან და აფხაზეთში სეპარატისტული ეთნოკრატიის აგრესიასთან ერთად არანაკლებ განაპირობა ამ მხარის ე. წ. ქართულმა პარტოკრატიამაც. საუბედუროდ, ასევე, ამ უკანასკნელის ქვეუწყებად იქცა სოხუმში მოსაქმიანე ვითომ ეროვნული მოძრაობა, რომელსაც სინამდვილეში არევდარევები შეჰქონდა აფხაზეთში (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში) მოღვაწე ჭეშმარიტ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში. ამათგან ამ ხალხმა, რომელთაც 1988 წელს ბატონ ზვიად გამსახურდიას ცრუბრალდებით (ზ. ლაშქარაშვილის საკითხი) „სუდილიშჩეს" მოწყობა მოუნდომეს, ძალ-ღონე უშურველად შეაშველეს 1992 წელს ხუნტის გაძლიერებას და წინააღმდეგ ზ. გამსახურდიას გაფრთხილებისა, საბოლოო ჯამში, შედეგის თვალსაზრისით ხელი შეუწყვეს ჩვენი დამოუკიდებლობის მტრებს, რათა ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი) „არაქართულ ქვეყნად" წარეჩინათ გარკვეული წრეებისათვის მსოფლიოში.

*(გაგრძელება მე-5 გვერდზე)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხიდაშელის ოინები

საქართველო რომ აბსურდების ქვეყანაა, მტკიცება არ სჭირდება. თავდაცვის მინისტრის ხიდაშელის მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურის გაუქმების შესახებ ბრძანების ხელის მოწერა ამის დასტურია. **„ჩემი, ერთ-ერთი დაპირება იყო სავალდებულო გაწვევის გაუქმება – მე ვთქვი, რომ 2017 წლიდან სავალდებულო გაწვევა აღარ იქნება“,** – თქვა მან პრეს-კონფერენციაზე.

„მე ვთქვი“ – ბრძანების კილოთი აცხადებს ქვეყნის ერთ-ერთი მინისტრი და წამითაც არ შეაქვს ეჭვი მისი გადაწყვეტილების სისწორეში.

როდესაც მინისტრი, თუნდაც თავდაცვის, ესოდენ ვოლუნტარისტულად იქცევა – ქვეყნის ავადმყოფობაა, თანაც სერიოზული, სიღრმისეული. ხიდაშელმა თავი, ყველას უფროსად ჩათვალა – პრეზიდენტის, პრემიერის, პარლამენტის და აღგვისრულა დაპირება – **„მე ვთქვი, რომ 2017 წლიდან სავალდებულო გაწვევა აღარ იქნებს“.**

იყო თუ არა საკითხი პრემიერ-მინისტრთან ან ქვეყნის უმაღლეს მთავარსარდალთან, პრეზიდენტთან შეთანხმებული?! იქნებ მსგავს **„წვრილმანს“** არ სჭირდება შეთანხმება, იქნებ არც პრემიერი, არც პრეზიდენტი ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის მატარებლები არ არიან და არის თავდაცვის მინისტრი – ხელისუფლების ერთპიროვნული გამგებელი?

**„არაო!“,** – თქვა პრემიერმა – **„სავალდებულო სამხედრო სამსახურის გაუქმების გადაწყვეტილება, მისი მრავალმხრივი ასპექტიდან გამომდინარე, საჭიროებს მთავრობის სხდომის ფორმატში განხილვას და შესაბამის დასტურს“.**

მინისტრის თვითშემოქმედება უწოდეს საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა ხიდაშელის საქციელს. ხიდაშელის თავნებობამ არაერთხელ იჩინა თავი. გახსოვთ ალბათ, მის მიერ საფრანგეთთან იარაღის შესყიდვის (საჰაერო თავდაცვის სისტემა) ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა. მაშინაც, არც პრეზიდენტი, არც პარლამენტი, არც მთავრობა, არც პრემიერ-მინისტრი არ იყო საქმის კურსში. მათ პოსტფაქტუმ გაიგეს ეს ამბავი. 88 მილიონი ევრო დაუჯდა ქვეყანას ხიდაშელის თავხედობა. **„თავდაცვის საჰაერო სისტემა გვჭირდებაო“,** – ასე ბრძანა მან – **„რუსეთის შეტევისგან თავდასაცავადო“.**

ფრანგული ანტისაჰაერო სისტემა კი არა, ნატოს გაერთიანებული თავდასაცავი **„ქოლგა“** ვერ იხსნის საქართველოს რუსული რაკეტებისგან, განა ეს არ უნდა სცოდნოდა სამხედრო საქმეში **„გაწაფულ“** მინისტრს? ანდა, რა საჰაერო თავდაცვაზეა ლაპარაკი, როდესაც თბილისიდან 30 კილომეტრში რუსის ჯარი დგას?!

ფრანგულ რაკეტებს, როგორც ამბობენ, სხვა ხიბლი აქვს. სწორედ ამან იმოქმედა მომნუსხველად ხიდაშელის წინამორბედ ალასანიაზე და მანაც ლამის ელვის სისწრაფით გადაწყვიტა ხელშეკრულების გაკვარახჭინება. არ დასცალდა. გაათავისუფლეს. ხიდაშელმა მოასწრო და მოასწრო არა ქვეყნის საკეთილდღეოდ. იმ ფულით ბევრი სხვა აუცილებელი და საჭირო საქმის გაკეთება შეიძლებოდა, მაგრამ ამაზე ხომ არ არის მომართული **„საოცნებო“** ხელისუფლება?!

ხიდაშელის განცხადებით საყოველთაო სამხედრო სამსახური (გაწვევა) საჭირო არ არის, ვინაიდან თურმე სამხედრო სამსახური ისედაც დიდი პოპულარობით სარგებლობს. თუ ასეთს აქვს ადგილი – ხელფასებს უნდა მივაწეროთ და არა პატრიოტულ შემართებას.

ქვეყანაში, სადაც უმუშევრობა მძვინვარებს, ჯარი ერთ-ერთი გზაა ხელფასის მიღებისა, მიუხედავად იმისა, იქ სამსახური დიდ რისკს უკავშირდება – სიცოცხლის გაწირვას სხვისი ქვეყნისთვის. ვერავითარი პატრიოტიზმით ვერ შეფუთავ იმათ გადაწყვეტილებას, ვინც სამხედრო სამსახურში მიდის (მცირედი გამონაკლისის გარდა), აქ ფულია მთავარი. ჯარში ასეთებიც უნდა იყვნენ, მაგრამ ძირითადი მასა წვევანდელებზე უნდა მოდიოდეს.

სამხედრო სამსახური აუცილებელი უნდა იყოს ახალგაზრდისთვის, თანაც არაუმოკლეს წლინახევრის ვადით. მას სხვა დატვირთვა აქვს – დისციპლინაში მოქცევა, რაც ესოდენ აუცილებელია ქვეყნის ახალგაზრდისთვის. მხოლოდ სამხედრო, სავალდებულო სამსახურის შემდეგ უნდა გაეხსნეს გზა სწავლისკენ, მუშაობისკენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ უნდა ჰქონდეს შრომისა და სწავლის უფლება.

მავანი მკითხავს – რატომ ასე მკაცრადო? უპირველესად იმიტომ, რომ სამშობლოს დაცვა სჭირდება არა მარტო დაქირავებული სამხედროს მხრიდან, არამედ ნებისმიერი ახალგაზრდის მხრიდან – ბიჭი იქნება ის, თუ გოგო. გარდა ამისა, იქნებ სამხედრო სამსახურმა გვიხსნას ნარკომანიისგან, სიზარმაცისგან, ქურდობისგან, სხვა მანკიერებისგან, უხვად რომ ჩაიბუდა ქვეყნის ახალგაზრდებში?

სულ ახლახანს, მეტად პატივსაცემმა პიროვნებამ, ყოფილმა სპორტსმენმა, ჟურნალისტმა, ტელე-რადიო კომიტეტის თავმჯდომარემ, მინისტრმა, პარლამენტარმა გულდათუთქულმა მითხრა – პრაღის აეროპორტში დიდხანს მაყურყუტეს ჩემი პასპორტის შემხედვარეებმაო. საქართველოს მოქალაქეობას მიუპრყვია ესოდენი **„ყურადღება“** და რომ არა დამხვედრ მასპინძელთა აქტიურობა, მომიწევდა უკან დაბრუნებაო. საქართველოს მოქალაქეთა **„კეთილ“** საქმეებს გამოუწვევია ყოველივე. პრაღაში ბინა არ დაუტოვებიათ გაუძარცვავიო.

ამ პიროვნების გვარს განგებ არ ვასახელებ, ვინაიდან ვიცი, როგორ დაესხმებიან თავს **„პატრიოტი“** ქართველები და არანაკლებ **„პატრიოტი“** მედია.

გერმანია, ავსტრია, ესპანეთი, საფრანგეთი, რომელი ერთი ჩამოვთვალო, სადაც ქართველებს მხოლოდ ქურდებად იხილავენ. და ასეთ დროს, ნაცვლად იმისა, პრეზიდენტმა, პრემიერმა, მინისტრებმა მუდმივი ბოდიშის რეჟიმში იმუშაონ ევროკავშირთან, ჯიქურ აწვებიან – უვიზო მიმოსვლას რატომ არ გვაძლევთო.

დაავადება, რომელიც საქართველოს მოსახლეობას აქვს შეყრილი, ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს და ის სწორედ ხელისუფლებამ უნდა დაიწყოს, მაგრამ ხიდაშელის მსგავსი მთავრობა ამ საქმეს თავს ვერ გაართმევს. რასაც მთავრობამ **„თავი გაართვა“**, ვითომდა ნარკომანიასთან ბრძოლის საბაბით, რეცეპტების შემოღებაა. მეტის გააზრების უნარი მან ვერ გამოავლინა. არადა, კარდინალური ზომებია მისაღები. ნაცვლად იმისა, ქვეყნის გადარჩენაზე ვილაპარაკოთ, ვიზალიბერალიზაციაზე ლაპარაკში ვაღამებთ და ვათენებთ, რითაც შეგნებულად თუ შეუგნებლად ხელს ვუწყობთ ქვეყნის დაცლას და ქურდების ევროპის ქვეყნებზე მისევას.

ვიზალიბერალიზაციის თემამ ისე გააააქტიურა ქართველ კრიმინალებზე ლაპარაკი, რომ მტერიც ვერ ინატრებდა ესოდენ ღ-ს. მარტო ის რად ღირს, როდესაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრებმა თავიანთ შეკრებაზე ამ თემას დაუთმეს დიდი ყურადღება. დასავლურმა მედიამაც უმალ აიტაცა და რახანია აქტიურად ტრიალებს ქართველ კრიმინალთა **„საგმირო საქმეების“** შესახებ.

ჩვენი ხელისუფლება, ნაცვლად ბოდიშის მოხდისა, პირიქით ნიშნის მოგებით გვეუბნება ჩვენ და ევროკავშირს – კი, გვყავს ქურდები, მაგრამ მათი რაოდენობა ცოტაა სხვა ქვეყნების ქურდებთან შედარებითო.

დიდი შეღავათია. ქართველ იმიგრანტთა რაოდენობა ევროკავშირის ქვეყნებში სხვა ქვეყნებისას ჩამოუვარდება, მაგრამ კრიმინალური საქმეებით მესამე ადგილზეა მაროკოელთა, კოსოვოელთა შემდეგ – 3700 ძარცვა, წლის განმავლობაში. ამ **„საამაყო“** ციფრის შესამცირებლად ყოველმხრივი მუშაობაა საჭირო და არა თავის მართლება ან სხვისკენ თითის გაშვერა.

ავიღოთ მაგალითი ჩვენს მეზობელ-**„მეგობარი“** თურქეთისგან. ქვეყნის პრეზიდენტმა ერდოღანმა, რუსეთის პრეზიდენტის პუტინის სახელზე გაგზავნილ წერილში აღიარა დანაშაული – რუსული სამხედრო თვითმფრინავის ჩამოგდება, ბოდიში მოიხადა, სამძიმარი გამოუცხადა დაღუპული პილოტის ოჯახს და კომპენსაციის ვალდებულებაც აიღო.

80-მილიონიანი თურქეთის პრეზიდენტი, დიდი ამბიციების, ჯიუტი და მტკიცე ხასიათის მქონე ერდოღანი ბოდიშს იხდის. გვიან, მაგრამ მაინც მან გამოძებნა საკუთარ თავში ძალა და ნაცვლად მტკიცებისა, რომ ბოდიშის მოსახდელად საქმე არ აქვს, ბოდიში მოიხადა. მხოლოდ ძლიერს შეუძლია ამის გაკეთება.

გავიხსენოთ ქართველ პოლიტიკოსთა მხარდამჭერი განცხადებები – ერდოღანი მართალიაო. საინტერესოა, რას იტყვიან ისინი ახლა?

იქნებ მაგალითი აგვეღო ერდოღანისგან? იქნებ ბოდიში მოგვეხადა ცხინვალში 2008 წლის აგვისტოში რუსი სამშვიდოების ჩახოცვისთვის, მძინარე ცხინვალელებისთვის, თავზე **„გრადების“** დაყრისთვის, მანამდე კი აფხაზეთში გამართული ომისთვის და მოლაპარაკება დაგვეწყო მათთან და რუსეთთან?

მაგრამ არა – ჩვენ მაგრები ვართ, ისეთები, როგორც ერთი ახალგაზრდა, რომელმაც თავხედურად განმიცხადა – დამნაშავეც რომ ვიყოთ, მაინც არ უნდა ვთქვათო. აი, ამ ახალგაზრდის მსგავსად აცხადებს ერიც და ბერიც – ომი რუსეთმა დაიწყოო. და ამ ტყუილისა სჯერა. სჯერა ისიც, რომ ევროპაში ქართველი ქურდების რაოდენობა სხვა ქვეყნების ქურდების რაოდენობას ჩამოუვარდება. სჯერა იმისა, რომ საქართველო გაბრწყინდება და ა.შ.

არავითარ გაბრწყინებას ადგილი არ ექნება, თუ შრომას არ ვისწავლით, პატივისცემით არ მოვეპყრობით ყველას, შეცდომის შემდეგ, უმალ ბოდიშს არ მოვიხდით.

თვალი შევავლოთ ჩვენს თავს – სიმსუქნით ფორმადაკარგულს, ბრიყვის გამომეტყველებით და ამბიციებით გაჟღენთილს, საკუთარი თავის ქებით გადაღლილს, ზარმაცს, იოლი გზით ფულის მოხვეჭის სურვილით შეპყრობილს. თვალი შევავლოთ ე.წ. ბიზნესს, რომელიც თავდავიწყებით წოვს ისედაც გაღატაკებულ მოსახლეობას სისხლს და ამისთვის არაფერს იშურებს, თუნდაც ფალსიფიცირებულ კვების პროდუქტებს.

თვალი შეავლეთ ჩვენს **„სასიქადულო“** ფარმაცევტულ ბიზნესს, სააფთიაქო სისტემას, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით მაფიას, რომელიც საარაკო ფასებში ჰყიდის მედიკამენტებს დამშეულ მოსახლეობაზე. თვალი შევავლოთ...

ძალიან ბევრი თვალის შევლება მოგვიწევს, რათა საშინელი სინამდვილე დავინახოთ. მაგრამ მარტო დანახვა გვიშველის?

თუ ამ დანახვას ობიექტური აზროვნება და საქმე არ მოჰყვა, ყველაფერი ისე დარჩება, როგორც გუშინწინ, გუშინ იყო და დღეს არის. მაშ ასე, იქნებ ერთხელ კიდევ ვცადოთ ქვეყნის და თავის გადარჩენა.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

# „30 ავტორის 300 მეგრული ლექსი“, გაზეთი „ილორი“-დან

**„ათ წელზე მეტია ვაგროვებ მეგრულ ლექსებს გაზეთ „ილორიდან“. ყველას მოვუძებნე თავისი ავტორი და დავაკაბადონე. 30 ავტორის 300 მეგრული ლექსი შეიძლება გამოვაქვეყნო, თუ ჯანმრთელობამ ხელი შემიწყო“.**

**(მირიან ჯალაღონია, გაზ. ილორი. 2016 წ. ნ. 365.).**

**ჩხოროშავით წანაგარხანებუ,**
**ფურ-ჯგირიშთიაც გაქონებუ,**
**ფურ-მუშაირო გინირზებუ,**
**კოჩანიერო გაირზებუ,**
**საგამო, უგამეთ ვადოიტებუ.**
**მეზობელი დო მოგვარე მაფუქ,**
**მარგალურს გენოგალუაფუქ,**
**ართ-ართი მომინჯურე აფუქ,**
**შურობუმ სარაქონს დაცქუაფუქ.**
**მა ათეშენი მოსახელუქ,**
**მეტხანს იყიქი, მეტის ველუქ,**
**დღალეფქ: ამდღანერქ, ჭუმენერქ, გეღანქ**
**მუკო ირჩქინას, იშ ხომ ვეღანქ.**
**შური თეშო რე ნიჭებული:**
**შინო დოიტენს დოტებული.**

**„ილორში“, რედაქციის ყურადღებით, 2012 წლიდან მეც ვაქვეყნებდი მეგრულ ლექსებს და თუ იმ „30 ავტორის“ სიაში გყავარ შეყვანილი, “ილორის” 2016 წლის 10 მაისს, 362 ნომრით გამოსული ლექსი „გვიმარა“ ოტობაიაშე“-ც შეიმატე.**

**ლექსთა თანმიმდევრობა ამგვარად აჯობებს:**

**1. ნანინა (ნ. 342. 1 დეკ. 2015 წ. შემოკლებულად, სამსტროფად 123-ე ნომრად და ბეჭდილი კი – არა).**

**2. ნანინა ონწეობაშე (ნ. 306. 3 მარტი. 2015 წ.).**

**3. ბოლომირკან დღაშ ფირქეფი (ნ. 264. 8 აპრ. დასაწყისი, 2014 წ. და დასასრული ნ. 267. მაისის.**

**4. ფიოშური 1. (ნ. 185. 28 აგვ. 2012 წ.).**

**5. ჩილხაზით გექორთუასი? (ნ. 273. 17 ივნ. 2014 წ.).**

**6. ირჩინუ ბაბუეფინი. (ნ. 281. 12 აგვ. 2014 წ.).**

**7. ბირაფიოშური (თქვენ თუ დაუშვებთ, ფიოშური ანუ გლეხური ციკლის ეს სამი ლექსი – 4-5-6 – დავამთავროთ ვაჟა-ფშაველას „გლეხის სიმღერას“-ს ჩემი მეგრული თარგმანით: ბირაფიოშური, დასაბეჭდად რომ ეგზავნება „ილორის“ რედაქციას).**

**8. ზ. „გვიმარა“ ოტობაიაშე.**

**9. საბაღანო ემუორეფი (ნ. 284. 9 სექტ. 2014 წ.**

**ბოლო ემუორედ აქვეა გადმოტანილი ლექსად დაბეჭდილი „მარგალი“, 259-ე ნომრიდან. 2014 წ. 4 მარტი).**

**10. მოხვარა (ნ. 253. 21 იანვ. 2014 წ.).**

**თუ მიამიტობად არ ჩამომართმევ (იქნებ მეტ ხარჯებს ითხოვს?), ეს ჩემი ნაწერები, ორივე მხარე ბეჭდურ შეცდომებსაც ავიცილებთ თავიდან და, ხელნაწერებად თუ შეიტანდით თქვენს კრებულში, გამზადებული მაქვს და თბილისში მოგართმევენ, ოღონდ, მისამართი მოიწერე. ორმაგად მადლიერი ვიქნები.**

**გფარვიდეს მფარველი ანგელოზი შენი, ბატონო აკადემიკოსო.**

**მეუფე ბენედიქტე**

## ბირაფიოშური

**ქიანა გობთოლიგუათ:**
**ლაკადა, ჟიდო გვალეფი,**
**ამარლეხერა, ემერტყათ,**
**კირდეთი, უმულ შარეფი.**
**მუზმაშა ფიქრემქ ემუნუ,**
**გობრზა მუგურსით ალეფი,**
**შხვანერი აზრი ვაბსხუნუ,**
**მარაქო, ათენერეფი:**
**კოჩოერჩქინელს ხათეშე**
**აწაჭარუ მუშ ბედეფი,**
**მინს პატონობა, ჟი ეშე,**
**მინსით ჩაუმონკ ყვინგეფი.**
**დუდთი უფალშა მემნდებნა,**
**ჩქინი ენემა რჩქინეფი**
**მოხანდეთ, ქოთმიხანდებნა,**
**სათურშეთ სვაფდათ მერძღეფი.**

**ალალი უფით ენახანდს**
**გემოშაგიტმურს ლუკეფი,**
**ვარწყენა ჩქინი მუნახანდს?**
**მოჩქინ ხეშე ნაგარჯეფი.**
**ნაშულიდს, მორზიებული**
**გეკვერებიებ ქუეფი,**
**ოღონს, ქიანაქ ქომჩინან**
**დოვორეთ ბედინერეფი.**
**ოკათეს ვაბკათენთოჩქით,**
**ნამუსით მოყაზაყეფი,**
**ორინჯემ უნაორენჯით,**
**სასუქით ოხონალეფი,**
**ვანეფი გვაზულაცალუ**
**ლებათი, ჩხვიჩხვიანეფი.**

* * *

**ბუყუნეფ კინომბუყუნნა**
**კარაქამ, ვალიანეფი,**
**ბრელშა მიჩამნა, მირძღაფნა,**
**ბარაქათ ჩქინ მარძგვანეფი.**
**უფალი სანთელს მემღენა,**
**აშინურ შინახვეწეფი,**
**მოვფიოშენთ დო, შემნდენა,**
**ოკონდუვარკათ წესეფი.**
**ნაჯვეშ ბაბურიშ მოთურეფს**
**მა თევრე შუნა ფესვეფი,**
**ჩქინი მიღუნა, უთურეფს**
**ხეჩ ქინვაფმიკნაცაცეფი.**

**ვაჟა-ფშაველა, „გლეხის სიმღერა“**

# კიდევ ერთი ღია მიმართვა სენაკელებისადმი...

***ვაგრძელებთ წერილების ციკლის ბეჭდვას სენაკში ცემენტის ქარხნის მშენებლობის თაობაზე***

**ძვირფასო სენაკარნო!**

კიდევ ერთხელ მივეცი საკუთარ თავს უფლება ღიად მოგმართოთ... საქმეც იმაშია, ჩემო საყვარელო თანამემამულენო, რომ სენაკის მუნიციპილიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის გადასარჩენად ბრძოლა უკვე გადამწყვეტ ფაზაშია შესული... ახლა ჩვენ ერთობლივი ძალისხმევით თუ გადავარჩენთ ჩვენი ჯიშის და ჯილაგის საამაყო კულტურულ მემკვიდრეობას ან გამოვიჩენთ სამარცხვინო სულმდაბლობას და გავწირავთ მას გავერანებისა და იავარყოფისათვის...

ალბათ ბევრი თქვენთაგანისათვის არის ცნობილი, რომ თავის დროზე მე მივმართე სენაკის ხელისუფლებას, რომელშიც გამოვთქვი შეშფოთება ჩოჩელების და ჩინელების მიერ ისტორიული არქეოპოლისის სიახლოვეს, სოფელ კოტიანეთში კირქვის კარიერის მოწყობისა და ცემენტის ქარხნის აშენების განზრახვის გამო... თავისთავად ცხადია, რომ ახალი სამუშაო ადგილების შექმნა უაღრესად საშური საქმეა სენაკის მუნიციპალიტეტშიც და საერთო ქვეყანაშიც, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის დაზიანების და განადგურების ხარჯზე! ამიტომაც ვთხოვდი და მოვუწოდებდი ადგილობრივ ხელისუფლებას ჩვენს მიერ აქტუალიზებული პრობლემის გარშემო მოეწყო ღია და საჯარო განხილვა... სამწუხაროდ, სენაკის ხელისუფლებამ ამ თხოვნა-მოწოდების სრული იგნორირება მოახდინა!.. მოგმართეთ თქვენც... გთხოვდით, რომ გამოგეჩინათ ინიციატივა, მოგეწყოთ შეკრება და კირქვის კარიერის, ასევე ცემენტის ქარხნის მშენებლობის მიზანშეწონილობის თაობაზე ღიად გემსჯელათ... მაგრამ, სამწუხაროდ ესეც დარჩა ოდენ „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა"... შემდეგ მივმართე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსაც... ამ სტრუქტურამ მაცნობა, რომ ჩემი წერილი გადაუგზავნეს ძეგლთა დაცვის ეროვნულ სააგენტოს და რეკომენდაციას აძლევდნენ მას გაერკვია მართლა ემუქრებოდა თუ არა საშიშროება სენაკის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს... ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოდან შემატყობინეს, რომ მათ თითქოს მიავლინეს ექსპერტი სენაკში და ძეგლებს არანაირი საშიშროება არ ემუქრებოდა!.. ცხადია, მე, გამომდინარე იქიდან, რომ ზემოთხსენებული სტრუქტურებისადმი უკვე საკმაოდ საფუძვლიანი სკეპტიციზმით ვიყავი განმსჭვალული – სოციალური ქსელების და გაზეთ „ილორის" საშუალებით მივმართე სრულიად საქართველოს საზოგადოებრიობას, რომ ამოეღოთ ხმა, დაერისხებინათ განგაშის ზარები და არ დაეშვათ ჩოჩელების და ჩინელების პარპაში ჩვენს ისტორიულ ოდაბადეში! სამწუხაროდ, ჩემი ეს თხოვნა-მუდარაც საზოგადოებრიობამ თითზე ჩამოსათვლელი პერსონალიების და გაზეთ „ვერსიის" სარედაქციო კოლექტივის გამოკლებით – სამარისებური დუმილით მიიღო... სხვათა შორის ცალკე თემაა გაზეთი „ვერსია", ამავე გაზეთის რედაქტორი ქალბატონი მაია ფურცელაძე და ჟურნალისტი ქალბატონი ნინო ლურსმანაშვილი... არ შემიძლია უდიდესი მადლიერების გრძნობით არ ავღნიშნო მათი თავდადებული ბრძოლა... დიახ, ბრძოლა, რადგან მშვენივრად ვუწყი თუ რამხელა რისკთანაა დაკავშირებული ის კოლოსალური გარჯა, რომელიც მათ გაწიეს... თუ ვინმეს ჩემი სიტყვების სიმართლეში ეჭვი შეგეპარათ – გირჩევთ თვალი გადაავლოთ გაზეთ „ვერსიის" ბოლო ხუთ ნომერს და ნახეთ, ნახეთ თუ როგორ უშიშრად, კომპენტენტურად და სკრუპულოზურად აწარმოეს მათ ჟურნალისტური გამოძიება...

ჩემი მიზანი არ არის ვინმეს რამე გადავაბრალო ან უბრალოდ თავი შევაწყინო შეგონებებით... არამც და არამც, მაგრამ კიდევ ერთხელ და დაბეჯითებით მოგიწოდებთ:

არ დაუშვათ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოტიანეთში კირქვის კარიერის მოწყობა!

არ დაუშვათ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირში ცემენტის ქარხნის მშენებლობა!

დრო არ ითმენს! როგორც ცნობილი გახდა – ა. წ. 25 ივნისს ნოსირში უკვე გაიმართა ქარხნის მშენებლობის პრეზენტაცია! როგორც ირკვევა უახლოეს პერიდში უკვე პრაქტიკულად შეუდგებიან ამ ქარხნის მშენებლობას!..

ამავე დროს კიდევ ერთხელ მინდა დავაფიქსირო, რომ არ ვარ სამუშაო ადგილების შექმნის წინააღმდეგი, უფრო პირიქით, მაგრამ ნამდვილად შესაძლებელია და ხელისუფლება-მთავრობამაც, ცალკეულმა მეწარმეებმაც უნდა იფიქრონ და იზრუნონ ისეთ ალტერნატიულ სამრეწველო პროექტებზე, რომელიც არ შეუქმნის საფრთხეს ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც იქნება ეკოლოგიურად უსაფრთხო!.. ამიტომაც, ღრმად მწამს, რომ აუცილებელია ზემოთხსენებული პროექტების ამ ეტაპზე დაკონსერვება! არ ვამბობ, რომ სამუდამო ვეტო დაედოს მის განხორციელებას! არა! მაგრამ, თქვენ, ჩვენ, ყველამ ერთად უნდა მოვითხოვოთ, კატეგორიულად უნდა მოვითხოვოთ საკითხის შემსწავლელი კომპენტენტური კომისიის შექმნა! კომისიას უნდა მიეცეს შესაძლებლობა საკითხის საფუძვლიანად და ღრმად შესწავლა-გაანალიზების შედეგად დადოს დასკვნა პროექტის რეალიზაცის მიზანშეწონილობის თუ მიზანშეუწონლობის თაობაზე!.. აუცილებლად უნდა იქნას გასაჯაროებული ტაშკენტის ლაბარატორიის ის ცნობილი დასკვნაც, რომლის საფუძველზეც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში თავიდან იქნა აცილებული სენაკის რაიონში, ზოგადად კოლხეთის დაბლობზე ეკოლოგიური კატასტროფა და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის განადგურება!..

ძვირფასო სენაკარნო!

თანამემამულენო!

მაშ, იყავით ღირსეული შთამომავალნი თქვენი წინაპრებისა!

არ დაგავიწყდეთ, რომ აიეტის შთამომავალნი ხართ!

არ დაგავიწყდეთ, რომ წათეს და გუბაზის შთამომავალნი ხართ!

არ დაგავიწყდეთ, რომ მრავალ ჩინიან თუ უჩინო გმირთა შთამომავალნი ხართ!

არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენი ხალხის მარადიულობა მისი წარსულის, აწმყოს და მომავლის ერთობლიობაშია!

არ დაგავიწყდეთ, რომ ერთხელაც იქნება ეს საწუთროც გვიმუხთლებს და ვინძლო პირნათელნი მიუვიდეთ მამა-პაპათ!

არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენი თავი წყევლა-კრულვისათვის არ უნდა დავუტოვოთ შთამომავლობას!

უფალი იყოს თქვენი და ჩვენი შემწე მამულის გადასარჩენად გარჯაში!

პატივისცემით,

**ზურაბ კვარაცხელია,**
**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" რეგიონული რწმუნებული**

# ისპანახისგან ბურნუთი არ გამოვაო, ანუ... ვინ არის ალექსი გაბისონია

**ოლი ტაცერე, სი დიცერე დებეს**
***"ნუ გაჩუმდები, როცა საჭიროა ილაპარაკო"***
(გაგრძელება. დასაწყისი იხ. №370)

აღიარებული ფაქტია: ვიდრე ბრიყვი ხმას არ ამოიღებს, მავანს ის შესაძლებელია ჭკვიანადაც მოეჩვენოს, მაგრამ საკმარისია, პირი გააღოს და ორიოდე სიტყვა თქვას, რომ ასეთი კაცის სიბრიყვე მაშინვე გამოაშკარავდება. ალექსი გაბისონია თავის **"ლექს-შედევრში"** ამიტომაც ამბობს, კი არ ამბობს, გონებიდან ასაქმებს:

**"მოვედი ჩუმად, სიტყვა არ მითქვამს,**
**ვაკვირდებოდი ირგვლივ ყველაფერს,**
**ფუყე თავთავნი თავს აღარ ხრიდნენ,**
**ოდნავ მძიმენი ნელა ღელავდნენ"**-ო.

დიახ, დიახ, ძვირფასო მკითხველო, ვიდრე ალჩუ არ დაუჯდა, ვიდრე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ არ აირჩევდნენ, სიტყვა არ უთქვამს გაბისონიას, კრინტიც არ დაუძრავს, რადგან თავისი სიბრიყვის გამოაშკარავებისა ისტერიკულად ეშინოდა. ამასთან დაკავშირებით დიდი ხნის წინ ზედმიწევნით სწორად შენიშნა გაზეთ **"მარტვილის"** რედაქტორმა ფაუსტ ნადარაიამ: სასაცილოა პირდაპირ, ასეთი ლექსსიშტერე არასოდეს წამიკითხავსო. არადა, სწორედ ამ ლექს-სიშტერის ავტორი, ქართული პოლიტიკისა და პოეზიის ეს ჭუჭუაფანდურა (ქართული ჟარგონების ლექსიკონის მიხედვით ჭუჭუაფანდურა **"მსუბუქი ჭკუის"** მქონეს ნიშნავს) განაგებს დღეს მარტვილის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ბედს, მწერლისა და ჟურნალისტის – ფაუსტ ნადარაიას ბედს, ჩემი, 37 წლის ასაკში ოცზე მეტი წიგნისა და რამდენიმე ასეული სამეცნიერო ნაშრომის ავტორის, მეცნიერებათა დოქტორის, ბედს...

ვკითხულობ ბოლოქნევია მეოცნებისა და გამოუქნელი პოეტის ზემოთ დამოწმებულ აბდაუბდა სტრიქონებს და უნებლიეთ საიათნოვას სიტყვები მაგონდება: **"ვინ დამწყევლა, ვისი წყევლა ამიხდა"?..**

და ისევ ფაუსტ ნადარაია: **"ვაი, იმ რაიონს, სადაც ასეთი უნიჭოდ დაწერილი ლექსის ავტორი საკრებულოს თავმჯდომარეა და მარტო საკრებულოს თავმჯდომარე კი არა, საკონკურსო კომისიის ხელმძღვანელიცაა და ნიჭიერი კადრების შერჩევას განაგებს"**-ო (გაზ. **"მარტვილი"**, მარტი, 2015: 5).

აქვე ორიოდე სიტყვით შევჩერდეთ გაბისონიას თავმჯდომარეობით კონკურსის გზით შერჩეულ და დაწუნებულ კადრებზე. არა, იმის თქმას და მტკიცებას როდი ვცდილობ, საკრებულოსა და გამგეობაში ყველა უვიცი და წყალწაღებული მოკალათდა კონკურსის წყალობით-მეთქი. სამართლიანობა მოითხოვს, აქვე დავასახელოთ საჯარო სამსახურში კონკურსის გზით მოსული, მართლაც ღირსეული და პროფესიონალი ადამიანები, როგორებიც არიან ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი, ყველასათვის საყვარელი ახალგაზრდა ლევან ლაშხია, ან გამგეობის სახელმწიფო შესყიდვების სპეციალისტი გიორგი გვაზავა, საორგანიზაციო საკითხების მთავარი სპეციალისტი თემურ გაგუა და სხვა, პატიოსან და ნიჭიერ ადამიანთა მცირეოდენი ჯგუფი, მაგრამ მათ გვერდით ხომ ჩეჩქად არიან **"მოქალაქეთა კავშირის"** ნარჩენები თუ **"ნაციონალური მოძრაობის"** ოსპის წვენს დახარბებული, არნადით მოსახვეტი აჯამი ნაძირლები. ვინმემ რომ არ იფიქროს, განაწყენებული კეკელია ცილს სწამებს საკრებულოს პატიოსან თავმჯდომარესო, მოდით, კვლავ დავიმოწმოთ ამონარიდი გაზეთ **"მარტვილის"** ფურცლებიდან: **"ის მარტვილელები, ვინც ადრე გაქანებული „მიშისტები" იყვნენ და ნაცხელისუფლების წინაშე თავმოსაწონებლად ბიძინა ივანიშვილსა და მის მხარდამჭერებს დედას აგინებდნენ, დღეს მარტვილის გამგეობასა და საკრებულოში თბილ ადგილებზე არიან მოკალათებულნი და ღმერთმა უწყის, ვის დავალებას ასრულებენ"**-ო. ჭეშმარიტად, რომ ეს ასეა. მაშასადამე, პოლიტიკაში რაც ფეხი შემოდგა და რასაც ხელით წაეპოტინა, ყველაფერი გადნა-გალღვა, დაიტბორა თუ სულაც დალპა... ამის ნათელი დადასტურებაა საკონკურსო კომისიის დასკვნები.

გაბისონიას თავმჯდომარეობით მარტვილის მუნიციპალიტეტში ჩატარებული საჯარო მოხელეთა კონკურსის სოფისტური დასკვნები ფორმალურად სწორი ჩანს, თუმცა ეშმაკობასა და სიცრუეზეა აგებული!.. აი, როგორი ტექსტებით იშორებდნენ თავიდან მათთვის არასასურველ, თუმცა საზოგადოებისთვის მისაღებ, პატივსაცემ და ნიჭიერ ადამიანებს საკონკურსო კომისიის წევრები, გაბისონიას თავკაცობით: **"კანდიდატმა მის მიმართ დასმულ შეკითხვებს ვერ გასცა დამაჯერებელი პასუხი. ზოგად და საკანონმდებლო შეკითხვებს უპასუხა სუსტად. მან ვერ გამოავლინა საკვალიფიკაციო მოთხოვნებით დადგენილი სამსახურეობრივი მოვალეობების შესაბამისი უნარ-ჩვევები..."** ოდნავ განსხვავებული ტექსტი საკომისიო დასკვნიდან: **"კანდიდატმა მის მიმართ დასმულ შეკითხვებს ვერ გასცა დამაჯერებელი პასუხი. დასმული შეკითხვებიდან ზოგად შეკითხვებს უპასუხა საშუალოდ და საკანონმდებლო შეკითხვებს უპასუხა სუსტად. მან ვერ გამოავლინა საკვალიფიკაციო მოთხოვნებით დადგენილი სამსახურეობრივი მოვალეობების შესაბამისი უნარ-ჩვევები..."**, ან კიდევ: **"...დასმული შეკითხვებიდან ზოგად შეკითხვებს უპასუხა სუსტად და საკანონმდებლო შეკითხვებს უპასუხა საშუალოდ.."**

აი, Commedia dell'arte…

აი, ნიღბების კომედიის რეჟისორის – გაბისონიას არტისტული ნიჭის სამაგალითო გამოვლენა!..

აი, ამაზე თუ დავიყვირებთ ერისა და ბერის გასაგონად: Iuda veritas (იუდას ჭეშმარიტება)...

დამოწმებული ამონარიდები მიუკერძოებელ და ობიქტურ მკითხველთან ერთად, მომავლისთვის, როგორც პირუთვნელი მსაჯულისთვის, მიგვინდვია განსასჯელად...

კონკურსანტთა შორის, რამდენადაც მახსოვს, ერთი ახალგაზრდა კაციც იყო ჩემი სოფლიდან – ბანძიდან, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ბატონი როსტომ პატარაია. კონკურსის წესით ვაკანტური ადგილის დაკავებაზე აქ **„დასაბუთებული"** უარი რომ უთხრეს, ამ ახალგაზრდამ, – ფიც-ვერცხლგაწყვეტილებთან მე რა საშველი დამადგებაო, გაიფიქრა ალბათ გულის კუნჭულში, დაიხურა თავზე ქუდი და ქვემო ქართლში გადაიხვეწა. გაბისონიას მიერ **"დაწუნებული"** ახალგაზრდა ისტორიკოსი წელიწადზე მეტია, რაც წალკის მუნიციპალიტეტში აკეთებს საქვეყნო საქმეს: აზერბაიჯანელ მოსწავლეებს საქართველოს ისტორიას, მშობლიური მიწა-წყლისა და ფესვების სიყვარულს ასწავლის. გაბისონიას თუ დავუჯერებთ, როსტომმა თურმე მშობლიურ მუნიციპალიტეტში **"ვერ გამოავლინა საკვალიფიკაციო მოთხოვნებით დადგენილი სამსახურეობრივი მოვალეობების შესაბამისი უნარ-ჩვევები"**, თუმცა, საბედნიეროდ, ასე როდი უფიქრიათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მესვეურებს.

აი, ბატონებო, იმის ნაცვლად, რომ საიმედო და ნიჭიერი კადრები აქ, მშობლიურ რაიონში დასაქმდნენ, გაბისონიას მსგავს თვითნაკეთ პოლიტიკოსთა წყალობით, ასეთი ახალგაზრდები იძულებულნი არიან, საკუთარი ოჯახისგან, მშობლებისგან შორს აკეთონ მათი საკეთებელი. **"ქართული ოცნების"** მიერ გაწყობილ ტაბლასთან მიმჯდარ ალექსი გაბისონიას, კაცს, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარედ **"არჩევამდე"** საკუთარი არც ქვაბი გააჩნდა და არც ქოთანი, რაში ანაღვლებს ახლა და, მე თუ მკითხავთ, სულ ცალ ფეხზე არა ჰკიდია, რასა იქმს როსტომ პატარაია, რას საქმიანობენ სკოლებიდან გამოძევებული ანასტასია ბოლქვაძე, იგორ კეკელია და სხვანი და სხვანი. რას ფიქრობს, ან რა აწუხებს მარტვილში ყველასათვის ცნობილ და საყვარელ პედაგოგს – იზოლდა კანდელაკს, თითქმის ოთხ ათეულ წელზე მეტი რომ იღვაწა საგანმანათლებლო სარბიელზე და, შემდეგ, მარტვილის მუნიციპალიტეტის ხელისუფლების უკეთური საქციელით შეურაცხყოფილი, იძულებული გახდა, პროტესტის ნიშნად დაეტოვებინა მისთვის საყვარელი სამუსიკო სკოლის კედლები!.. შვილი, კონსერვატორიის კურსდამთავრებული, რეორგანიზაციის საეჭვო საბაბით სამსახურიდან გამოუძევეს. მაინც არ გატყდა, მისი ოჯახის დამცირება ვერ აიტანა და სკოლიდან წამოვიდა. ოჯახს შემოსავლის წყარო დააკლდა, მაგრამ ამ სათნო და ღირსეულმა ქალბატონმა საკუთარი ღირსების შელახვას მაინც ლუკმა პურის ფიზიკური შრომით მოპოვება არჩია.

საკონკურსო დასკვნებს, გაბისონიას გარდა, ხელს აწერენ გურამ თოფურია, ნატალია პაპასკირი, გიორგი გოროზია, რამაზ ხურცილავა და სხვანი. სხვებისგან არაფერი გამკვირვებია, მაგრამ, აი, პირადად ჩემთვის ფრიად პატივსაცემი, ნიჭიერი და საყვარელი პიროვნების, ბატონ რამაზ ხურცილავას ხელმომწერთა შორის **"აღმოჩენა",** ნამდვილად და განსაცვიფრებლად მაკვირვებს.

ამაზე ახლა შორეული წარსულიდან ერთი ამბავი გამახსენდა: სასიკვდილოდ განწირული იან ჰუსი კოცონზე დასაწვავად რომ აჰყავდათ, ერთმა დედაბერმა თვალი მოჰკრა და კოცონს ფიჩხი მიუმარჯვა... ინკვიზიციის მიერ გონებადაბნელებულ დედაბერს მაშინ ჩადენილი ცოდვა ერთგვარად შეუმსუბუქა სიკვდილმისჯილი რეფორმატორის წამოძახილმა: **"ო, წმინდაო გულუბრყვილობავ!"**... მარტვილელ თუ მოწვეულ ინკვიზიტორთა მარაქაში გაუგებრობის წყალობით გარეული ბატონი რამაზი იქნებ მომავალში მაინც წუთით დაფიქრდეს ამ ისტორიულ წამოძახილზე!..

გაბეჯითებული მცდელობის მიუხედავად, უმანკო არსებად მოაჩვენოს თავი საზოგადოებას, ათასი თოკიდან გამომძვრალ გაბისონიას მაინც არაფერი გამოსდის: სამსახურიდან გაძევებულ თანაქალაქელებთან ამ არაშვილის თავის მართლება ისე ხრჩოლავს, როგორც ნედლი შეშის კვამლი – ბუხარში...

***იგორ კეკელია,***
***გაგრძელება იქნება***

# “ამას მხოლოდ უცხოელები კითხულობენ”

## თანაფა – აღდგომა

**დღეს ხშირად ისმის უაზრო პასუხი კაცთაგან, როდესაც მათ საქართველოს დიდებულებაზე დაუწყებ საუბარს – „თუ ასეთნი ვიყავით, მაშინ დღეს რატომ ვართ ასეთ დღეშიო?“ მომიტევეთ პირდაპირობა, მაგრამ ეს პასუხი ყველას გეთვლებათ უგუნურობაში, რადგან თვით სიტყვაში ძევს მისი პასუხი- უ- გონ-ობა, დაუფიქრებლად გაცემულ პასუხს. სწორედ ასეთი უგუნური კითხვა დაუსვა თავის დროს კონსტანტინე აგამსახურდიას ერთმა პიროვნებამ, რაზედაც მიიღო ადეკვატური პასუხი: „იმიტომ რომ შენისთანა რეგვენები მოგვიმრავლდნენო“. იმისათვის რომ ასეთი შეურაცხყოფილნი არ დავრჩეთ, საჭიროა ჩავიხედოთ ჩვენი მოდგმის ისტორიულ ფესვებში და გავერკვეთ აწმყოს რაობაში, რაც დასაბამი იქნება მომავლისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველთვის ასე, თვითლანძღვის რეჟიმში ვიქნებით და წინ ერთი ნაბიჯითაც ვერ წავალთ. ერთი ადგილის ტკეპნა კი ჭაობში დახრჩობას გვიქადის. მოდით და ერთად გავარკვიოთ რელიგიურ დღესასწაულ – აღდგომის დღის აღმნიშვნელი სიტყვის „აღდგომის“ რაობაში და რაში მდგომარეობს მისი ბრწყინვალება**

დღეს ხშირად ისმის უაზრო პასუხი კაცთაგან, როდესაც მათ საქართველოს დიდებულებაზე დაუწყებ საუბარს – „თუ ასეთნი ვიყავით, მაშინ დღეს რატომ ვართ ასეთ დღეშიო?“ მომიტევეთ პირდაპირობა, მაგრამ ეს პასუხი ყველას გეთვლებათ უგუნურობაში, რადგან თვით სიტყავში ძევს მისი პასუხი- უ- გონ-ობა, დაუფიქრებლად გაცემულ პასუხს. სწორედ ასეთი უგუნური კითხვა დაუსვა თავის დროს კონსტანტინე აგამსახურდიას ერთმა პიროვნებამ, რაზედაც მიიღო ადეკვატური პასუხი: „იმიტომ რომ შენისთანა რეგვენები მოგვიმრავლდნენო“. იმისათვის რომ ასეთი შეურაცხოფილნი არ დავრჩეთ საჭიროა ჩავიხედოთ ჩვენი მოდგმის ისტორიულ ფესვებში და გავერკვეთ აწმყოს რაობაში, რაც დასაბამი იქნება მომავლისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველთვის ასე თვითლანძღვის რეჟიმში ვიქნებით და წინ ერთი ნაბიჯითაც ვერ წავალთ. ერთი ადგილის ტკეპნა კი ჭაობში დახრჩობას გვიქადის. მოდით და ერთად გავარკვიოთ რელიგიურ დღესასწაულ – აღდგომის დღის აღმნიშვნელი სიტყვის „აღდგომის“ რაობაში და რაში მდგომარეობს მისი ბრწყინვალება.

მთელი ჩემი ნაშრომები დაფუძნებულია სიტყვის გახსნაზე, ანუ ეტიმოლოგიურად ვამტკიცებ სიტყვის წარმოშობის პერიოდს და ვხსნი მის არსს, ხოლო დანარჩენი მეცნიერებები: ისტორია, არქეოლოგია, თეოლოგია, თეოსოფია, მათემატიკა, ჰემატრია, ეზოთერია, ბიბლოლოგია და სხვანი არიან დამხმარე მეცნიერებები, რომლებიც ამტკიცებენ სიტყვის წარმოშობის პერიოდს და მის შინაარსს. თავად ჩემს მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციასაც სწორედ ასე ჰქვია – “ახალი სიტყვა”, სლოგანად კი “არაფერია ახალი, თუ არა კარგად დავიწყებული ძველი”. “დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა”. იოანეს სახარება: 1-1.

გამოდის რომ თვით სიტყვაა იდუმალი ინფორმაციის მატარებელი და თუ ბიბლია გვეუბნება ღმერთი არს სიტყვა-ო, მასში უნდა ვეძიოთ კარგად დავიწყებული – მიძინებული-საიდუმლო ინფორმაცია. მაშ ასე, გავერკვეთ თუ რაში მდგომარეობს დღეისათვის აქტუალური ბიბლიური დღესასწაულის დღის აღმნიშვნელი სიტყვის – აღდგომის რაობა და რას გვეუბნება მასში დაფლული ინფორმაცია. ამისათვის კი უნდა ჩავწვდეთ მის სიღრმეში (ფესვებში), ან ეზოთერულად ავიდეთ ცაში, რათა ამოვხსნათ ამ სიტყვის მნრიცხველ/მნიშვნელი და სულიერი დატვირთვა.

**აღდგომა** – რას გვეუბნება სიტყვა: ამისათვის საჭიროა სიტყვა დავშალოთ ნაწილ ნაწილად და ვიპოვოთ მისი ძირი. შევახსენებთ რომ თვით სიტყვა “ძირი” ძვ. ქართულად ნიშნავს “ნახე”-ს. მიველ ვნახე სიტყვის ძირი და შეგვრჩა მარცვალი (“დგ”). ომა; ობა; ება; ბოლოსართები კი განმეორებას, ანუ მრავალჯერადობას ნიშნავს, მაგრამ ამ სიტყვაში ბოლოსართი ისე ოსტატურად შეერწყა სიტყვის ძირს, რომ ის ერთ მთლიანად წარმოჩინდება, რადგან მთლიანად – “დგომა” ადამიანის გარკვეულ სტატიკურ პოზიციას განასახიერებს. მას მოძრაობის(დინამიურ) პლანში გადაჰყავს სიტყვის წინსართ – „აღ“, რომელიც ბევრ ქართულ სიტყვებში გვხვდება: აღ მასვლა, აღ-მატება, აღ-ორძინება... აღ-სასრული. ე.ი. როგორც ვხედავთ წინსართი-მარცვალი “აღ” მინიშნებას გვაძლევს ქვემოდან (ჰორიზონტალური მგომარეობიდან ვერტიკალურში გადასვლას). სწორედაც, რომ სიტყვა აღდგომაც ამას ნიშნავს. მკვდრეთით (ჰორიზონტალურიდან) გაცოცხლებას, ადგომას (ვერტიკალურ) მდგომარეობაში... და ეს პროცესი მრავალჯერადიაო. ე.ი. სიკვდილიც და მკვდრეთიდან დაბრუნებაც მრავალჯერადაც ხდება (არა ხორციელ პლანში რა თქმა უნდა) ეს კი იგივე გარდაცვალებაა... ცნობისთვის სიტყვა “გარდაცვალება” არ ნიშნავს მხოლოდ სიკვდილს და სულიერ გარდასახვას, ის მეორედ დაბადებასაც ნიშნავს. მოკლედ, გავერკვით სიტყვა „აღდგომის“ არსს, მაგრამ როგორც ვხედავთ, ეს არის ძალიან მარტივი გასაგებადაც და სულიერი დატვირთვა ან რაიმე საიდუმლო ამაში არ დევს. მისტიკა თუ არ არის ახალში ენაში, მაშინ უნდა იყოს ძველში. მოდით ვნახოთ თუ როგორ წარმოითქმის ეს სიტყვა ძვ.ქართულად (მეგრულად).

**თანაფა** – ამ სიტყვის წინსართი და ძირი ერთი აქვთ —„თან“, ხოლო ბოლოსართი „ფა“ განმეორებას, მრავალჯერადობას ნიშნავს. (ართ ფა, ჟირ ფა... ჩხორო ფა – ერთი (ჯერ)(ფენა), ორ(ჯერ)(ფენა).... ცხრა(ჯერ)(ფენა) და ა.შ. ამ სიტყვის მისტიურობა უცებ თვალში საცემია, რადგან თვით მარცვალი „თან“ არის მრავლის მეტყველი: თან+აფა (თენება), გო+თანა+ფა-(გათენება), გე+თან+დ(გო+თან+დ) – გათენდა, თან+უა(ნათება) და ბოლოს ის იძლევა რიცხვით მინიშნებას. ვაკონკრეტებ: ასომთავრულ ანბანში მეცხრე ასოს ტრანსკრიპცია “თან” ესადაგება მხოლოდ ერთ ციფრს – 9 (ცხრას). აქ ერთ რაღაცას უნდა მიექცეს მნიშვნელობა. როგორც ვხედავთ ძვ. ქართულში სიტყვა “თან” ახალ ქართულში გარდაისახება და გვაძლევს შებრუნებულ სახეს – “ნათ”. “...და რასაც შეკრავ ქვეყანაზე შეკრულ იქნება ცაში და რასაც გახსნი ქვეყანაზე, გახსნილ იქნება ცაში..” (მათე). ...ეს მე წინა წერილებშიც მქონდა დაფიქსირებული. მიწისა და ცის ინფორმაციის საიდუმლო გაცვლის მეთოდი – გარდასახულად, ანუ გადაჯვარედინებულ ნაკადად მიწოდება. 9-თან ასომთავრულში ნიშნავს: მზის თვალს – (მზის შვილები), ცხრათვალა მზეს, ცხრაკლიტულს და ა.შ. თვით ციფრი 9-ს მისტიურობას კი მთელი მსოფლიო აღიარებს, ანუ ციფრი ცხრით იდუმალად ფიქსირდება ღმერთის აღმნიშვნელი სიტყვის ჯამი.

ღორონთ (ღმერთი)=99/999!!!

ასეთი სასწაული არც ერთი ერის სიტყვა ღმერთის გაშიფრვისას არ გვხვდება.

**დავით თორდია**

# როდესაც მოცემულობა სათავზაროა

*(გაგრძელება მე-2 გვერდიდან)*

დიახ, მათმა კოლაბორაციულმა და ორპირულმა ბუნებამაც, უვიცობასთან ერთად, უზრუნველყო აგრესიული სეპარატიზმის, მისი ეთნოკრატიისა და „ქართული“ პარტოკრატიის ეთნოდივერსიული ავანტიურა, რომელიც ელცინიდანური მიზანმიმართულებით განვითარდა, დიახ-მეთქი, სწორედ მათი ძალისხმევითაც შეიქმნა პირობები, რათა საქართველოდან შორს ამ უბედურებას დარქმეოდა „ქართულ-აფხაზური კონფლიქტი“.

ეს ხალხი, რომელთა კისერზე ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) გასხვისების უპატიებელი ცოდვაა, დახეთ უტიფრობას, სამშობლოს მოღალატეთა წინამდებარე ჯოგი, დღესაც აფხაზეთის დევნილ და ლეგიტიმურ ხელისუფლებად იწოდება.

ასეთ ფონზე თუ რა საქმიანობას ეწევიან ან რამდენად ქმედუნარიანად უძღვებიან ჩვენი ოდაბადეს დეოკუპაციის საქმეს, ამაზე ღაღადებს თავის დროზე ერთი საყოველთაოდ გამოჭენებული სულმდაბლური „გაიმასქნება“, რომელიც სხვა არაფერია თუ არა ხრწნილობაში ნებივრობა: ამ რამდენიმე წლის წინ ე. წ. აფხაზეთის ხელისუფლებამ მიიღო დადგენილება ქ. თბილისში ეროვნული გმირის – გურამ გაბისკირიას საფლავის კეთილმოწყობის შესახებ. უნდა შეგახსენოთ, რომ ჩვენი საამაყო თანამოძმის საფლავი თბილისში არ არსებობს და მაინც, – ეს დადგენილება შესრულდა, „თანხა ათვისებული იქნა“... კიდევ არაერთხელ ვამბობ (ეს გახმაურებული ამბავია და ამიტომ არ ვსაუბრობ წინამდებარე სულმდაბლობაზე უფრო ვრცლად), მით უფრო, რომ ელიტური და კოლექტიური კორუფცია ამ ინსტიტუციაში ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც მზის ამოსვლა. ყველა ის ციხიონი თუ სასახლე, რომელშიც ეს ვითომხელისუფლება (სინამდვილეში აფხაზეთის „ქართული“ პარტოკრატია) ცხოვრობს, შუბლისძარღვგაწყვეტით, დევნილთა ლუკმის ჩაჯიბებითაა ნაშენები (ამ ყველაფერს მე მივუძღვენი წიგნები („შეთქმულთა თაღლითობანი“ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში, ხუთი ტომი), ამიტომ თავის დროზე არათუ ვამხილე, ვემსხვერპლე კიდეც და რეპრესიებიც ვიწვნიე ყოველივე ამის გამო. ამასთან დაკავშირებით არ განვმეორდები, მხოლოდ მათ ლეღვის ფოთლად თავდადგენილ ბატონ ჯემალ გამახარიას (აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს) მინდა ვურჩიო, – ბატონო ჯემალ, ნებისმიერი წევრი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა, იმ სვებედნიერ წლებში, ხომ უდიდეს პატივად ჩათვლიდა სოხუმში ერთი ბოთლი ღვინო დაელია პოეტ მურმან ხურცილავასთან, რათა თავი მოეწონებინა საზოგადოებისთვის – ის ხომ ცნობილ პოეტთან ნადიმობდა!..

დღეს თქვენ ხიშტით ხვდებით სახალხო გმინვას და ამ ლექსგანცხადებასაც, რომელშიც ბატონმა მურმანმა სახალხო განაწესი გაასაგნა.

შენი თანამდებობის ფაქტობრივი ფუნქცია ძალიან ჰგავს იმ მოვალეობას, ბოროტმოქმედები რომ გაუპიროვნებენ „ატასზე“ დაყენებულს. გაემიჯნე მათ. მანამდე კი, კარგს იზამ თუ თქვენი პრეზიდიუმის უახლოეს სხდომაზე პოეტ მურმან ხურცილავას მიერ გახმოვანებულ ეროვნულ-სახალხო გოდებას ხმამაღლა წაიკითხავ.

აი, ეს იქნება თქვენი აღდგენა პატივსა და ღირსებაში და არა მეიქეთაქეთე მოსამართლის ზვიად ესებუას (ისიც სოხუმური პარტოკრატიის პირმშოა) განჩინება იმაზე, რომ სულნათელი გურამ გაბისკირიას სახელით ფულის ჩამჯიბებლებს ღირსება, სინდისი ან პატივი გააჩნია!..

დროზე, თორემ, უბრალო სტრიქონი არაა, დაგვიანებული, მაგრამ უმცდარი სახალხო დადგენილებაა ეს: „ახლა ვიცანი! ბრძოლის ველიდან რომ გამორბოდა უკან, ის არი, სწორედ ის არი, რომ გამორბოდა, ვიცი, ვინც არი, ახლა ვიცანი!“

**სერგი საჯაია,**
**2016 წლის 1 ივლისი,**
**ტელ: 275 46 72;**
**599 11 75 43**

## პოეზიის კუთხე

*სათრევლები*

### საპარლამენტო არჩევნების თემაზე

*თქმული „ნიღბების თეატრის“*
*წამბაძველ „ნიღბოსნებზე“*

### აღქმა აღსაქმელისა

ქინძი კერძს აქცევს კარგადა,
პოლიტიკას კი – რა გითხრათ?
გირჩიც მურაბად ვარგა და
რაკი პარტიად გაგვიხდა,
ნაცების ნიღბად, ქარგად და
უნიჭო დადგმად აღვიქვამ!

### დაპირება

რად გიყურებ დაკვირვებით,
რატომ გწონი მისხალ-მისხალ?
არჩევის წინ დაპირება
ბევრჯერ მოგვცეს ვამპირებმა.
მაგრამ იქცნენ ხალხის რისხვად!

*თურქეთსა და საქართველოში*
*ჩაქოლილები, რომლებიც*
*შემახსენა ოდესიდან მოსმენილმა მორიგმა მუქარამ*

### ააფრინა ასაფრენი

ააფრინა ასაფრენი,
და არ ვამბობ, ვის რით ჰგავდა,
ვისაც არ სურს არაფერი,
კვლავ პირველი სკამის გარდა.
შევახსენებ ბრმასა და ყრუს,
ამბოხების მოწადინეს,
რა ხვედრი ხვდა გიორგი რუსს
და მეფისწულ კონსტანტინეს!

### გზა პარლამენტში

პორტირებულთა ხელშესახოცად
მოდაში რაკი დღეს მუტანტია,
ყოფილი „ნაცი“ თუ დამყნეს „ქოცთან“,
ეს ნიშნავს: უკვე დეპუტატია!

**ალექსანდრე შენგელია**

### სამარგალო ოგვაჯე რე, უქოთომე

სამარგალო ოგვაჯე რე, უქოთომე,
სპილო ორე ურჩქვალე დო
უხორთომე
სამარგალო ორქო ორე ღორონთუმე
გაგთო ვალნც, გაგთოფალნს ამდღა
ჭუმე.
სამარგალოს დუდშა პატი
ვეგეიდვალუ,
ათეშენი ვაგიწიცინ დო ვაგიფალუ,
შხვაშო გიხაჩქ, შხვაში ლაიტყ
გიკაკალუ,
შხვაში ოგვაჯეს კვერცხი ვისქუ, დო
გიკარკალუ.
შხვაში გორდ ყილოჯგუა
ქომოლსკუა
სქანი ტანით გილაიღალუ შხვაში
ჭუა
სქუას მორდუ, უკული კვარჩხში
ორთინუა,
მარგალობას უჯოგუა, ორინუა
მითინც ვაუორქ ქანას კოჩი
ქიგერენდა.
სი კობურექ ანწი მიშოთ იიქმინდა
ლანდღვირი წყარირექ. ანწი მუჟამ
იიქ წკონდა
ზღვას ქაკათი მარგალობა ქუგოკონდა.
სქანი დიხემც შხვეფი რდუნა
გვარიტომც,
სქანი წყარემც შხვეფი ჭოფუნა
კალმახ-ჩხომც
სი ვახვიე, სი ქოგქ ყვარილი კოც,
გაგშაკურცხი ქადუმახი ჭკუას –
გონც.

**ჯემალ პერტაია (ტომბა)**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხო სიტყვათა კოლხური წარმომავლობა

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

როგორც ამ სიტყვისადმი მიძღვნილი სტატიიდან სჩანს (რომელსაც ახლა აქ სრულიად ვერ მოვიყვანთ), ამ სიტყვის ეტიმოლოგია ფაქტიურად, დაუდგენელია. ჩვენი აზრით კი ეს სიტყვა უნდა უკავშირდებოდეს მეგრულ „ფულუა"-ს (ფულ-უა) რაც ასევე დამალვას. დაფარვას ნიშნავს.

ის, რომ ეს სიტყვა შუმი ქართველური სიტყვაა, აშკარა ხდება სიტყვიდან დაფლვა (და-ფლ-ვა), დაფლობა (და-ფლობა), რაც ნიშნავს „დამარხვა; ჩამარხვა, და რაც პირველ რიგში ასოცირდება ფულისა (ეს სიტყვაც ფულუადან უნდა მომდინარეობდეს) და განძის დამარხვასთან, ასევე სიტყვიდან საფლავი (სა-ფლ-ავი). და ა.შ.

როგორც ცნობილია, უცხო წყაროებში რუსებს ახსენებენ, როგორც მოსკოვიტიანებს, რომელიც მომდინარეობს ფუძიდან **„მოსკი"**, ანუ **„მოსხი"**, ანუ **„მესხი"**: ჩვენ აქ იმას კი არ ვამტკიცებთ, რომ რუსები მესხები (კოლხური ტომები) არიან, მაგრამ აშკარაა, რომ ისინი წარმოადგენენ კოლხური და სლავიანური ტომების ჰიბრიდს, რომლის დამადასტურებელი არგუმენტია უამრავი კოლხიზმები რუსულ ენაში და მათ შორის ეს სიტყვაც.

– რუსულად ნიშნავს სწავლულს, მეცნიერს, ჩვენი აზრით, მეცნიერი არის და უფრო ადრეულ ხანაში იყო ის პიროვნება, რომელიც უჩანდუ (უჩანს) გურს, ანუ ხვდებოდა ბუნების სხვადასხვა საიდუმლობებს გულით (გულზე შეკითხვით). მაგალითად, როცა კაცს ეუბნებიან, რაღაც გავაკეთოთ, ქართულად პასუხი იქნება: **„მოვიფიქრებ"**, რუსულად ხოლო მეგრელი იტყვის **„გუჩანქ გურს"**, ანუ **„გულს დავეკითხები"**. ეს ნიშნავს, რომ მეგრელთათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გულს და არა თავს. ასე, რომ სიტყვა მოსკოვიტიანური, ანუ მოსკური, მოსხური, ანუ მესხური სიტყვაა, რომელიც, როგორც ერთ-ერთი რუდიმენტი შემორჩა დღევანდელ რუსულში. აქედანაა წარმოებული მისი ფუძისეული სიტყვები: чение, учитель, ученик.

მეორეს მხრივ, რუსულში სიტყვები учитель, და ученик ერთი ფუძისანი არიან, ისევე, როგორც ქართულში სიტყვები **„სწავლება"** და **"წვალება"** ჩვენი აზრით ეს უფრო გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს, ანუ როდესაც სწავლება გადაიქცა წვალებად.

კიდევ მეტი, სიტყვა სწავლა აშკარად უკავშირდება სიტყვა წაულას (სწავლას წაულა წაულა) – რაც მეგრულად ნიშნავს გაფუჭებას, მოშლას. ხომ არ არის ეს დაკავშირებული საერთოდ საქმის გაფუჭებასთან, ყველაფრის მოშლასთან, რადგან ადრე იყვნენ თვითმხილველები, რომლებიც პირდაპირ სჭვრეტდნენ ჭეშმარიტებას, ღმერთს, ხოლო შემდეგ შემოვიდა ფილოსოფია და ა.შ. რომელიც დაუკავშირდა გონებას, რამაც გამოიწვია წაულა, წავლა (გაფუჭება). მეგრულად „სწავლა" არის „გურაფა" (მისი პარალელია სხვათა შორის სანსკრიტული „გურუ"). გური, ნიშნავს გულს და სწავლება (გურაფა) გულთანაა დაკავშირებული. ე.ი. აზროვნებდნენ გულით და არა გონებით, გულით მიდიოდნენ ღმერთთან და არა გონებით.

ასე, რომ სიტყვა учение და მისი ფუძისეული სხვა სიტყვები რუსულში აშკარა კოლხიზმებია, რომელთა თავდაპირველი მნიშვნელობა იყო, როგორც მიხვედრა (გულით) და გარკვევა სხვადასხვა მოვლენებში, ხოლო შემდგომში (როცა გული შეცვალა გონებამ) მან მიიღო წვალებისა და გაფუჭების მნიშვნელობა.

**კილლ** – ინგლისურად კვლას, მოკვლას ნიშნავს. იგივური ფუძე აქვს ამ სიტყვას მეგრულში: ვილ-უა, პილუა. როგორც ცნობილია, პილატე პონტოელმა გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი მაცხოვარს. რაც შეეხება მის სახელს „პილატე", აქ ძირეული არის „პილა", ანუ პილუა, ანუ მოკვდინება, ხოლო მორფემა „ტე" ისეთივე სუფიქსია, როგორც ბერძნულ სახელებში ჰეროდოტე, ქსენოფონტე და ა.შ. აღსანიშნავია, ისიც, რომ პილა ძალზედ გავრცელებული სახელია კოლხეთში ახლაც კი და თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ის პონტიელი იყო, რომელი პონტოც ქრისტეს ეპოქაში მეგრულ-ლაზური ტომებით იყო დასახლებული, შეიძლება გამოვიტანოთ ასეთი დასკვნა, რომ პილატე პონტოელის სახელი (პილატე) ასოცირდება მაცხოვრის მოკვდინებასთან, საერთოდ, მოკვდინებასთან, რაც, როგორც ხედავთ, დასტურდება მეგრული ენის მეშვეობით.

რაც შეეხება მეორე ბიბლიურ პერსონაჟს – იუდას. ინგლისურად ის იწერება და იკითხება, როგორც ჯუდაჰ (ჯუდა) მეგრულად ჯუდა ნიშნავს კოცნას. ასე რომ, როცა ამბობენ იუდას ამბორი, ეს არის ტავტოლოგია ანუ ამბორის ამბორი, როგორც ცნობილია, იუდამ თავისი ამბორით გაჰყიდა ქრისტე ოცდაათ ვერცხლად, ამიტომ სახელი იუდა ყველასათვის ასოცირდება გამყიდველურ ამბორთან (ჯუდასთან), ცნობილია ასევე, რომ იუდა იყო ერთადერთი იუდეველი თორმეტ მოციქულთა შორის, ხოლო დანარჩენები იყვნენ გალილეველები. ამიტომ მას არ შერქმევია ეს სახელი იუდა (ჯუდა), ისევე, როგორც პილატეს, როგორც კოლხური სამყაროს წარმომადგენელს, საქმე იმაშია, რომ ეტყობა, იმ დროისათვის პალესტინაში ისე მძლავრობდა, რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, კოლხური ატმოსფერო, რომ მის მიერ მაცხოვრის ამბორით გაცემას კოლხმა ქურუმებმა უწოდეს თავისი სახელი (ჯუდა) რაც საფუძვლად დაედო მის საკუთარ სახელს, იუდა.

არსებობს მოსაზრება, რომ პალეოკავკასიური რასსა, ანუ უძველესი კავკასიური რასსა ანუ უძველესი მედიტერანული რასსა სახლობდა პირენეების ნახევარკუნძულიდან დაწყებული ვიდრე პალესტინამდე და ინდოეთით დამთავრებული, ამიტომ აქედან და ზემოთ მოხსენიებული ბიბლიური პერსონაჟების სახელების (მათ შორის იოანე ნათლისმცმლის სახელის (იხ.)) ინტერპრეტაციიდან გამომდინარე, არ იქნება სიმართლეს მოკლებული თუ ვიტყვით, რომ ის, რაც მოხდა პალესტინაში ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში, იყო ერთ-ერთი უდიდესი კოლხური მისტერია.

**Шалить, шалеть** ძველრუსულად და საზოგადოდ, სლავიანურად ნიშნავს გაცოფებას, გახელებას, ჭკუიდან გადასვლას.

მეგრულად შერება, შერუა – ნიშნავს გაშტერებას, გაგიჟებას, ხოლო შერი – შტერს, გიჟს. სწორედ აქედან უნდა მომდინარეობდეს ეს სლავიანური სიტყვა. რომლის ეტიმოლოგია ფასმერს ფაქტიურად, დადგენილი არა აქვს (მ. ფასმერი, რუსული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი, ტომი IV, გვ. 399).

„შერ"-იდან 'შალი"-ის მიღება ლიგვისტურად სრულიად ბუნებრივია.

ანალოგიური შინაარსისაა სიტყვა „სალოსი", რაც ნიშნავს სულელს, შმაგს, ცოფიანს; ასევე გიჟს, რომელსაც ვითომდა წინასწარმეტველების უნარი აქვს. ეს სიტყვა შეიძლება დავაკავშიროთ იმავე შერთან, რაშიც შეუძლებელი არაფერია, მაგრამ, ასევე შეგვიძლია მისი დაკავშირება მეორე კოლხურ სიტყვასთან ალა – რაც მეგრულაც ნიშნავს გიჟს, ცოფიანს, ხოლო ალება ნიშნავს გაცოფებას, გახელებას.

აქ საინტერესო ის არის, რომ კოლხურ სიტყვებს, როგორც არსებით სახელებს, ასევე ზმნებს (შერი, შერება, ალა, ალება) გააჩნიათ ერთი და იგივე ფუძეები, რაც კიდევ უფრო ნათელს ხდის მათ უპირატესობას და ამ ჩვენეული ეტიმოლოგიების ჭეშმარიტებას. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ არსებობს, ვთქვათ, არსებითი სახელი „სალოსი", მაგრამ არ არსებობს ზმნა „გასალოსება" და პირიქით არსებობს ზმნა шалить მაგრამ არ არსებობს მისი შესატყვისი არსებითი სახელი, გიჟი, ხელი, ცოფი, რაც კიდევ უფრო ამაგრებს ჩვენს პოზიციას.

**ხე** – მეგრულში აღნიშნავს ასულს, ქალს, მაგალითად, თოფურიას ქალი იქნება თოფურიხე, გერგედავას ქალი გერგედახე და ა.შ. სხვათაშორის ძე-ზე დაბოლოებული გვარები სამეგრელოში უძველესი დროიდან არსებობდა, რომელთა ჩამოთვლას არ შევუდგებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს დაბოლოება მეგრულისთვის უცხო არ არის.

კიდევ მეტი „ძე" აღნიშნავს ყმაწვილს 12-დან 16 წლის ასაკამდე. სწორედ ის ასაკია, როცა ახალგაზრდას შეუძლია იყოლიოს შთამომავალი და მოხდეს ოჯახში მატება (ძინა). ძინა ნიშნავს მატებას, რომლის ფუძეა „ძ", შევადაროთ სიტყვები შინა, რინა, რჩქინა, დორთინა და ა.შ. სადაც სუფიქსია „ინა". მეორეს მხრივ, ძე იყო სწორედ მატება (ძინა), რადგან ბიჭის შეძენით (თვით ამ სიტყვა „შეძენა"-შიც „ძენა" „ძინა" მართლაც შეძენა, მატებაა) ოჯახი მატულობს, ხოლო რაც შეეხება ქალიშვილს, ის თხოვდება და მიდის ოჯახიდან, რის გამოც მატებად არ შეიძლება ჩაითვალოს.

რაც შეეხება სიტყვა ხე-ს ის, როგორც თავისი დაწერილობით (ძ და ხ ასობგერები სიმეტრიულები არიან ვერტიკალური ღერძის მიმართ), ასევე მნიშვნელობით (ძე და ხე სხადასხვა სქესის წარმომადგენლები არიან) საპირისპიროა ძე-ს მიმართ, რაც ქართული ანბანის უნიკალურობაზე მეტყველებს.

ეს ერთის მხრივ, მეორეს მხრივ, მოვიყვანოთ მაგალითები რუსული სიტყვებისა, რომლებშიც ნათლად სჩანს გავლენა კოლხური ფორმატისა „ხე", მხოლოდ ოდნავ სახეცვლილი სახით «ха»: Старик, старуха; Олень, олениха; Портной, портниха; Повар, повариха; Ткач, ткачиха და ა.შ.

ამ მაგალითებიდან ნათლად სჩანს, რომ ეს არის აშკარა კოლხიზმი რუსულ ენაში, თუნდაც იმიტომ, რომ კოლხური „ხე" თავის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ანტონიმთან „ძე"-სთან ერთად, როგორც ვნახეთ, უშუალო კავშირშია ქართულ ანბანთან, რომლის შექმნის ეპოქაში რუსები საერთოდ არ სჩანდნენ ისტორიულ ასპარეზზე.

დაკვირვებული მკითხველი შეამჩნევდა, რომ კოლხური ენის შესაძლებლობები ამოუწურავია. ის, თუ შეიძლება ასე ითქვას, განმმარტებელი ენაა, როგორც „ძველი", ისევე „ახალი" მრავალ ენათათვის. მასში გაცილებით მეტი საიდუმლოებებია შენახული ვიდრე ეს ჩვენ წარმოვაჩინეთ მოცემულ სტატიაში (და ასევე ადრეულ სტატიებში) და რადგანაც, როგორც შესავალში აღვნიშნეთ ენა „მთელი კაცობრიობის გასაღებია", როგორც ეს ვილჰელმ ჰუმბოლდტმა განაცხადა, ამისათვის საჭიროა მისი გამოწვლილვით შესწავლა არა მოყვარულთა მიერ, არამედ ის უნდა იქცეს ამ დარგის სპეციალისტთა ყოველდღიური განსჯის საგნად.

## ქრისტეს კვართის შესახებ

როგორც წინასწარმეტყველი დავითი ამბობს: **„ჩემს სამოსელს ინაწილებენ და წილს იყრიან ჩემს კვართზე"** (ბიბლია, ფსალმ. 21(22).19).

დავითის ეს ნაწინასწარმეტყველევი ფრაზა სახარებებში შემდეგნაირადაა გადმოცემული:

**„და როცა ჯვარს აცვეს, წილი ყარეს და გაიყვეს მისი სამოსი რათა აღსრულდეს თქმული წინასწარმეტყველის მიერ, რომელიც ამბობს: გაიყვეს ჩემი სამოსი ერთმანეთში, და ჩემს კვართზე იყარეს წილი"** (მათე 27.35).

**„ჯვარს აცვეს იგი, და წილისყრით გაიყვეს მისი სამოსი: ვის რა შეგვხვდებაო"** (მარკოზი 15.24).

**„ხოლო იესო ამბობდა: მამაო, მიუტევე ამათ, რადგანაც არ იციან, რას სჩადიან. და წილისყრით გაიყვეს მისი სამოსი"** (ლუკა 23.34).

**„ხოლო მეომრებმა, რომლებმაც ჯვარს აცვეს იესო, აიღეს მისი სამოსი და ოთხ ნაწილად გაყვეს, თითეულ მეომარს ხვდა თავისი წილი, და აგრეთვე კვართი. ხოლო კვართი ნაკერი კი არ იყო, არამედ თავიდან ბოლომდე ნაქსოვი.**

**და უთხრეს ერთმანეთს: ნუ დავხევთ ამას, არამედ წილი ვიყაროთ მასზე, ვნახოთ, ვის შეხვდება; რათა აღსრულდეს წერილი, რომელიც ამბობს: გაიყვეს ჩემი სამოსი ერთმანეთს შორის, და ჩემს კვართზე იყარეს წილი. ასე მოიქცნენ მეომრები"** (იოანე 19.23-24).

საინტერესოა, გაირკვეს სიტყვა „**კვართი**"-ს ეტიმოლოგია. ლაზურში „ო-**კო-რთ-უ**" ნიშნავს „გაყოფა"-ს, რასაც შეესაბამება მეგრული „**გო-რთ-**უ-ალ-ა" (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 203). რადგანაც ქართველურში ცნობილია „**ო**"-ს გადასვლა „**ვა**"-ში, მაგალითად, მეგრ. „გ**ო**ლა" – „გ**ვა**ლა" (მთა), მეგრ. „თ**ო**ლი" – ქართ. „თ**ვა**ლი" და ა.შ., ამიტომ ლაზური სიტყვიდან შეიძლება მივიღოთ ო-**კვა-რთ-**უ. მსგავსი მეგრული სიტყვაა „**კვათ-**უ-ა", რაც ნიშნავს „კვეთა"-ს, „ჭრა"-ს; ხოლო მეგრ. „კვათილი" – „კვეთილი", „გაჭრილი". ასე, რომ **შეიძლება ვიფიქროთ სიტყვა „კვართი" წმინდა კოლხური წარმომავლობისაა და რაც მთავარია ის თავის თავში შეიცავს ინფორმაციას მისი გაყოფა-განაწილების შესახებ**. ეს ჩანს ბიბლიური ტექსტების ამონარიდებიდანაც, რომლებიც ზემოთ მოვიყვანეთ.

ცნობილია, რომ საქართველოს ბევრი რამ აკავშირებს გოლგოთის მისტერიასთან, თუნდაც მატრო ის რად ღირს, რომ ჩვენი უფლისა და მარიამ ღვთისმშობლის კვართები საქართველოშია დავანებული. მოვიყვანოთ ამონარიდი დონ კრისტოფორო დე კასტელის (1976, 176) წიგნიდან: **„ხობის განთქმული ეკლესიის სურათი, რომლის შიგნით, ლამაზად მორთული თაღის ქვეშ, შემონახულია სათაყვანებელი რელიქვიები, ჩვენი უფლისა და ღვთის დედის, ქალწული მარიამის კვართები.**

**ეს დიდი რელიქვიები შესაძლებელია ძველია, ამიტომ ღირსეულადაა შენახული ერთ მთაზე. ამ მხარეში ის დიდად პატივცემულია და უფრო სადიდებელი იქნებოდა უფლისათვის, რომ ის წაეღოთ ჭეშმარიტ ქრისტიანთა შორის. ამისთვის დრო კი მქონდა... მაგრამ ვერ შევასრულე იტალიაში ჩემი გამგზავრების გამო, ეს შესაძლებელია იმათთვის, ვინც იქ ახლად მივა"**.

კასტელის მოსაზრებით, თუ ეს რელიქვიები ღირსეულადაა შენახული და დიდად პატივცემულია ამ მხარეში, მაშინ რაღა საჭირო იყო მისი წაღება **„ჭეშმარიტ"** ქრისტიანთა შორის, თუ მისიონერი ჭეშმარიტ ქრისტიანებად იმათ მიიჩნევს, რომელთაც თვალები გაურბით წმინდა რელიქვიების მისაკუთრებისაკენ.

როგორც ცნობილია, კასტელი მოღვაწეობდა საქართველოში XVII საუკუნეში და საინტერესოა, რატომ არ ექცევა სათანადო ყურადღება მის მიერ მოწოდებულ ამ უნიკალურ ინფორმაციას?

ირაკლი გუნია (2010, 127) თავის წიგნში წერს: **„XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი არაქელ დავრიჟეცი გვაწვდის ცნობას, რომ XVII საუკუნის I მეოთხედამდე ქრისტეს კვართის განსასვენებელი საქართველოში იყო. მისი თქმით, ამის შემდეგ სიწმინდე შაჰ-აბასის ნაალაფარში აღმოჩნდა"**. ამავე წიგნში მე-17 გვერდზე ვკითხულობთ. **„1625 წელს შაჰ აბასის დელეგაციამ, რომელსაც ქართველი ურუსან ბეგი მეთაურობდა რუსეთის მეფე მიხეილ თეოდორეს ძეს (1613-1645) მიართვა ძვირფასი თვლებით შემკობილი ოქროს ზარდახშა. XVI-XVII საუკუნეთა განმავლობაში რუსულ გარემოში საჩუქრის არცერთ გადაცემას არ მოჰყოლია ისეთი რეზონანსი, როგორიც შაჰ-აბასის ამ ჟესტს. ეს არ იყო შემთხვევითი, რადგან კიდობანში გადმოცემით ინახებოდა, საქართველოდან გატაცებული, საქრისტიანოს უდიდესი სიწმინდე – ქრისტეს კვართი"**.

მაშინ, საინტერესოა, როგორღა აღნიშნავდა კასტელი, რომელიც მოღვაწეობდა საქართველოში 1628-1654 წლებში, ამ რელიქვიის არსებობას ხობის მონასტერში?

ერთი რამ შეიძლება მხოლოდ აღინიშნოს, რომ გვიან შუასაუკუნეებში დასავლეთ საქართველოში, კვართის არსებობა უფრო უსაფრთხო იქნებოდა, რადგან ამ რეგიონში საუკუნეების განმავლობაში იყო ერთმორწმუნე ბიზანტიის გავლენა, ვიდრე აღმოსავლეთში, სადაც იყო ძლიერი ზეწოლა მუსულმანური ირანისა.

მოვიყვანოთ ნიკო მარრის (Ìàððð 1897, 78-81) სტატიიდან ვრცელი ამონარიდი (მისი ჩვენეული ქართული თარგმანი): **„შემთხვევით არაა ნახსენები ლონგინის სახელი ლეგენდაში კვართის შესახებ; თუმცა ის წარმოდგენელია, როგორც ქართველი ებრაელი კარსნელი, მასში ჩვენ სავარაუდოდ ვხედავთ იმ ლონგინს, რომელიც ქრისტიანული გადმოცემით თამაშობდა ცნობილ როლს მაცხოვრის ჯვაცმისას.**

**ბერძნულ ენაზე ჩვენთვის ცნობილია ასისთავ ლონგინის ორი ცხოვრება. პირველი, რომელიც მიეკუთვნება იერუსალიმელ პრესბიტერ ჰეზიხიოსს, რომელმაც აღმოაჩინა წმინდანის წამება წმ. აღდგომის ბიბლიოთეკაში (*Migne, Patrologia Graeca*, XC, 1546-1560), მრავალსიტყვაობით გადმოგვცემს ასისთავის ბედს, რომელმაც დაამოწმა ქრისტეს ჯვარცმისას „ჭეშმარიტად, ეს ღმერთის ძეა" ის არ დასთანხმდა ჭეშმარიტების დამალვას, მიუხედავად ებრაელთა მცდელობისა, განიცადა დევნა, დატოვა სამხედრო სამსახური და გაემართა კაპადოკიაში ქრისტიანობის საქადაგებლად; მტრებმა ენა მიიტანეს იმპერატორთან, რომ ის არის მოღალატე და იმპერატორის განჩინებით მას თავი მოჰკვეთეს და ჩამოიტანეს ის იერუსალიმში, „ცხოვრება" მთავრდება ბრმა მოხუცებული ქალის სასწაულით, რომელიც ჩამოვიდა კაბადოკიიდან ბიჭთან ერთად წმინდა ქალაქში და რომელმაც ჩაიტანა წამებულის თავი მის მშობლიურ სოფელ სანდრალში (შანდრალეს). მეორე „ცხოვრება" ბერძნულ ენაზე (*Patrologia Graeca*, CXV, 31-44), წარმოადგენს არსებითად იმასვე, რასაც პირველი, მხოლოდ შედარებით შემოკლებული რედაქციით.**

**ნუგზარ კვაშილავა**

---

**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცია თანაუგრძნობს გაზეთ „ნოჯიხურის" რედაქტორს, ბატონ ვალერი ძაძამიას დის ინეზა ძაძამია-ლიპარტიას და დისშვილის ლევან კოხრეიძის გარდაცვალების გამო**

# წარღვნამდელი ცივილიზაციით შთაგონებული თანამედროვეობის აღმოჩენა



სიდიადის წარმოჩენა, როგორც იტყვიან, თავის დრო-ჟამს ელოდება. წმინდა წერილში წერია: **„დაფარული განცხადდების“**, ყოველი კითხვის ნიშნით დასმული წინადადება თავის პასუხს ელოდება.

უმთავრესად კაცობრიობის ძირითადი ნიშან-თვისება, როგორც პიროვნული, ისე საზოგადოებრივი, ეფუძნებოდა და ეფუძნება სრულყოფილებისაკენ სწრაფვას, ზენაარსთან შერწყმის მცდელობას. უდიდესი წარღვნამდელი, წინარე ისტორიული ხანის შესახებ, ბევრი რამ იწერებოდა და იწერება. მრავალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები იყო და არის ამით დაინტერესებული. არის ბევრი საგულისხმო შეხედულება, რომელიც ეყრდნობა სხვადასხვა აღმოჩენილ არქეოლოგიურ მონაპოვრებს და ღვთისგან დაშვებულ შთაგონებას, რომლის მიხედვითაც შეიძლება წარმოვაჩინოთ ისტორიულ წყაროებში მცირედ, ხაზგასმულად დახასიათებული უძველესი ცივილიზაციის მონახაზი. ეს მონახაზი და ეს შეხედულება, ღვთისგან დაშვებით უფრო გამრავალფეროვნებული და ხორცშესხმული სახით გამოვლინდა, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრის – აბაშელი თვითნასწავლი მხატვრის ზაზა თოფურიას თვითმყოფად, თემატიკურად ინდივიდუალურ შემოქმედებაში. აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მაცხოვრისკარში მცხოვრებს, ადრეული ასაკიდან გამოირჩეულ, თვითნასწავლ, სმენადაქვეითებულ ფერმწერს, აქვს სამყაროს აღქმის თავისებური ხედვა. ხატავდა პეიზაჟებს, სოფლის ცხოვრებიდან თემატიკურ სურათებს. საქართველოს ცნობილ ადამიანებს, წარსული ეპოქის ყოფის ამსახველ სურათებს. უყვარს ბუნება, ადამიანები და ცდილობს, ყოველ სულიერ თუ უსულო გარემოებათა სამყაროს წვდომას.

ზაზას მოსწონს მართლმადიდებელ ტაძართა იდუმალება და საერთოდ, ყველაფერი ის, რაც სიბრძნესთან მიახლების, განღმრთობის მისტერიაში წვდომის სურვილს აღძრავს, რაც უძველესი წარსულის შემეცნებით და შესისხლხორცებით, თანამედროვეობის რუტინული შეზღუდულობისგან თავის დაღწევის სურვილითაა გაცხადებული.

სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარული, მშობლებისა და ახლობლების დამფასებელი, სოფლის მეურნეობაში და გონებრივ შრომით საქმიანობაში თავდადებული, გამორჩეული, ძლიერი ფიზიკური აღნაგობის ახალგაზრდას, ზაზა თოფურიას მიეცა ღვთისგან დაშვებული მისია, რომ წარმოაჩინოს უძველესი სამყაროს ზეაღმატებულობა, მათი საკრალური მისტიკურობა, ირაციონალური იდუმალება, რომელიც არის წინარეისტორიული ხანა, კაცობრიობის სათავეებიდან.

მას ასახული აქვს ცნობილი ისტორიული კულტურების, შუმერების, ეგვიპტემაიას ტომის ზეაღვსთილობის მასწავლებლები.

მე-20 საუკუნის ბოლოდან, ის ღებულობდა სიზმრისეულ შთაგონებას უცნობი ცივილიზაციის შესახებ. ქმნიდა უამრავ ნახატებს, ჩანახატები კი თვითმხილველთა აზრით საუცხოო შინაარსის მატარებელია.

ამ სახის თემატიკურად განსხვავებულობის პირველი სურათი არის **„ძველი მისტერია“**, ლამაზი მკერდშიშველი ქალი უძველეს წარმართულ ტაძარში ასრულებს რიტუალურ ცეკვას, ხელში უჭირავს საკრავი ინსტრუმენტი, რომლის დაკვრისას მისი სხეული ირხევა ნაზად, ტანზე შემოხვეულ სამეფო კობრასთან ერთად. იქვე ახლოს განძით სავსე სკივრებია.

რიტუალი ემსახურება სულიერი საგანძურის გველისებრ სიბრძნის, სამყაროსეული იდუმალებისა და დაფარული ცოდნის მოპოვებას.

ოქროსა და სხვა ძვირფასი თვლებით შემკულ სკივრებზე ოთხი ქალი-ღვთაების ქანდაკებებია გამოსახული, რომლებიც ოთხ სტიქიას განასახიერებენ. ქალის ერთმანეთზე გადადებული ფეხები, ლამაზი ბუნების მიერ ქალური ეშხისა და მოქნილობის შერწყმაა სულიერებასთან. რაც მაგიური მისტერიებითაა წარმოჩენილი.

მხატვრის ახსნით, სიზმრისეული გამოცხადებით, ძველი წარღვნამდელი მისტერია ღვთის დაშვებით განცხადდა.

ამ სურათს მოჰყვა მსგავსი საიდუმლოებით ბრძენკაცთა სიზმრისეულ ზუ- მოცხადებით წარმართული რიტუალებით, თუ სხვადასხვა სიუჟეტებით დატვირთული სურათები.

მათ შორის გამოირჩევა ნახატი სახელწოდებით **„წარღვნამდელი ცივილიზაცია“**, სადაც წარმოჩენილია მთელი სტრუქტურა უძველესი ქვეყნისა, სახელმწიფოებრივი წყობით, ტაძართა აგებულებების კონტურებით. სურათის ზედა ნაწილში დახატულია თითქმის განღმრთობილი ქურუმთა საბჭო, რომელიც ქვეყანას განაგებდა არსთა გამრიგეთა შერწყმული გონით. სურათის ცენტრში სხვადასხვა სიმბოლოებით წარმართული ტაძარია გამოსახული. ხოლო გვერდებზე სახელმწიფოს მთავარი მოხელეები, რომლებიც ამ ქვეყნის ყოფა-ცხოვრების წარმმართველ ძალას წარმოადგენენ, მთავარი არქიტექტორი, მთავარი განძთ მცველი, მთავარი აქიმი, მოსახლეობის აღმწერი, ჟამთა მემატიანე და სხვანი.

სურათის ქვედა ნაწილში, გარკვეული ადგილი უჭირავს საკრალური ტაძრების სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი საყრდენი მომლოცველს, იდუმალი მძივებით შემკული ქალი ღვთაებებს, იდუმალური რიტუალების შესასრულებლად.

ამ სურათზე არ ჩანს მეფე ქურუმები, აქედან გამომდინარე სავარაუდოდ, შესაძლებელია რომ ეს ამ ქვეყნის გვიანდელი პერიოდი იყოს.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ სურათზე წარმოდგენილია ქვეყნის სულიერი თუ მატერიალური სამყაროს, სასულიერო თუ საერო პირების ერთიანობის გამოხატულების შერწყმის თავისებური მომენტი. სურათის შექმნამდე იქმნებოდა ჩანახატი თაბახის ფურცელზე ფანქრით ან ავტოკალმით.

1993-2012 წლებში ფერწერული სურათების გარდა შექმნილი აქვს 3500 ჩანახატი, რომლებიც ინახება მშობლიურ სოფელ მაცხოვრისკარში, მისსავე სახლში, მის მიერვე გაკეთებულ ორნამენტებით დამშვენებულ სპეცსაცავში.

ამჟამად, საგამოფენოდ მზად აქვს სამოცამდე სურათი.

დიდი მოწიწება და სიყვარულია ჩადებული ახალგაზრდა შემოქმედის ნამუშევრებში. მხატვარ ზაზა თოფურიას შემოქმედებას ძირითადად ახასიათებს ფერწერული სისადავე და პერსონაჟებისადმი დიდი პატივისცემა. მის მიერ გამოსახული ბრძენნი, ქურუმები უძველესი ცივილიზაციის ადეპტები, თავისი საიდუმლო რიტუალებით, რომელიც ემსახურება ადამიანის სრულყოფას, ამქვეყნიური თუ მიღმიერი სამყაროს შემეცნებას, სულიერ საწყისებში გარკვევას.

ერთ-ერთ ნახატში **„მისტერია თმით“** მხცოვანი სახის ღვთაება, სამკუთხედზე თმით არის შეკრული. სამკუთხედის წვერო გამოხატავს სწრაფვას ზეცისკენ, თავდაყირა სამკუთხედის წვეტი კი მიმართულია ქვესკნელის შემეცნებისათვის. თმას კი ინფორმაციის გამტარიანობას მიაწერდნენ უძველესი დროიდან. ღვთაება მამაკაცი მედიტაციით გაგრძნობის რიტუალს ასრულებს.

სხვა ნახატში გამოსახულია ქალი-ღვთაება, რომელსაც სამკუთხედის ნაცვლად თმებით შეკრული წრიულ ფორმაშია. აქვს მარადიულობისა და მზიური განფენილობის გამოხატულება. ფერწერულ ნამუშევრებში გადმოცემულია იმდროინდელი მაგიურ-მისტიკური სამყარო, თავისი კანონზომიერებითა და განუმეორებლობით. სურათებზე გამოსახული ტაძრები დიდი საკრალური თუ საკანონმდებლო დანიშნულების ნაგებობებია. ჩვენ ვხედავთ ოთხი სტიქიის თაყვანისცემას. ერთ-ერთ ნაგებობების შიდა ნაწილში წყლის სივრცეა და ამ სივრცეში ნავებში ჩამსხდარი ქურუმები და ქვეყნის მესვეურები ასრულებენ საიდუმლო ლოცვას, კედელზე გამოსახულია გველ-ღვთაებათა ქანდაკებების გარშემო ლოცვები, წარმართული ღმერთების სადიდებელი და სიბრძნისმეტყველების მარგალიტები.

ზოგიერთი ნაგებობების შესასვლელში უზარმაზარი სახეა წარმართული ღმერთის, რომელიც ასახავს იმდროინდელ გაბრძნობის მოყვარეთა შეღწევას ამა თუ იმ არსობრიობაში, რომ დაემსაგავსებოდნენ მას, წარმართულ ღვთიურ სამყაროში.

გამომსახველობის ხელოვანს დახატული აქვს მეფე-ქურუმების პორტრეტი, რომელთა გვირგვინს ამკობს ძვირფასი ქვა, შესაძლებელია უფრო ალმასი ან მარგალიტი იყოს. როგორც ვიცით ალმასი თუ მარგალიტი კრისტალური აზროვნების გამოხატულებაა.

წმინდა აზროვნებით ადამიანი ეუფლება დიდ სამყაროსეულ ცოდნას. შემეცნების წარსული და აწყმო ჭვრეტს მომავალს. მეფე-ქურუმი შეიძლება ითქვას, მეფე მკურნალია, იმ ეპოქის ხალხისთვის სახელმწიფოებრიობის უმაღლეს საფეხურზე მყოფი ნიშანსვეტი იყო. ამომავალი მიწიერი მზე, როგორც სულიერ სფეროში ისე მატერიალურში. სურათებში ჩანს, რომ იმ ხანაში ვერსად ვერ ვაწყდებით საბრძოლო, ომისთვის მზადყოფნის დანადგარებს, რადგანაც მაშინ ეს ქვეყანა მშვიდობიან ცხოვრებას ეწევა.

ეს ის ეპოქაა, როგორც ბიბლიაში და ინდურ მითოლოგიაშია მითითებული, როდესაც ნათელი პერიოდი იყო კაცობრიობისათვის. ინდურ მითებში წერია: სატია იუგა ხასიათდება პატიოსნებით, სიბრძნითა და რელიგიურობით, ამ ციკლში არ არსებობს უგუნურება და მანკიერება. ეს იუგა გრძელდება 1.728.000წ. ადამიანებს შორის არ იყო დავა და შუღლი.

ერთ-ერთ სურათზე გამოსახული საზღვაო ხომალდი, რომელზეც დიდი, უზარმაზარი ზომის არბალეტია დამაგრებული, რაც ოკეანეში მცურავ დიდი ზომის ურჩხულესებრ ფორმის თევზების განსაგმირადაა გამოსაყენებელი.

მხატვარმა ზეშთაგონებით მიიღო ცნობა, რომ ეს იყო კუნძულოვანი სახელმწიფო და ეს სახელმწიფო წარღვნის შედეგად დაიღუპა. სურათზე ჩანს სიბრძნისა და სულიერების სიმბოლო ქვეწარმავლები: გველები, ხვლიკები და მათი თაყვანისცემა. მათთვის ასევე სათაყვანებელია წმინდა ქვა, და სხვადასხვა ძვირფასი ქვები. ერთი შეხედვით ეგვიპტის თუ მაიას კულტურათა ნაგებობების მსგავსი პირამიდებია, მაგრამ არა, ეს არის წინარეპერიოდი, როგორც შუმერთა, ეგვიპტელთა თუ მაიას ცივილიზაციებისა. აქ აქცენტი რთულ საოცრებებში გამოსახული წარწერები, თითქმის საწყისად შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიო ყველა დამწერლობისათვის. აქ გამოსახული გემთმშენებლობის გრანდიოზულობა, ასტრონომია, ასტროლოგიის მიღწევები, ლითონდამუშავების ნატიფი ხელოვნება, სიბრძნისმეტყველებისა თუ ნათელმხილველობითი ამაღლებულობა. აქ გამოსახულია ის, რამაც საფუძველი დაუდო ეგვიპტურ თუ მაიას ტომთა საოცრებებს და რაოდენ საინტერესოა თუ რომელი ქვეყანაა ეს.

ჩემი, როგორც მეცნიერ-მკვლევარის აზრით, ეს ქვეყანა ატლანტიდაა. ვინაიდან, ეს ქვეყანა სწორედაც კუნძულოვანია. ატლანტიდაც კუნძულზე მდებარეობდა. ატლანტიდელებს ჰქონდათ საკრალური კრისტალი. ცნობილია, კრისტალური აზროვნების მქონე განღვრთობილს შეეძლო გადაელახა სხვადასხვა დაბრკოლებები. ეს იქნებოდა ურჩხულთა გარემოცვა თუ მხეცური ბუნების სიველურე. ისინი მშვიდობიანად გადიოდნენ ამ დაბრკოლებებს წელგამართულნი, აზრობრივ სიწმინდის მფლობელნი.

თვითონ უფალი იესო ქრისტე გვასწავლიდა გველისებრ სიბრძნესა და გულის უმანკოების შესახებ.

გულის განწმენდა გონების ძალისხმევითა და შთაგონებით ხდება. როდესაც განიწმინდება გული და სული, ადამიანი ზეაღმატებული ხდება, ის წვდება ღვთაებრიობის დასაბამს.

ძველ წყაროებში ატლანტიდა მოხსენიებულია, როგორც გველის კუნძული. ეგვიპტურ მითოლოგიაში ვკითხულობთ, რომ გველის კუნძულიდან მოსულმა ღვთაებებმა ჩაუყარეს საფუძველი ეგვიპტურ ცივილიზაციას. შემდეგ ბერძნულ და სხვა ცივილიზაციებს. მოყვანილი გვაქვს მაგალითად ეგვიპტისა და ათენის სახელმწიფოთა დამაარსებელი ქალღმერთი ნეითი, ეგვიპტური თქმულებებით ატლანტიდის შესახებ, ბერძენთა ათენას მსგავსი. ბევრი რამ ბურუსით მოცულია. მაგრამ ერთი რამ ითქმის, ფაქტი ჯიუტია. ატლანტიკის ოკეანის გარემომცველ ტერიტორიებზე არქეოლოგიური მონაპოვრები და ზეპირი გადმოცემები მიუთითებს ოდესღაც არსებული გარემომცველი ტერიტორიების სახელმწიფოს ნაკვალევს.

მწერალი ვლადიმერ ალფენიძე ნაშრომში **„ატლანტიდური ჩანაწერები“** წერს ატლანტიდის შესახებ.

მსოფლიო ლიტერატურის გადათვალიერების დროს თვალში მომხვდა საქართველოს ისტორიაში დღემდე უცნობი წარღვნამდელი ხალხი **„კოლხუა“**, რომელსაც მსოფლიო მკვლევარები კატასტროფამდელ ატლანტიდის მოსახლე ხალხად მიიჩნევენ და მას დიდ კულტურულ როლს მიაწერენ წარღვნის შემდგომი პერიოდის ატლანტიკის ოკეანის გაღმა ცივილიზაციების განვითარებაში. ატლანტიდას ერქვა კოლხეთის მეფის ახლო ნათესავის სახელი **„ატლანტიდი“**.

უძველეს დროში პირველი დასაბამისეული მოდგმა, როგორც მითითებულია ბევრ ისტორიულ წყაროებში, კოლხურ-იბერული ნათესავია, რომელიც განფენილი იყო დიდ ტერიტორიაზე.

ერთ-ერთ მათგანს ატლანტებს, პოსეიდონის ხალხად წოდებულს გველთაყვანისცემის გამო ეწოდა გველის კუნძულზე მცხოვრებნი. ასევე იყო სხვა სტიქიებისა და კრისტალის თაყვანისცემა. სხვადასხვა ადგილებში კოლხ-იბერთა მოდგმის სათაყვანებელი კერპი იყო ცის მნათობნი, მუხა, წყალი, ცეცხლი და ა.შ. ზეციურ სამყაროს აღქმა, ვარსკვლავთმრიცხველობა. ეს დიდი კოლხური მოდგმა ამ ბრწყინვალე შემეცნების დიდი საგანძურის მფლობელი იყო.

საინტერესოა ზაზას სურათებში წარმოჩენილი ბრძენკაცთა სამარხები, თავისი სიმბოლოებით ძვირფასი ქვებით, ზოგი სავარძელში განისვენებს, ზოგიც კიდევ სპეციალურ მათთვის განკუთვნილ აკლდამაში.

მის შემოქმედებაში ჩანს ბრწყინვალე სემიოლოგიური ნიმუშები, რომლებიც მხატვრობის დონეზეა აყვანილი.

სხვადასხვა ნიშნები, სიმბოლოები, რომლითაც კაცობრიობა საზრდოობდა ათასწლეულების მანძილზე. მის ნახატებში ჩანს მათი წმინდა მისტიკური დატვირთვა.

ზაზა თოფურიას ჩანახატებში, რომელიც როგორც ავღნიშნე, 3.500 ჩანახატს ითვლის, ძირითადი მისტიკაა წარღვნამდელი ცივილიზაცია. მას დახატული აქვს მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა კერძოდ, ინდიელების, აფრიკელი ტომების, ინდოელთა თუ ჩინეთის ბოლომდე შეუცნობადი კულტურების შესახებ ჩანახატები, სადაც მათი რელიგიური თუ საყოფაცხოვრებო სცენებია წარმოდგენილი. ეს ჩანახატები ელის ფერწერული სურათების სახით წარმოჩენას, რაც მომავლის საქმეა და დიდად წაადგება შემეცნებითი საქმიანობით დაინტერესებულ მეცნიერ-მკვლევარებს.

მხატვარ ზაზა თოფურიას ფერწერული გამოფენები ჰქონდა: აბაშაში, სენაკში, ფოთში, თბილისში და ბათუმში. ნამუშევრებმა საზოგადოების დიდი მოწონება და აღფრთოვანება დაიმსახურა. მოვიყვან რამდენიმე ჩანაწერს, რომელიც სხვადასხვა მნახველების მიერ განთავსდა მხატვრის შთაბეჭდილებების წიგნში:

“მხატვართა კავშირის სამდივნოს სახელით გილოცავთ, თქვენი ნიჭის დემონსტრაციის დღეებს, ჩვენთან. იმედია, მალე დიდი გალერეის სტუმარი იქნებით. წინასწარ გილოცავთ წარმატებებს.

**გოგი ოჩიაური.**

“ძვირფასო ზაზა! მე ძალიან განმაცვიფრა თქვენმა შემოქმედებამ, ის უბრალოდ არაჩვეულებრივია და ინდივიდუალური მეცნიერება სემიოლოგიის ფერმწერის ენით გამოხატვაა.

გულწრფელად თქვენი ნიჭის დამფასებელი. მოსკოვის ხელოვნებათმცოდნეობის ინსტიტუტი.

**დოქტორი – პაველ პიმენოვი.“**

“მე დიდად ნასიამოვნები ვარ იმით, რომ მომეცა საშუალება მემოგზაურა, თქვენს საოცარ სამყაროში, აშკარად ნასიამოვნები და აღფრთოვანებული ვარ. მადლობა განგებას და თქვენ! ასეთი საოცარი დღისათვის.

**დავით ჭითანავა“**

“2009 წელს ფოთის საგამოფენო დარბაზში უკვე მეორედ მოეწყო მხატვარ ზაზა თოფურიას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია დამთვალიერებლებში. განგებამ დაგაჯილდოვათ ლამაზი სულით.

**გოგი გაგუა.“**

მისივე ანუ გოგი გაგუას თქმით, ევროპის საგამოფენო დარბაზებში, სურათების გამოფენის მოწყობის შემდეგ ზაზა თოფურია მიაღწევს უფრო მეტ სახელმოხვეჭილობას, ვიდრე სიურეალიზმის დიდოსტატის სალვადორ დალის დიდებაა!

ღმერთმა ქნას, თავისი დიდი გეგმები განეხორციელებინოს ჩემს თანამემამულეს, თვითნასწავლ, თვითნაბადი ნიჭით დაჯილდოებულ, განსხვავებულობით გამორჩეულ ზაზა თოფურიას, თავისი ხელოვნების ნიმუშებით.

იმედია, ამ ღვთითდაშვებულ ფენომენს, მსოფლიოს საზოგადოება სწორად შეაფასებს და საკადრის ადგილს მიუჩენს ხელოვანთა ფასდაუდებელ პლეადაში, რომ ამ ნიჭის დაფასებით ჩვენს ქართულ საზოგადოებას მიეცეს წინსვლა და წარმატება, მეცნიერებისა და სახვითი ხელოვნების საკეთილდღეოდ.

**მალხაზ (ლაზარე) გრიგოლია**



მთვარისა და ნუგზარ ზარქუები შვილებით: ნინო, ნატო, კახა ოჯახებით თანაუგრძნობენ მაყვალა და კოხტა კვარაცხელიების ოჯახს შვილის

ლაშას

ტრაგიკულად დაღუპვის გამო

# ქართული მუშტი დაშნაკურ დინგში...



**"ღორის ტილს ფეხზე რომ დაისვამ, თავზე შეგაღოღდებაო"** – ღაღადებს ქართული ხალხური სიბრძნე. რომ ვერ გავიგეთ, ისე შეაღოღდა შევარდნაძის **"წყალობით"** გაქეციანებული ქართული პოლიტიკის თავს ეთნიკურად სომეხი და სულიერად დაშნაკი მიხეილ სააკაშვილად წოდებული არარაობა – სააკიანცი (აქვე გაუწყებთ, თუ რატომ მოკლეს სააკაშვილის დაკვეთით ცნობილი ქართველი მეცნიერი გურამ შარაძე. მან განათლების სამინისტროს არქივში მიაკვლია საბუთებს, რომლის თანახმადაც, მეხუთე კლასამდე, მიხეილ სააკაშვილი სკოლაში ირიცხებოდა როგორც **"გარეგინ სააკიანი"**. თავისთავად ტრაგიკული ამაში არაფერია, რადგან ერთი ქვეყნის სათავეში ყოველთვის შეიძლება აღმოჩნდეს მეორე ქვეყნის მოქალაქე, მაგრამ როცა ეს სხვა ქვეყნის მოქალაქე გინგრევს სულიერებას, რელიგიურობას და სახელმწიფოებრიობას, აქ უკვე განგაშის ზარია დასარისხებელი, უბეში შემომძვრალი გველი კი – თავგასაჭეჭყი).

**კგბ**-ს ჯარების ეფრეიტორი სააკიანცი თითქოს შეუმჩნევლად შემოძვრა ქართულ პოლიტიკაში, მისი შემდგომი საქმიანობა კი ისეთივე ამაზრზენი გამოდგა, როგორიც მისი წინამორბედი გერმანელი ეფრეიტორისა!

**ირაკლი კორძაია: „ჩვენი მმართველი პარტიის ბევრ ლიდერს რომ ვუყურებ და ვუსმენ, მახსენდება 2003 წელი. ჯერ ადრეული ზაფხული, მერე შემოდგომა. 2003 წლის 23 ნოემბერსაც კი, ბევრ მათგანს (მოქ კავშირის ელიტას) ვერც კი წარმოედგინა, რომ რამდენიმე წუთში პარლამენტის სხდომათა დარბაზის კარში ეს შლეგი შემოვარდებოდა. (პრეს-ლოჟიდან ვადევნებდი ამ საშინელებას თვალ-ყურს) არ ეჯერათ, რადგან დღევანდელების მსგავსად, პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე არ იღებდნენ და ისე შეჰყურებდნენ შევარდნაძეს, თითქოს იცოდნენ, რომ მას რეზერვში ორი-სამი მაგიური სიტყვა და ჟესტი ქონდა შემონახული – ჰოპ! ჰაპ! და ყველაფერი დალაგდება.**

**დაახლოებით ასეთივე ირეალურ სივრცეში ცხოვრობს დღევანდელი მმართველი პარტიაც. რომელსაც არა საკუთარი ძალის, ინტელექტის თუ, ბოდიში მომითხოვია და, ინტუიციის იმედი აქვს, არამედ იმ ერთ კაცს შესცქერის, ლამის მისტიური რწმენით. ეს პოზიცია ყველაზე მომგებიანია ზარმაცი და უპასუხისმგებლო პოლიტიკოსებისთვის. არადა, სიმშვიდის საბაბი ცოტაა. მე არ მჯერა, რომ "ნაცებს" რევანშისთვის საკმარისი რესურსი გააჩნიათ. მაგრამ, სხვა ჯგუფებთან ერთობლიობაში ქვეყნის არევდარევის ძალა გამოინახება. ამას დაამატეთ პოლიციაში და სუს-ში ჩაბუდებული და დაწინაურებული წინა რეჟიმის დამნაშავეები, რომლებიც დღესაც "ვანოს დროს" მისტირიან და მის სადღეგრძელოებს სვამენ...**

ნამდვილად არიან **სუს**-ში და პოლიციაში ჩაბუდებული ამგვარი **"დვურუშნიკები"**, რომლებიც დღესაც იმის მოლოდინით სულდგმულობენ, რომ სააკიანცი თავისი ბანდით დაუბრუნდება ხელისუფლებას და მათ **"ერთგულებას სათანადოდ დააფასებს"**!

სწორედ ამგვარმა თანამდებობის პირებმა წამოაღირღიტეს გველებივით თავი ამას წინათ, როცა სავსებით უწყინარი და **"ოცნების"** ხელისუფლების მხარდასაჭერი ღია წერილი მივწერეთ ერთ-ერთი რაიონის სამართალდამცავს. მთავარ გამპროტესტებელი **სუს**-ის რომელიღაც თანამშრომელი აღმოჩნდა, რომლის ვინაობას მალე დავადგენთ და უკვე სულ სხვა შინაარსის წერილს მივწერთ, არა მხოლოდ მას, არამედ საქართველოს **სუს**-ის უფროსს ბატონ გომელაურს, რათა მან სასწრაფოდ გაწმინდოს სისტემა ნაცების მხარდამჭერი არამზადებისაგან, რადგან **სუს**-ის მოვალეობა წესიერი მოქალაქეებზე თვალის დევნება და მათი პოლიტიკური მრწამსის დადგენა კი არ არის, არამედ იმ რეაქციონერ ნაციონალთა ბოროტი განზრახვების გამომზიურება, რომლებიც ცდილობენ ქვეყანაში არეულობის შექმნას! მაგალითად, იმავე **სუს**-ის თანამშრომელს ვკითხავდი – დარწმუნებულია, რომ ავადსახსენებელ ნაცებს და მის ბანდიტებს კიდევ რამდენ ადგილზე არა აქვთ მოწყობილი სამეგრელოში იარაღის სამალავები, რომელთაც ისინი ქვეყანაში სისხლიანი გადატრიალებისათვის გამოიყენებენ?

**სუს**-ის მოვალეობა ის უნდა იყოს, რომ ამ დღეებში საქართველოში შემოსულ ყოველ პიროვნებაზე დაწესდეს მკაცრი მეთვალყურეობა და მათი მხრიდან საეჭვო საქციელის დაფიქსირების შემთხვევაში უნდა მოხდეს ამ პიროვნებათა იზოლაცია, აუცილებელ შემთხვევაში კი – ლიკვიდაციაც, რადგან გამორიცხული არ არის, რომ სამართალდამცავებისა და საზოგადოების ელემენტარულმა უგულისყურობამ გამოიწვიოს უდანაშაულო ხალხის სისხლისღვრა!

ავადსახსენებელ ნაცდივერსანტებს მანამდე უნდა გავუჭეჭყოთ თავი, ვიდრე ისინი აქტიურ დივერსიულ ქმედებებზე გადავლენ და მასიურ სისხლისღვრამდე მიიყვანენ საქმეს!

ნაცდაშნაკები უკვე აღარც კი მალავენ, რომ მათი გენერალური გეგმაა აჭარაში არეულობა და ანარქია, რასაც მიაღწევენ იქ შეთესლილი მსტოვრების ხელით. მათ მიზნებში ასევე შედის სამეგრელოში გუბერნატორ ლევან შონიას ჩამოშორება, რადგან ის ერთადერთია ვინც იმათ ებრძვის. ასევე, ნაცების გეგმაში შედის შავი პიარის აგორება ხელისუფლებისადმი. უტოპიურია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამ არაკაცებს განზრახული აქვთ სააკიანცის ზღვით შემოყვანა და დასავლეთ საქართველოს მოწყვეტა აღმოსავლეთისაგან. სწორედ ამიტომ უნდოდა ამ არაკაცს საქართველოს დედაქალაქის ქუთაისში გადმოტანა, რათა აღმოსავლეთ საქართველოში თავისი თანამემამულე სომხები ჩამოასახლოს სირიიდან თუ სხვა ქვეყნებიდან!

სამწუხაროა, რომ ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე, რომელსაც თავი ბრძენ ადამიანად მოაქვს, დაშნაკი სააკიანცის ამ ვერაგულ ჩანაფიქრს ვერ ხვდება!

სწორედ ამ გეგმის მომწყობებს მიმართავენ პატრიოტი ქართველები: **"სულ არ გვაინტერესებს, ვინ გიჭერთ მხარს, ვინ გყავთ ხელისუფლებაში მოკავშირეები და რას აკეთებენ ბიძინას ყურს მიღმა გამყიდველები? ჩვენ გიტირებთ ყოფას, 2003 წელს ვერ მოგართმევთ, თქვე სისხლისმსმელო პირუტყვებო! პატრიოტები და ქვეყნის ერთგული ხალხი ბევრი ვართ და მკაცრად გაგისწორებთ ანგარიშს თქვენი ავკაცობისათვის. თუ წარსულის სიბოროტეზე მწარედ არ გაგებინეთ პასუხი, ეს არ ნიშნავს, რომ ახალ დანაშაულს გაპატიებთ – ორივეს ერთად მოგკითხავთ და ბოძებზე ჩამოგაკონწიალებთ ყველას!"**

საფრთხე კი რეალურია, რადგან უკრაინაში ჩარეცხილი და კორუფციაში მხილებული სააკაშვილი ერთობ აქტიურად გადმოერთო საქართველოს წინასაარჩევნო ბატალიებში! გაგიკვირდებათ და, ქართველი ხალხის მიერ გაპანღურებული ნაცფიურერი თავის ნაცებს დიდგორისენ მიერეკება!

საქართველოში წინასაარჩევნო კამპანიის გახურებისთანავე, პრაქტიკულად, დღე არ გავა, სააკაშვილმა ოდესიდან რამე არ დაიყრანტალოს. ასე მოხდა ივლისის დასაწყისშიც, ნაციონალების დელეგაციასთან შეხვედრის დროს: **„ჩვენ უკან დასახევი გზა არ გვაქვს. საერთოდ მოჭრილი გვაქვს უკან დასახევი გზა... ამ არჩევნებს ან ივანიშვილი მოიგებს, ან „ნაციონალური მოძრაობა"! ივანიშვილს უკვე წაგებული აქვს. როცა ვინმე რამეს გეტყვით 9 წელზე, სახეში გაუცინეთ იმიტომ, რომ მე ძალიან ვამაყობ საქართველოს ისტორიაში ყველაზე წარმატებული სამწუხაროდ არა 9 წლით, არამედ 8 წლით და ცოტა მეტით. ნეტავ ყოფილიყო 9, 10 და 12 წელი!"**

დიახ, სააკაშვილი ურცხვად ამართლებს და იოტისოდენა სინანულსაც კი არ გამოთქვამს იმ 9-წლიანი ჯოჯოხეთის გამო, რომელიც მან და ნაცბანდამ საქართველოს თავს დაატეხეს!

ამიტომ არის აუცილებელი, რომ ეს არამზადა სამუდამოდ ჩამოვაშოროთ ქართულ პოლიტიკურ არენას!

ავადსახსენებელმა სააკაშვილმა იმავე შეხვედრაზე ნაცებს მოუწოდა – აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის დასაწყისში დამაგვირგვინებელი ყრილობა, არც მეტი – არც ნაკლები, დიდგორის ველზე ჩაატარეთო!

**"ჩვენ ახლა ვართ ძალიან მაგარ ფორმაში, მაგრამ ეს არის ფორმის დასაწყისი. ყრილობისთვის ვიქნებით უფრო ძალიან მაგარ ფორმაში. საბოლოო ღონისძიება იქნება არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე რომელიმე სტადიონზე და იქ სულ სუპერფორმაში ვიქნებით. ჩემი წინადადებაა, რომ ჩვენი ყრილობა დიდგორის ველზე გავმართოთ და არა ტრადიციულ დარბაზში. იქ ძალიან კარგი აურაა იმიტომ, რომ ეს არის საქართველოს დიდგორი. ჩვენ უკან დასახევი გზა არ გვაქვს. საერთოდ მოჭრილი გვაქვს უკან დასახევი გზა. მეორე მხარეს არის ძალა, რომელიც ყველა სიბინძურეზე წამსვლელია, ხოლო აქეთ მხარეს არის ხალხი, რომელიც თავის ქვეყნისთვის თავის გაწირვისთვის მზად არის. ბინძური თავგანწირულზე ვერასოდეს გაიმარჯვებს"**, – განაცხადა რამდენიმე დღის წინათ კაგებეს ჯარების ეფრეიტორმა სააკაშვილმა.

როგორც კი გავიგე, რომ სააკაშვილმა დიდგორი ახსენა, გამახსენდა გორში 2008 წლის 11 აგვისტოს მისი სამარცხვინო გაქცევა. იქ მაშინ სრული სიმშვიდე სუფევდა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კუშნერი თანმხლებ პირებთან ერთად მშვიდად იდგა და ელოდებოდა, რომ სააკაშვილი ინტერვიუს დაასრულებდა და მას მიესალმებოდა. პათოლოგიურ ლაჩარს და ფსიქოპათ სააკაშვილს უცებ რაღაცა მოელანდა ცაში და მთელ საქართველოს თავი მოსჭრა – თავქუდმოგლეჯით გაიქცა!

დიახ, სააკაშვილს აშკარად ეზმანება ის დრო, როდესაც მას მლიქვნელები **„ახალ დავით აღმაშენებელს"** ეძახდნენ! მაგრამ ამ შემთხვევაში აშკარაა: სააკაშვილი დიდგორზე საქართველოს გასაპარტახებლად და ასაოხრებლად გამწესებული ნაცურდოს ილ-ღაზია! ამიტომ არ უნდა დავუშვათ ამ ნაცდაშნაკი არამზადის პარპაში საქართველოსათვის საამაყო დიდგორზე – დიდი და პატარა უნდა შევიკრიბოთ დიღომში და გზა გადავუკეტოთ საქართველოს დამაქცევარებს დიდგორისაკენ!

ოდესის ოლქის გუბერნატორ სააკიანცს პოლიტიკური ამბიციები არ შეუნელდება, ვიდრე ცოცხალია: მისი არასრულფასოვნების კომპლექსი და ამ კომპლექსით გამოწვეული მეგალომანია, მისი ნარკომანიული დამოკიდებულება ძალაუფლებით ტკბობაზე; სხვა ადამიანებისათვის საკუთარი ახირებული ნების ძალით მოხვევის და საზოგადოებისა და მას-მედიის ყურადღების ცენტრში ყოფნის დაუოკებელი სურვილი განაპირობებს იმას, რომ სხვანაირად არსებობა არ შეუძლია.

ამრიგად, მკაცრ კონტროლზე უნდა ავიყვანოთ ნაცების ყოველი ნაბიჯი, რადგან დღეს მათ რიგებში აღარ არიან პატიოსანი ადამიანები. ასევე მკაცრად უნდა ვაკონტროლოთ ნაცების სატელიტი პარტიები – გიორგი ვაშაძის და პაატა ბურჭულაძის პარტიის წარმომადგენლების დღის წესრიგი, რადგან, ეჭვსგარეშეა, რომ ისინიც ეცდებიან სიტუაციის არევას ნაცების დაკვეთით!

ყველა ქუჩაზე, უბანში, სოფელში უნდა შეიქმნას ხელისუფლებისა და პროგრესულ ძალათა მხარდამჭერი სპეციალური რაზმები, რომელნიც იმოქმედებენ სამართალდამცავებთან ერთად, იმორიგევებენ საარჩევნო უბნებთან და ძირშივე აღკვეთენ პროვოკაციის ყოველ მცდელობას.

არა და, სიტუაცია უკვე დაძაბულია და მზად უნდა ვიყოთ ყოველი მოულოდნელობისათვის.

ქვეყნის თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი რომ იტყვის, – „ერთი სული მაქვს ამ საქაჯეთიდან ჩემ შვილებსო როდის წავიყვანო!" – დამთავრებულია იმ ქვეყნის საქმე!..

მაგრამ მართლმადიდებლური ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარე და იმავდროულად თავდაცვის მინისტრის ქმარი დავით უსუფაშვილი რომ დაგმოძღვრავს **„ბიბლია ბოროტებააო"**, ე, მანდ, თუ ერი გქვია, უნდა აიღო კომბალი, დანა, ჩანგალი, ტაფა და იმდენი ურტყა, რუსის ბარაბანს რომ არ მოხვედრია!!!

ბატონ ბიძინა ივანიშვილს ქართველი ხალხი აკი უკიჟინებდა – „რესპუბლიკელები" და **„თავისუფალი დემოკრატები"** გიგანებენ და ქვეყანასაც დაღუპვისკენ წაიყვანენო!.. იმასაც ეუბნებოდნენ, **„ფორუმმა"** კრიტიკულ სიტუაციაში არაეროვნული გადაწყვეტილებების მიღება იცისო, მაგრამ არ დაიჯერა და გიჟივით თავის ნებაზე მიუშვა. შედეგიც სახეზეა!

სააკაშვილი საქართველოსკენ მოილტვის და უკვე აღარც კი მალავს, რომ აქ, სასეირნოდ არ ჩამოდის. მიშა ისეთ მოწოდებებს აკეთებს ჩვენი მეგობარი ქვეყნიდან, რომ ნებისმიერი თავმოყვარე ქვეყნის ხელისუფლება, ასეთი გამონათქვამების გამო უკრაინას ნოტას გაუგზავნიდა, თუმცა იმაზე აღარაფერი ვამბობ, რომ ფაშისტური რეჟიმის პრეზიდენტი მიშა ქვეყნიდან ოცნების ხელისუფლებამ ხელშეუხებელი და ინდულგენციებით დახუნძლული გაისტუმრა.

მოდის და მოვიდეს, ოღონდაც აქ, ყველაზე საინტერესო ის არის, რა ვითარება და რა კონტიგენტი დახვდება!.

აშკარაა, რომ პრეზიდენტადწოდებული მარგველაშვილი **„ნაციონალურ მოძრაობას"** უთანაგრძნობს, მიშას ერთგულია პარლამენტის 45 **„ნაციონალი"** დეპუტატი, **„ნაცების"** დროინდელი კადრები სახელმწიფო დაწესებულებებში ჯერ კიდევ თბილად არიან მოკალათებულები, არასამთავრობო სექტორის უდიდესი უმრავლესობაც ნაცებისაა, მხარდამჭერები ჰყავთ სასამართლო ხელისუფლებაში, საკრებულოებში...

ამას დამატებული **„ქართული ოცნებიდან"** დისტანცირებული სატელიტი პოლიტიკური პარტიები...

ანუ, სააკაშვილს საქართველოში სიტუაციის ასარევად დიდი ძალისხმევა არც კი დასჭირდება, რადგან ზემოთ ჩამოთვლილი სუბიექტები აბსოლუტურად საკმარისია იმისთვის, რომ გიჟმა ასანთს ხელი გაჰკრას და ცეცხლი დაანთოს!!!

ასეთი პერსპექტივის შემთხვევაში, თითქოსდა ყველაფერი **„ნაცებისა"** და მათი მხარდამჭერების სასარგებლოდ უნდა განვითარდეს, მაგრამ, ამავდროულად, იმედის ნაპერწკალი ის ხალხია, რომელსაც მიშას მობრუნებას სიკვდილი ურჩევნია, ამ ხალხს კი **„მისი უდიდებულესობა ქართველი ერი"** ჰქვია!

**„ეს ხელისუფლება არ მოგწონს? მერე რა პრობლემაა?! პირადად მე ასეთ დამოკიდებულებაში უცნაურს ვერაფერს ვხედავ, მაგრამ შენ, რომელსაც სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი გიყვარდა, უფრო მეტიც, ისევ მას მისტირი და გინდა, რომ უკან მობრუნდეს, ღირსი ხომ ხარ წიხლქვეშ იყო გაგდებული?!"**

სამეგრელოსა და გურიაში ჩატარებულმა არჩევნებმა აჩვენა, რომ შესაძლოა ცემატყეპის ამპლიტუდამ ოქტომბრისათვის პიკს მიაღწიოს, ამაზე მეტყველებს სოციალური ქსელში გაკეთებული კომენტარები თუ სტატუსები, როგორც **„ნაცების"**, ასევე **„ოცნების"** მხარდამჭერებს შორის:

**„ჩავაკლავთ!"**,

**„ხერხემალში გადავტეხავთ!"**,

**„ცოლ-შვილს ამოვუხოცავთ!"**,

**„ბოთლებზე დავსვამთ!"** და მრავალი სხვა... აი, ასეთი ველური, სრულიად დაუნდობელი და უკიდურესად ზიზღით გაჟღენთილი სიტყვები მოდის **„ფეისბუქიდან"**, მაგრამ თუ მეხსიერება არ მღალატობს, ღრანჭმოქცეული გივი თარგამაძე პარლამენტის დეპუტატია და როდესაც იგი იმუქრება – **„დაგვაცადეთ, ბიძინას გადარგული გლუვი ხის ტანზე ხერხემალში გადაგამტვრევთო"**, რას აკეთებს ამ დროს სამართალდამცავი ორგანოები, ამაზე რეაგირება არ უნდა მოახდინოს?!.

როგორც ერთი ჟურნალისტი აღნიშნავდა სოციალურ ქსელებში: **"კორცხელის ცემატყეპამ ორი რამ დაადასტურა: "ქოცების" სრული უნიჭობა და "ნაცების" ზებუნებრივი უტიფრობა"!**

ამიტომ არის აუცილებელი, რომ ჩვენ, ხალხი, უბრალო მოქალაქეები დავდგეთ ჩვენი ქვეყნის სიმშვიდის სადარაჯოზე და მართლაც ხერხემალში გადავამტვრიოთ საქართველოში არეულობისა და სისხლისღვრის მოსურნე მონსტრი!

**როლანდ ჯალაღანია,**
**"ილორის" მთავარი რედაქტორი**

---

**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცია თანაუგრძნობს ბატონ ანზორ ბარამიას დის**

**თინა ბარამია-ხულორდავას**

**გარდაცვალების გამო**

# ჩვენ სხვა გზა არ გაგვაჩნია, გარდა სიმართლისა!

ორი ათასზე მეტი მნახველი ჰყავდა გასულ კვირას საინფორმაციო ანალიტიკურ სააგენტო „**IVERIONI**“-ში გამოქვეყნებულ სტატიას – **„საპარლამენტო ავაზაკების შერჩევას სჯობს ანაკლია მოსალოდნელი საშიშროებისგან ვიხსნათ“ (მორიგი სამთავრობო ბლეფი ანაკლიაში)**. უამრავი ტელეფონის ზარი მოჰყვა იმავე სტატიის გამოქვეყნებას გაზეთებში **„საქართველოს რესპუბლიკა“** და **„ილორი“**. რამდენიმე ათეულმა მკითხველმა გამომიგზავნა შემოთავაზება:

**„–თუ საზოგადოების აზრის გამოკითხვას დააპირებთ „ანაკლია პორტის“ პრობლემებთან დაკავშირებით, სიამოვნებით ჩავერთვებით საორგანიზაციო ჯგუფებში!“**

იყვნენ ისეთებიც, თითქოს გახარებული მირეკავდნენ ჩემი სტატიის გამო, მაგრამ გამწარება უფრო ეტყობოდათ და საუბარს ერთი და იგივე კითხვით ამთავრებდნენ – **„კიდევ რამე ხომ არ დაგრჩათ ბატონო დავით „ანაკლია პორტზე“ სათქმელი?“**

თავიდან დიდი ყურადღება არ მიმიქცევია ამ კითხვისთვის, მაგრამ მისი შეფარული შინაარსი მაშინ გაცხადდა, როცა სამეგრელო ზემო სვანეთის საინფორმაციო პორტალ **NEWSPORTAL.ge**-ში გამოქვეყნებული **„ანაკლიის პორტი ციფრებში“** (იხ. ლინკი: http://newsportal.ge/anakliis-porti-cifrebshi) წავიკითხე!

ამ საინფორმაციო მასალის ავკარგიანობაზე ქვემოთ მოგახსენებთ, აქ კი იმას გეტყვით, რომ მართალნი ყოფილან ჩემი მკითხველბი როცა მეკითხებოდნენ – **„რამე ხომ არ დამრჩა ანაკლიაზე სათქმელი?“**

–სათქმელი, ნუ იტყვით და თურმე კიდევ ბევრია!

მკითხველთა კიდევ ერთი, საგანგებოდ საინტერესო ჯგუფი გამოიკვეთა ჩემი სტატიის გამოქვეყნების შემდეგ – ამ ჯგუფის წევრები მაღალი ინტელექტით, წლების განმავლობაში ნაგროვები ავტორიტეტით, საზოგადოებაში დიდი პატივისცემით, მაგრამ საკუთარი ინიციატივის, ქვეყნისთვის ექსტრემალურ სიტუაციებში აქტიურობის უქონლობით, კანონდამრღვევი მთავრობების მიმტევებლობით გამოირჩევიან.

რასაც მათ ვერ დაუწუნებ – დაწერილის ზედმიწევნით კარგად წაკითხვა, სიტუაციის ანალიზი და შეფასება, რა გაუხარდება ან ეწყინება მოქმედ ხელისუფლებას, შეიძლება თვითონ ავტორი ისე კარგად ვერ შიფრავდეს საკუთარ ნაწერს, როგორც ეს ყოვლისმცოდნენი!

სწორედ მათგან მივიღე საინტერესო და ასევე გამაოგნებელი შენიშვნა – **„სტატია მწვავე და საინტერესოა, რამდენიმე ისეთი საკითხი გამოიკვეთა იგი საგანგებო ყურადღებას იმსახურებს, მაგრამ, როგორ ფიქრობ – ღირს კი ამ საკითხებზე კარსმომდგარი არჩევნების წინ საუბარი?.. ხომ არ ჩაგითვლიან მას სამთავრობო საარჩევნო კომპანიის წინააღმდეგ გამოსვლად?..“**

მართალი გითხრათ, ცოტათი მეც დამაფიქრა ამ კითხვამ, მაგრამ, როცა კიდევ ერთხელ გადავიკითხე ქვეყნის პრემიერმინისტრის პირით გახმოვანებული **„ანაკლია პორტი ციფრებში“** ქვეყნის ღალატად ჩავთვალე რაღაცის და ვიღაცის გამო გაჩუმება, სიმართლის არ თქმა თუნდაც არჩევნების წინ, რადგან წაყრუება კიდევ უფრო გაამწარებს ჩემს ხალხს და ისედაც დაქცევის პირას მყოფ ჩემს სამშობლოს.

ზემოთნახსენები ნაცოდვილარი რომ წავიკითხე თავიდან გავბრაზდი, მაგრამ მოგვიანებით ისევ მივუბრუნდი მას და მხოლოდ მაშინ მივაქციე ყურადღება, რომ ეს „სიბრძნე“ არა რომელიმე ჟურნალისტის, ან დაბალი დონის სამთავრობო ჩინოვნიკის შეთხზულია, არამედ ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის გარანტის, პრემიერმინისტრ გიორგი კვირიკაშვილის გონების ნაყოფია, ბრაზი გამიქრა, მაგრამ ჩემდაუნებურად წამომცდა – არა, ჩვენი საშველი არ იქნება!

–დიდი პატივისცემის მიუხედავად, ვერ დავეთანხმები ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, ცნობილ ოკეანოლოგს, ბატონ ნოდარ წივწივაძეს, რომ პრემიერმინისტრი **„უცოდინარ მრჩევლებს შეცდომაში შეჰყავთ“**, დანამდვილებით ვიცი, ბ-ნ კვირიკაშვილს საკმარისზე მეტი ინფორმაცია გააჩნია „ანაკლია პორტზე, ვიდრე იგი ამ ინფობლოკშია გამოტანილი!

ეკონომიკის მინისტრად ყოფნისას (ჯერ კიდევ მაშინ, როცა ხაზარაძე და კონტი ჯგუფის შესახებ არავინ არაფერი იცოდა), არაერთი მოხსენება მოუსმენია ბ-ნ პრემიერმინისტრს პორტის მშენებლობის მაღალი დონის სპეციალისტებისგან, ანაკლიაში ღრმაწყლოვანი პორტის აშენების პერსპექტივებზე. ამიტომ, აბსოლუტურად გაუგებარია ის აბდაუბდა „სამეგრელო-ზემო სვანეთის საინფორმაციო პორტალ **NEWSPORTAL.GE**-ში“ ბ-ნი კვირიკაშვილის ნათქვამად რომ გამოქვეყნდა, განსაკუთრებით პორტის მშენებლობის საერთო ღირებულების, მშებენლობის პროცესში და მშენებლობის დამთავრების შემდეგ ხალხის დასაქმების ნაწილში და, რაც ყველაზე მთავარია საეჭვოა იგი ტენდერის მთავარ მოთხოვნას **„100 მილიონი ტონა ტვირთბრუნვა წელიწადში“** აკმაყოფილებდეს!

არაფერს ვიტყოდი უნიჭოდ შესრულებულ ნახატებზეც, ანაკლიის პორტის მშენებლობის 7 ეტაპის წარმოსაჩენად რომ სთავაზობენ მკითხველს, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა უცოდინარობა, არა ერთი რომელიმე პიროვნების, არამედ ქვეყნის სირცხვილია და იგი ყველაზე გაბედულ ინვესტორსაც კი დააფრხობს!

შექმნილი, ტრაგიკომიკური სიტუაციიდან გამომდინარე სტატიების წერას აზრი არა აქვს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს ხელები ჩამოვუშვათ და გავჩუმდეთ.

სასწრაფოდაა მოსაწვევი კონფერენცია ანაკლიაში და პორტის მშენებლობის, ოკეანოლოგიის, ზღვის ნაპირდაცვის, ეკოლოგიის, გეოლოგიის სპეციალისტებთან ერთად ანაკლია პორტის ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადებული კონსორციუმის მიერ შემოთავაზებული პროექტის და მისი ალტერნატივას საჯარო განხილვაა მოსაწყობი, რომელიც გაცილებით უკეთაა ცნობილი ქვეყნის მოსახლეობისთვის!

მითუმეტეს, მთავრობა ვალდებულია საჯაროდ განიხილოს ასეთი მნიშვნელოვანი პროექტი, რასაც ქვეყანაში მოქმედი კანონიც ავალდებულებს მას.

ასევე საკითხავია ვისი რეკომენდაციით და დასკვნით იქნა **„BAFO“** - ზე - (**Best and Final Offer** -ინგლ. საუკეთესო და საბოლოო შემოთავაზება) წარდგენილი კონსორციუმი, რომელსაც, როგორც დღეს ირკვევა წარმოდგენაც კი არ ჰქონდა რა საქმეს ჰკიდებდა ხელს?

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ხაზარაძე და კონტი ჯგუფის ნახატები, აფრიკის რომელიღაც სანაპიროდან ამოგლეჯილი რეალობა უფროა, ვიდრე ანაკლიის ისედაც მცირე ნაპირს მორგებული სამრეწველო პროექტი, რომელიც ყველას და ყველაფერს უალტერნატივო გაქრობას უქადის!..

მოვუსმინოთ როგორ აფასებს ბატონი ნოდარ წივწივაძე მთავრობის მიერ ლობირებულ პროექტს:

**„სამეგრელო-ზემო სვანეთის საინფორმაციო პორტალ NEWSPORTAL.GE-ში“ მოყვანილი სურათების მიხედვით, პორტის კონფიგურაციის, მისი კონსტრუქციული “გადაწყვეტის“, გაბერილი ტვირთბრუნვისა და „ოპტიმისტური“ ოპერირების შესახებ ამჯერადაც არაფერს ვამბობ, არა ჩასაფრებული ექსპერტის, არამედ ჭეშმარიტების დადგენის მსურველი მოქალაქის პოზიციიდან.**

**ვფიქრობ, რომ პრემიერი, უცოდინარ მრჩეველებს შეცდომაში შეჰყავთ, რითაც მოსახლეობას წინასაარჩევნოთ „აბოლებენ“.**

**როგორც ადრე ვითხოვდი, ახლაც ვადასტურებ, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი ობიექტის მშენებლობისათვის მთავრობამ, ტენდერში „გამარჯვებულ“, მათ მიერ ლობირებულ პროექტთან ერთად, ალტერნატიული (სპარტაკ ერაგიას მიერ შემუშავებული) პროექტის სახალხო განხილვა-დებატების ორგანიზება უნდა მოახდინოს ანაკლიაში, მხარეთა სამუშაო ჯგუფების, დამოუკიდებელ ექსპერტთა, მას-მედიის წარმომადგენელთა და რაც მთავარია, ქვეყნის „მამათა“ და გადაწყვეტილების მიმღებთა, მაღალი რანგის ჩინოსანთა მონაწილეობით.“**

ბატონი ნოდარ წივწივაძის წინადადების გათვალისწინება უთუოდ მართებს საქართველოს მთავრობას, რადგან ამ საკითხის გაურკვევლობამ ადვილი შესაძლებელია კარსმომდგარი არჩევნების წინ არასასურველი ხმაური გამოიწვიოს, რისი მომხრე მე ნამდვილად არ ვიქნები!

რაც შეეხება ანაკლია პორტთან დაკავშირებულ, თითქმის ყოველდღიურ, ახალ ინორმაციებს, მათ აშკარად ეტყობათ არაპროფესიონალის ხელი, რაც მტერს თუ გაახარებს მხოლოდ. მაგალითისთვის 27 ივლისს „სამეგრელო-ზემო სვანეთის საინფორმაციო პორტალ **NEWSPORTAL.ge**-ში გამოქვეყნებული **„ანაკლიის პორტამდე საავტომობილო მაგისტრალი იქნება“** საკმარისი.

არა მარტო საავტომობილო მაგისტრალი, სარკინიგზო, გაზის, წყლის და ელექროენერგიის მიწოდების ინფრასტრუქტურული კომპლექსი უნდა შეიქმნას და ანაკლიაში ასაშენებელი პორტის პროექტს უნდა მოერგოს, რომელიც ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადებულ კონსორციუმს წინასაპროექტო მოსაზრების დონეზეც კი არ გააჩნია. ეს რომ ასე არ იყოს, პორტის მშენებლობის დაწყებას ანაკლიის აბორიგენი მოსახლეობის გასახლებით არ შეეცდებოდნენ!

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქვეყნის პრემიერმინისტრის მიერ გახმოვანებული „ანაკლია პორტი ციფრებში“ და ინტერნეტსივრცეში გავრცელებული ნახატები, რომელიც თითქოსდა პორტის მშენებლობის 7 ეტაპს განასახიერებს, უკანასკნელი დილეტანტისთვისაც საეჭვოს ხდის, საბოლოოდ, წელიწადში 100 მილიონი ტონა ტვირთბრუნვაზე გათვლილი პორტის რეალურობას.

არაერთგზის მიხსენებია – უამრავი კვლევა და სტატია მივუძღვენი 2013 წლიდან დღემდე „ანაკლია პორტის“ უნიკალურ პროექტს. ჩვენ, საგანგებოდ შევეხეთ პორტის მშენებლობის არქეოლოგიურ ნაწილს. მშენებლობა 2000 ჰექტარზე უნდა გაიშალოს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მშენებლობა ისტორიული კოლხეთის შუაგულში გაიმართება სადაც არასოდეს სერიოზული არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარებულა, საბოლოოდ უნიკალურ საინჟინრო ნაგებობასთან ერთად, ადვილი შესაძლებელია, ასევე უნიკალური ისტორიულ-არქეოლოგიური მასალები შესძინოს ჩვენი ქვეყნის და მსოფლიო ისტორიას.

ჯერ კიდევ 2014 წლის იანვარში, ქარჩავა-ერაგიას საპროექტო მოსაზრების ავტორ, ბატონ სპარტაკ ერაგიასთან საუბრისას ვწერდი – პორტის მშენებლობის დაწყებამდე უნდა შეიქმნას მძლავრი არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელიც 24 საათის რეჟიმში იმუშავებს სამშენებლო მოედანზე და აღჭურვილი იქნება თანამედროვე არქეოლოგიური ლაბორატორიით, სადაც ადგილზევე დადგინდება ახლადმოჩენილი არქეოლოგიური მასალის ისტორიული ღირებულება. ამის შემდეგ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არასერიოზულია **„პორტის მშენებლობის თარიღის გადაწევა „მაქაცარიას დიხაგუძუბას“ არქეოლოგიური შესწავლის გარეშე!“**

განხილვას არ უნდა ექვემდებარებოდეს, **ანაკლიის აბორიგენი დასახლების ხელშეუხებლობა**, რადგან, არაერთგზის იქნა ყოფილი და დღევანდელი ხელისუფლება ინფორმირებული, რომ, არსებობს, უცხოელ, პორტის მშენებლობის პროფესიონალ ექსპერტთა მიერ მოწონებული პორტის ასაშენებელი ადგილი, რომელიც საერთოდ არ ეხება დასახლებულ ტერიტორიას და სახელმწიფოსაც ათავისუფლებს ფინანსური ვალდებულებებისგან, რაც გასასახლებელი მოსახლეობის ტერიტორიის შესასყიდად უნდა იქნას გაღებული!

კიდევ ერთხელ უნდა შევახსენო მკითხველს, რომ ანაკლია პორტის ტენდერის გამოცხადებისას, პორტის ასაშენებელი ადგილის გამონთავისუფლება (საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივი მოსახლეობის კარმიდამოების შესყიდვა), ინფრასტრუქტურული ნაწილის (ავტობანი, რკინიგზა, გაზი, წყალი და ელექტრო გაყვანილობები) აშენება და მოწყობა, რომელიც რამდენიმე ასეულ მილონი დოლარის ღირებულებას შეადგენს, გაუგებარ მიზეზთა გამო, საქართველოს მთავრობამ ივალდებულა.

მახსენდება, გასული წლის დეკემბრის მიწურულს, როცა ჯერ კიდევ გაცხარებული დებატები მიდიოდა ტენდერში წარსადგენ მასალებზე, კონსორციუმ **„ანაკლია პორტი და ეკოპარკში“** შემავალმა ჩინურმა კომპანია **„პაუერჩაინამ“** საქართველოს მთავრობას მიმართა წინადადებით, რომ – **ანაკლია პორტის დაფინანსებასთან ერთად, ინფრასტრუქტურული ნაწილის დაფინანსებას და მშენებლობასაც ის იკისრებდა, რაც უზრუნველყოფდა პორტის მშებელობისა და ინფრასტრუქტურული ნაწილის სინქრონულად შერწყმას, სახელმწიფოს კი მოუხსნიდა ინფრასტრუტურული ნაწილის დაფინანსების საზრუნავს. ჩინური კომპანია თუ ანაკლია პორტის მშენებლობის ღირებულების (5-5,5 მილიარდი დოლარი) დაფინანსებას საქართველოს მთავრობიდან ყოველგვარი გარანტიის (სახელმწიფო, საბანკო) გარეშე კისრულობდა, ინფრასტრუქტურული ნაწილის დასაფინანსებლი (როგორც ზემოთ ვახსენეთ, სახელმწიფომ ივალდებულა) წლიური 2%-იანი სესხის მოსაზიდად კი სახელმწიფოსგან გარანტიას ითხოვდა.**

სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობის მიერ უარყოფილ იქნა ჩინელების წინადადება და ძალაში დატოვა ანაკლია პორტის წინასატენდერო მოთხოვნებში ჩაწერილი – **ანაკლია პორტის ინფრასტრუქტურული ნაწილის დაფინანსება (რამდენიმე ასეული მილიონი აშშ დოლარი) ქვეყნის ბიუჯეტიდან უნდა მოხდეს!**

მახსოვს, ჩინელების ზემოთხსენებულ შეთავაზებაზე, სამთავრობო კულუარებიდან ხმა დაირხა – **„ჩვენი გარანტიით, ჩინელები ფულის გაკეთებას აპირებენ ანაკლიაშიო!“**

საკითხავია, – **რა მიზანს ემსახურება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება, ასეულობით მილიონი დოლარი გაიღონ გამათხოვრეული ქვეყნის ბიუჯეტიდან ანაკლია პორტის ინფრასტრუქტურული ნაწილის დასაფინანსებლად?**

თუ ფული გაქვს, ვინ ეშმაკი იტყვის ისესხე, ივალე და ისე აშენე ქვეყანაო, მაგრამ მშიერი ხალხის მიერ შეკოწიწებული ბიუჯეტი რომ, სხვა, უფრო სარფიანი და სასწრაფოდ გადასაწყვეტი საკითხების მოსაგვარებლად უნდა გამოიყენო, ალტერნატივა არ გააჩნია!

სამწუხაროდ, საქართველო ყაზახეთი არაა, ახალი დედაქალაქი ააშენოს, 500 მილიარდი დახარჯოს და მოძალადე უცხოურ ბანკებს ერთი ცენტიც არ ჩაადებინოს საკუთარი ქვეყნის აღმშენებლობაში!

არაერთმა ინკოგნიტო არამკითხემ დამირეკა ამ დღეებში და უტიფრად მკითხა – **„რა ინტერესი გაგაჩნიათ ანაკლიაში, პორტის მშენებლობაზე ამდენს რომ წერთ?“**

არ დავმალავ, მოულოდნელი არ ყოფილა ეს შეკითხვა ჩემთვის!

ადამიანები გადაეჩვივნენ სხვისი კეთილდღეობისთვის ზრუნვას. ქვეყანა და სახელმწიფო საერთოდ რა სახსენებელია, თუ რამეს არ მოელი მისგან!

ამ შემთხვევამ წინასაარჩევნო დღეებში მომრავლებული კითხვებიც გამახსენა:

**–ვის მივცეთ ხმა?**

**–სად არის გამოსავალი?**

**–სხვებს რომ აკრიტიკებ, გვიჩვენე რა გზას დავადგეთ?** და ა.შ...

ჩემი პასუხი მოკლე და კონკრეტულია:

**–ჩვენ სხვა გზა არ გაგვაჩნია, გარდა სიმართლისა! სიმართლეს კიდევ დანახვა სჭირდება. რომ დაინახო უნდა შეამჩნიო, სხვებს უნდა მოუსმინო და წაიკითხო!**

ყველას გასაგონად ვაცხადებ – **მე არაფერი მაინტერესებს ანაკლია პორტთან მიმართებაში, გარდა იმისა, რომ ქვეყნის უკეთესი მომავლის ნაცვლად, დაუზოგავი და მტრული მიდგომით, თვალშეუდგამი სილამაზისა და უძველესი ისორიის მატარებელი კუთხე არ დაიქცეს, აბორიგენი კოლხური მოსახლეობა არ გადაშენდეს, ქვეყანას საუკუნეში ერთხელ ეძლევა მსგავსი პროექტის განხორციელების შანსი და ის არ დავკარგოთ!**

აქვე მინდა გავიხსენო და არამკითხე ინკოგნიტოებს გავაცნო ბატონ თეიმურაზ ქარჩავას კარგა ხნის წინ ნათქვამი სიტყვები:

**„–თუ ჩემზე უკეთესი პროექტით ვინმე მოვა, საჯაროდ წარმოადგენს და დაასაბუთებს მის უპირატესობას, მე მზად ვარ, წლების განმავლობაში, „ანაკლია პორტთან“ დაკავშირებული ყველა ჩემი ნაშრომი და შეძენილი ქონება გადავცე, გვერდით დავუდგე და ვემსახურო მას!“**

ჩემს სტატიებში, ბუნებრივია, მარტო ჩემს ნააზრევს არ გადმოვცემ, ისინი მაღალი დონის პროფესიონალებთან განსჯის შემდეგ გამომაქვს სამზეოზე და გამგებმა უნდა მოისმინოს და გაიგოს, მაგრამ, როცა ამის ნაცვლად, ალთა-ბალთას მოდებული პასუხები მესმის, ეჭვი მიღრმავდება – **მავანი, ჩვენი ქვეყნის მტრის დავალებით მოქმედებს, სხვის აზრს არ ისმენს და ამიტომაც ცდილობს პორტის მშენებლობა აბორიგენი ანაკლიელების გასახლებით დაიწყოს!**

დავით ქობალია
597 993793

# საქართველოში პარაზიტების ტაკიმასხარაობა გრძელდება!

საფარ-ბეგის უღირსი საქციელის გამო მისმა გამზრდელმა ჰაჯი-უსუბმა თავი მოიკლა. რა უნდა ქნას ბიძინა ივანიშვილმა მდიდარი სექსის კავალრისა და "ნიჩურტა ქართველის", როგორც ის ქართველებს ახასიათებს, საქართველოს პრეზიდენტად შემოსაღებისთვის?

**"მდიდარი სექსის"** მქონე ადამიანის გაპრეზიდენტებაში ბიძინა ივანიშვილის იმედის ნისლში გახვეული ხალხი არაფერ შუაშია. მან კი პრეზიდენტად კურთხევისთანავე თავისი ამღზევებელი **"გადააგდო"**. ხალხი? ხალხს იგი არ ცნობს, ისევე როგორც ხალხი – მას. სამაგიეროდ, თამამად შეიძლება ეწოდოს უცხოეთის მიერ დაპროგრამებული არასამთავრობოებისა და ხელმოცარული ოპოზიციონერების პრეზიდენტი, რომელსაც იმაზე მეტი არაფერი ეკითხება, რასაც **"ნიჩურტა ქართველის"** ტვინი დაიტევს. ის ხმაურით მოითხოვს პარლამენტში ანგარიშის ჩაბარებას და მის მოსასმენად მთელი მთავრობის დასწრებას. რა გაგიკეთებია, ბიძიკო, რა უნდა ჩააბარო?! ფრთიანი ფრაზით კი გამოიჩინა თავი: **"ძალიან მდიდარი სექსი მქონდა, მაქვს და მექნება"**-ო. ადრე მეომარი მხარეები მთავარსარდლების შებრძოლებით წყვეტდნენ სადავო საკითხებს. ახლა, როცა ევროატლანტიკიდან სექსუალური აღვირახსნილობა და სიბილწე ღვარცოფივით აგორებულა კაცობრიობის წასალეკად და ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი იმუქრება, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინება უნდა დაკანონდესო, უპრიანი იქნებოდა, მთავარსარდლები თავიანთი სექსუალური შესაძლებლობით შეჭიდებოდნენ ერთმანეთს. აი, მაშინ ნახავდნენ, რა შეუძლია **"მდიდარი სექსის"** მქონე ჩვენს პრეზიდენტს!

საქართველოში არ წყდება პოლიტიკური საცირკო წარმოდგენებით ხალხისთვის თავბრუსხვევა. ამგვარად იღვწის ყველა ილუზიონისტი უცხოელი მწვრთნელების საამებლად.

მათი **"ფოკუსნიკობა"** ნათლად ჩანს, როცა აწყობენ ვითომ კონკურსს რომელიმე რიგითი თანამდებობისთვის და, ვინც უნდა მიიღონ, წინასწარ გადაწყვეტილი აქვთ; გულუბრყვილონი კი მონდომებით მონაწილეობენ ამ ტაკიმასხარაობაში.

ხომ შეიძლება ეს ფოკუსები მოაწყონ უფრო მაღალ თანამდებობაზე დანიშვნისას, ვთქვათ, როცა მეჩექმეთა მინისტრად მეხაშეს დასვამენ. მოაწყონ კონკურსი და ხალხს უმტკიცონ, რომ ნემსსა და სადგისს მეჩექმეზე უკეთესად მეხაშე იყენებს. ეს ილუზიონისტური თაღლითობა კარგად ჰქონდათ დამუშავებული ნაციონალებს, როცა სოფლის მეურნეობის მინისტრად მამალი ძროხების მწველავს ნიშნავდნენ. მოკლედ, ამ ცირკის არენად გადაქცეულ პოლიტიკაში მინისტრების დასანიშნად კონკურსების მოწყობას ფოკუსებიც აღარ სჭირდება, ისე სვამენ მეხაშეს – მეჩექმედ.

სხვა რა უნდა ეწოდოს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის მიერ შემოთავაზებული კანდიდატის თავდაცვის მინისტრად კურთხევას? სამხედრო საქმის გარდა, ყველაფერში ისე ერკვევა, რომ ფრინველისფეხებიან ქოხში მჯდომ ჯადოქარსაც გაუკვირდება. პრემიერიც არის, საგარეო საქმეთა მინისტრიც და ცესკოს თავმჯდომარეც – ყველა პოლიტიკური პრობლემის სოფლის ორღობის ყბედი დედაკაცის თვითდაჯერებით შემფასებელ-შემფერადებელი. მასზე უკეთესი ვინ უნდა ინატროს ამქვეყნიური ჭირ-ვარამის ტვირთით წელში გადრეკილმა ერმა?!

ევროპის სახალხო პარტიამაც საქართველოს ხელისუფლების თავზე დამოკლეს მახვილივით დაკიდა ვიზალიბერალიზაცია. ამ პარტიის პრეზიდენტი ჟოზეფ დოლი დელეგაციით ეწვია საქართველოს. რა საკითხს აყენებ მასთან, ტერორისტებისა და ლტოლვილებისგან შეწუხებული საკუთარ თავს რომ ვერ შველის და შენგან მოითხოვს 235 ათასი მიგრანტის მიღებას 147 მილიონი ევროს საფასურად? ეს ხელისუფლება ვერ უნდა მიხვდეს, რომ ევროპაში ფუჭი ფაფხურისა აღარავის სჯერა?! რა გინდათ, უცხოელების დავალების შესრულებას უნდა გადააყოლოთ საქართველო?! რუსეთთან უმძრახობით რაც დარჩა, იმ საქართველოსაც რომ სპობთ, გგონიათ, ამის გამო **"სტრატეგიული პარტნიორები"** ლოყებს ჩამოიხოკავენ?

საქართველოს ხელისუფლება ისეა დაბუჟებული ევროატლანტიკური ბანგით, რომ ვერ ხედავს ან არ სურს, დაინახოს თავისი დამცირებული ადგილი ამ ვითომ სტრატეგიულ თანამეგობრობაში. ისე უკიდიათ ყველგან ევროკავშირის დროშები, თითქოს, ამ გაერთიანების წევრობა კი არა, ვიზალიბერალიზაცია არ ჰქონდეთ საღრეჭი.

თუნდაც ავღანეთში გაგზავნილი სამხედროების რაოდენობის მიხედვით ამერიკელების შემდეგ მეორე ადგილი როგორ ავხსნათ, თუ არა პოლიტიკური ცირკის კლოუნებისა და თაღლითების აღვირახსნილი პარპაშით, სხვა მრავალ უბედურებასთან ერთად, დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე მდგარ საქართველოში? ქართველ ხალხს ძალიან ძვირი უჯდება ევროამერიკელთა წინაშე პოლიტიკური კლოუნებისა და "ფოკუსნიკების" კუდის ქიცინი – რუსეთის გაუთავებელი ლანძღვით ქართველ ხალხს აყენებენ სახიფათო მდგომარეობაში. როდის დაელაპარაკე რუსეთს, იქნებ იმაზე გაცილებით უკეთეს პირობებს გთავაზობს, ვიდრე დასავლეთის ყალბი მიეთ-მოეთი და სირცხვილის ოფლის მომდენი მოთხოვნების შესრულებაა?! კიდევ კარგი, რუსეთში იციან, რომ ეს ანტირუსული ფსიქოზი ერთი მუჭა პოლიტიკური თაღლითების ბოდვაა, რომელსაც ქართველი ხალხისათვის მხოლოდ უბედურება მოაქვს. ევროპაში საჩივლელად რომ გარბიან, რისი იმედი აქვთ – რუსეთს შეაშინებს ეს ევროპელი ბუა და მუხლებზე დააყენებს? ევროკავშირი, რუსეთისათვის სანქციების დაწესებით თვითონვე შეშინდა იმხელა ზარალი ნახა. რუსეთი კი უფრო გაძლიერდა.

ავღანეთიდან ჩამოტანილი ამერიკული ტანკებითა და საფრანგეთში შეძენილი საჰაერო თავდაცვის სისტემით მოაქვთ თავი, თითქოს ამ ტანკებით ავღანეთის საკითხი უფრო არააქოთეს, საფრანგეთის ამ სისტემას კიდევ ჩიტი არ გამოეპარება. რა ღობე-ყორეს ედებით, შვილოსა, როცა საქართველოს გაერთიანებისა და აღორძინების პრობლემის გადაჭრა რუსეთთან მეგობრობის აღდგენით შეგიძლიათ. კიდევ კარგი, ევროატლანტიკელ პარტნიორებს რუსეთი უშლის ხელს, თორემ საჯდომზე ბანტგაკეთებული პედერასტები წალეკავდნენ ყველა სიწმინდეს და საქართველოსაც ისე შთანთქავდნენ, ხმის ამოღების თავიც აღარავის ექნებოდა.

ისე დიდია უცხოელი დამფინანსებლების გავლენა ქართულ პოლიტიკაზე და ცირკის კლოუნებად ქცეულ პოლიტიკოსებზე, რომ ხალხს სულაც არ აქცევენ ყურადღებას. მხოლოდ არჩევნების წინ თუ გაახსენდებათ ხალხის არსებობა, რადგან წარმატება, ძირითადად, უცხოელ მფარველებზეა დამოკიდებული. კანონებიც თავიანთი ინტერესებს მოარგეს. თუ პარლამენტარი იყავი თუნდაც რამდენიმე თვით, წლოვანებას მნიშვნელობა არ აქვს, ისეთ პენსიას ინიშნავენ სიკვდილამდის, რომ ქვეყნის წინაშე ვალმოხდილ, დამშეულ პენსიონერს არც კი დაესიზმრება.

სიცრუის ბანგიდან გამოფხიზლებულ ხალხს სჭირდება დეპუტატის გამოწვევის დაკანონება, თორემ არჩევნების შემდეგ ხალხის წინაშე პასუხისმგებლობამოხსნილი ისედაც ცრუ ბიუროკრატია იხრწნება და, ქვეყნის საშინელი უბედურებიდან გამოყვანის მაგიერ, სექსუალური უკუღმართობისა და ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონების შემოტყუებით ცდილობს ევროატლანტიკელი მფარველებისთვის ერთგულების დამტკიცებას.

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგაძე, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას, აიძულეს, თანამდებობა დაეტოვებინა. მისი მომხრე პარლამენტში მხოლოდ შვიდი აღმოჩნდა. ჰოდა, რადგან ასე მონდომებულები არიან უცხოეთის ლაქია პარლამენტარები, დაკანონდეს ერთნაირსქესიანთა ქორწინება, თვითონ იქორწინონ ერთმანეთზე და ამ სიბინძურით დატკბნენ. ამიტომაა, რომ პოლიტიკური ცირკის არენიდან არ მიდიან გაკოტრებული და შერცხვენილი არსებები, რადგან მათ ოინბაზობას უცხოელი დამფინანსებლები მართავენ და ერთგულ ძაღლისშვილებს ვერაფრით ელევიან. ამგვარ არსებები, ნამუსი რომ ჰქონდეთ, ხალხში გამოჩენას უნდა უფრთხოდნენ.

მოკლედ, ამ პოლიტიკური ცირკის არენაზე კვლავ ტაკიმასხარაობის მოწმენი ვართ. ამჟამინდელ ხელისუფლებას ნაციონალებისა და მათი მიმდევრების მიერ ჩაწყობილი ნაღმები კიდევ ბევრგან აუფეთქდებათ, თუ პრინციპულად არ ამხილეს მათი ოინბაზობა.

დღეს ბავშვმაც კი იცის, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაზეა დამოკიდებული. ეს კარგად იციან დასავლეთის მიერ ნაკვებმა პარტიებმა და არასამთავროებმაც და სწორედ ამიტომ რეაგირებენ ასე გაცოფებით რუსეთთან ურთიერთობის დათბობის ყოველგვარ მცდელობაზე, და ხალხის სურვილს, ამ ქვეყანასთან მეგობრობის აღდგენის შესახებ, ფულით მოსყიდვას აბრალებენ თვითონ დოლარზე გაყიდული არარაობანი. ყბადღებული იმედი კი, რომ ევროატლანტიკა გვიხსნის, სახედრის ცხვირწინ დაკიდებული ბალახია, რომელიც არც მოგვეცემა და არც დაგვეკარგება. მის მოპოვებას აყოლილი კი მოუსავლეთის კარს მივადგებით.

უცხოეთის მიერ მოქრთამული ერის სამარცხვინო შვილები ცირკის ტაკიმასხარა ილუზიონისტის სიცრუის კვამლს ჭარბად აფრქვევენ და ბაწრით ცდილობენ, ევროატლანტიკურ ფორანს უკნიდან გამოაბან საქართველო მის დაყრილ ნაგავსა და მტვერში საჩანჩალოდ.

**"ვარდების რევოლუციამდე"** ქვეყანას ვალი ორი მილიარდი დოლარი ჰქონდა, ახლა ეს ვალი თოთხმეტ მილიარდამდე გაიზარდა ხალხსა და სამშობლოზე ზრუნვისაგან თავისუფალი ხელისუფლებების ძალისხმევით. სად წავიდა ეს მილიარდები?!

მეოთხედი საუკუნეა, იძარცვება, იყიდება და ნადგურდება პატარა, მაგრამ მძლავრი სამრეწველო პოტენციალის მქონე აგრარული საქართველო; ქართველი ხალხი კი საშინელ დღეშია სულგაყიდულ და გადაგვარებულ ვაიქართველთა გაუმაძღრობისა და ამბიციების გამო.

ხელისუფლებამ გაბედა და უცხოელებზე მიწის გაყიდვა დროებით შეაჩერა. უცებ აღავღავდნენ გაყიდული პარტიები და არასამთავრობოები, – როგორ გაბედეს, ასე ხომ ევროპელობას დავკარგავთო, და შემოდეს ქართული მიწები დახლზე. არადა, ეს არსებები ქართველები არიან. ამას ოდესმე იფიქრებდა ჩვენი წინაპარი, სიცოცხლის ფასად რომ იცავდა მიწის ყველა გოჯს?!

სოფელი იცლება, თბილისი ისეა გაჭედილი, ქუჩაში გავლა ჭირს. ხელისუფლება ევროპელი ჯვაროსნების ხუთჯვრიანი და ევროკავშირის დროშებით იწონებს თავს. ეროვნული, წმინდა ქართული რაღა საჭიროა. ინგლისურად ბჟუტურიც იმისთვის სჭირდებათ, ევროპელად რომ მონათლონ. მაგრამ ინგლისმა შეიძლება პირველმა დატოვოს ევროკავშირი (უკვე დატოვა), მერე რა უყონ ინგლისურს? – მერე ის, რომ ამერიკა თურმე ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და...

ეს ის ამერიკაა საბჭოთა კავშირის ატომური დაბომბვის გეგმა რომ შეადგინა, რომელიც თბილისის მიწასთან გასწორებასაც ითვალისწინებდა. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა სტალინმა თბილისში მეტროპოლიტენის მშენებლობა, მაშინ, როდესაც მეტროპოლიტენი თბილისზე დიდ ქალაქებშიც არ ჰქონდათ.

სტალინის მსგავსი გენიოსი მსოფლიოს არ ჰყოლია, ის ქართველი ერის სიამაყეა. ყველა ჯურის პარაზიტი ტაკიმასხარა კი ცდილობს სტალინის სახელის შებღალვას, მაგრამ ამით მისი სიდიადე უფრო ბრწყინდება.

საქართველოში ამგვარი პარაზიტების ტაკიმასხარაობა გრძელდება. დღეს ჩვენთან პარაზიტი მწერების გამოჩეკვის ამინდია, ხვალ კი ისე გაქრებიან, როგორც ქრება ყველა არარაობა.

**გივი სომხიშვილი,**
**მწერალი**

# "მკვლელს დედა ეხმარებოდა"

***"გაძარცვის მიზნით ის ნიღბით შესულა სახლში, მაგრამ ხმაზე იცნეს და ამიტომ მოწმეები მოიშორა"***

ამას წინათ მომხდარმა შემზარავმა დანაშაულმა, შეიძლება ითქვას, რომ მთელი საქართველო შეძრა. ახალქალაქის რაიონის სოფელ ვაჩიანში 24 წლის მამაკაცი ნოდარ აკოფოვი დააკავეს, რომელსაც ბრალად ედება 37 წლის ოფელია კაჩოტიანისა და მისი სამი არასრულწლოვანი შვილის დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობა.

სამართალდამცველებმა იმ სახლთან, სადაც ეს საშინელი ტრაგედია დატრიალდა, რკინის ხელკეტები იპოვეს. მეზობლები ვარაუდობენ, რომ საქმეში კიდევ რამდენიმე პირი ფიგურირებდა, რადგან ასეთ დანაშაულს ერთი ადამიანი ვერ ჩაიდენდა...

გამოძიებამ დაადგინა, რომ ნოდარ აკოფოვმა ქალსა და მის ორ შვილს თავის არეში ბლაგვი საგნით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა. კიდევ ერთი მცირეწლოვანი ბავშვი კი გაგუდა. დანაშაულის დაფარვის მიზნით, სახლში ხანძარი გააჩინა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიუხედავად ამისა, სამართალდამცველების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ბრალდებული მეორე დღეს დააკავეს.

**ჰამლეტ ბაგრამიანი, ოფელიას ბიძა:**

– მკვლელი კაჩოტიანების ოჯახის მეზობელი იყო და ერთმანეთთან კარგი ურთიერთობაც ჰქონდათ. ეს ნაძირალა 24 წლისაა, – ნასამართლევი არ არის. ვფიქრობთ, რომ ამას მარტო ვერ ჩაიდენდა. მეზობლებმა იპოვეს დახოცილები და მყისიერად პოლიციას შეატყობინეს. ოფელიას ქმარი სამუშაოდ რუსეთში, მაგადანში იყო წასული. ახლა ჩამოვიდა.

ეს ამბავი ღამის 11-12 საათზე მოხდა. როგორც ნოდარ აკოფოვს გამოძიებისთვის უთქვამს, ოფელიას ხმაზე უცნია და ამის შემდეგ ამ ნაძირალას თავში არმატურა ჩაურტყამს. შუათანა შვილი გამოსულა და იმისთვისაც ჩაურტყამს. უფროს ქალიშვილს დანა აუღია და მისკენ გაქცეულა, უნდოდა, თავი დაეცვა ამ ავაზაკისგან, მას კი წაურთმევია და არმატურა მისთვისაც ჩაურტყამს თავში. გვამს დანით მიყენებული ნაკაწრებიც ჰქონდა. უმცროსი ვაჟი სხვა ოთახში ყოფილა, შეშინებულ ბავშვს ყვირილი დაუწყია, რის შემდეგაც აკოფოვს ბალიშით გაუგუდავს. ვეჭვობთ, – მას სხვებიც ეხმარებოდნენ. გაძარცვის მიზნით ის ნიღბით შესულა სახლში, მაგრამ ხმაზე იცნეს და ამიტომ მოწმეები მოიშორა, მერე კი, კვალი რომ დაეფარა, მიცვალებულები ზეწრებში გაუხვევია და იქაურობისთვის ცეცხლი წაუკიდებია, თუმცა სახლი ბოლომდე არ დაიწვა. ფულისა და ოქროულობისთვის ხელი არ უხლიათ, ვერ მოასწრეს წაღება.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ნოდარ აკოფოვს დანაშაულის კვალის წაშლაში დედამისი ეხმარებოდა – მათ ზეწრებში ერთად გაუხვევიათ გვამები. ნოდარმა აღიარა კიდეც თანამონაწილეობა და დედამისიც დააკავეს. სოფლის მოსახლეობას ლინჩის წესით გვინდა მკვლელის გასამართლება, მაგრამ არ გვანებებენ!

**ნანა ფიცხელაური**



# რატომ არის ფონდ „იავნანას“ ფინანსური ოპერაციები გასაიდუმლოებული?..



ბოლო დროს, მედიაში საქველმოქმედო ფონდ „იავნანას" მიერ ფინანსური დოკუმენტების დაფარვაზე ინფორმაცია რამდენჯერმე გაჟღერდა. გაჟღერდა ინფორმაციები იმის თაობაზეც, რომ პაატა ბურჭულაძეს თბილისში საკუთრებაში გააჩნია 50 ბინა, რომლის გაქირავებითაც სოლიდურ თანხებს უყრის თავს. ნაკლებად სარწმუნოა, რომ ამჟამად ხელოვნების მიღმა მყოფმა მაესტრომ ასეთი თანხების დაგროვება საკუთარი შემოქმედებით შეძლოს.

ფონდი **„იავნანა"** მისი დამფუძნებლების, ან ვინმე კონკრეტული ადამიანის ფინანსურ სახსრებს არ ახმარს ქველმოქმედებას. ეს ფონდი სარეკლამო კამპანიებს აწარმოებს, რათა ქველმოქმედებისთვის საჭირო სახსრები ჩვენგან, რიგითი მოქალაქეებისგან მიიღოს. ამასთან, ფონდის დამფუძნებელი, მსოფლიოში ცნობილი ბანი პაატა ბურჭულაძე პოლიტიკურ პროცესებში ჩაერთო. შესაბამისად, ცხადია კიდევ უფრო გაზარდა ინტერესი მისი ფონდის საქმიანობისდამი.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პაატა ბურჭულაძის ფონდის ფინანსური დოკუმენტაცია, კანონის მოთხოვნების მიუხედავად, დღემდე დაფარულია. ეს იმ პირობებში, როდესაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნაა, რომ ყოველი წლის საქმიანობის პროგრამული ანგარიში და ფინანსური დოკუმენტები იყოს საჯარო, ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის. მათ შორის დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებული ბოლო წლის ფინანსური დოკუმენტები. მით უმეტეს, თუ საქმესთან გარკვეულ კონტაქტში იმყოფება ქვეყნის სათავეში მოსვლის პრეტენზიის მქონე პოლიტიკური პარტია.

ზოგადად საქველმოქმედო ორგანიზაციებისადმი სახელმწიფოს, კანონმდებლობის მიდგომა სხვა ორგანიზაციებისგან რადიკალურად განსხვავებულია. ისინი სხვა ტიპის რეგულაციებს ექვემდებარებიან, კომერციული ორგანიზაციისგან განსხვავებით არ იხდიან მთელ რიგ გადასახადებს და განსაკუთრებული შეღავათებით სარგებლობენ. ამიტომ მათ მიმართ გამჭვირვალობის, საჯაროობის მაღალი სტანდარტებია დაწესებული, როგორც საზოგადოების მხრიდან, ასევე კანონმდებლობის დონეზე. ეს არის სახელმწიფოს მხრიდან დაწესებული პრევენცია, რათა საქველმოქმედო ორგანიზაციის სახელით არ მოხდეს კომერციული ინტერესების გატარება, გადასახადებისთვის თავის არიდება, შემომწირველთა თანხების მითვისება და სხვა ტიპის დანაშაულებრივი მაქინაციები, რაც, სამწუხაროდ, იშვიათობას არ წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში.

სწორედ ამიტომ, საქველმოქმედო ორგანიზაცია ვალდებულია აქტიულად გაასაჯაროოს ინფორმაცია საკუთარი ფინანსური ბრუნვების თუ სხვა აქტივების შესახებ.

**"პრაიმტაიმი"** შეეცადა ინფორმაცია ფონდ **„იავნანა"**-ს ფინანსური ანგარიშგების ფარულობაზე თავად გადაემოწმებინა. ამ მიზნით ჩვენმა ჟურნალისტებმა შეისწავლეს ინტერნეტში განთავსებული ფონდი **„იავნანა"**-ს ყველა გვერდი, ყველა შესაძლო პლატფორმა, სადაც შესაძლებელი იყო გამოქვეყნებულიყო ფონდის ფინანსური ოპერაციების ამსახველი დოკუმენტაცია, თუმცა სამწუხაროდ ეს ინფორმაცია საჯარო სივრცეში მართლაც არ მოიპოვება.

საკითხში გასარკვევად, **"პრაიმტაიმი"** ფონდ **„იავნანა"**-ს სამხატვრო ხელმძღვანელს თეა ჯორბენაძეს დაუკავშირდა. თუმცა, მან მხოლოდ ფონდის მიერ გავრცელებული განცხადება მოგვაწოდა, სადაც ფონდი გულზე მჯიღის ცემით ირწმუნებოდა, რომ მის წინააღმდეგ შავი პიარია აგორებული. პასუხისმგებლობის თავიდან არიდების ეს მეთოდი, რომელიც ქვეყანაში ავადსახსენებელმა ნაციონალებმა დანერგეს, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ეფექტიანად მუშაობს!

ამიტომაა, რომ ბურჭულაძეს ჯერ კიდევ ვერავინ ვერ უფრენს ბუზს. მაგრამ, ასე არ შეიძლება დიდ ხანს გაგრძელდეს!

საქველმოქმედო ფონდს, ფინანსური ოპერაციების გასაჯაროების ვალდებულების გარდა, კანონი ასევე ავალდებულებს საგადასახადო ორგანოს ყოველი წლის 1 აპრილამდე წარუდგინოს: ფინანსური ანგარიში მიღებული შემოსავლების შესახებ, წყაროებისა და გაწეული ხარჯების მიზნობრიობის მითითებით.

ვინაიდან ვერსად ვერ მოვიპოვეთ სრულყოფილი ინფორმაცია ფონდის ფინანსური ოპერაციების შესახებ, წერილობით მივმართეთ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს და ვთხოვეთ მოგვაწოდოს ინფორმაცია **„პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო ფონდ იავნანა"**-ს მიერ დაფუძნების დღიდან, დღემდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ, მათ შორის ყოველი წლის საქმიანობის პროგრამული ანგარიში და ფინანსური დოკუმენტები და დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებული და წარდგენილი ბოლო წლის ფინანსური დოკუმენტი.

იმედია, **„პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი იავნანა"** და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური გაითვალისწინებენ საზოგადოების ლეგიტიმურ ინტერესს ფონდის საქმიანობისადმი, დააკმაყოფილებენ ჩვენს კანონიერ მოთხოვნას და გონივრულ ვადებში მოგვაწვდიან ჩვენს მიერ გამოთხოვილ ინფორმაციას, რომელსაც მიღებისთანავე წარვუდგენთ საზოგადოებას.

წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებას ვიტოვებთ გაგვაჩნდეს იმის სერიოზული ეჭვი, რომ ფინანსური თვალსაზრისით ფონდში საქმე მთლად კარგად ვერ არის!

# სიმონ, ნემეტანი სუსტი კანდიდატურები გვყავს ქუთეისელებს... მაგრამ ადრე მსუქანი რომ გვყავდა, გააკეთა რამე?!



წინასაარჩევნო პერიოდში პარტიულებს სალაპარაკო არ ელევათ. გასაოცარია და ღლონტის მოწოდება აჯანყების თაობაზე იმდენად რეზონანსული აღმოჩნდა, მთელი ევრაზია კინაღამ აჰყვა ჩვენი დროის გავროშს, ქართველებს კი ყურზე გვძინავს და არც "რუსთავი 2"-ის დასაცავად ავჯანყდით, არც ვანო ახალციხის მეორედ მაშენებლის პატიმრობა გვადარდებს და ფეხებზეც დავიკიდეთ მომავლის საბინაო არქიტექტურის ინდუსტრიის კერვალიშვილების დინასტია და გიგი თბილისელიც!

თუ ადრე ჩაცივებული შამპანური იყო მოთხოვნადი, ახლა ისეთი სიცხეებია, პარტიული კანდიდატურები, საზამთრო და ლუდიც ეგეთი მოგვინდა. რა სჯობს დიდ თავყრილობას, როცა გადაეხვევი ზეჰიგიენურ, გრილ კანდიდატს! ოღონდაც გულ და ტვინგაყინულები არ გვინდა! ეგეთები მაინც გახდებიან არჩევის მერე, დამერწმუნეთ.

**"ნაციონალური მოძრაობა"** საარჩევნოდ **"ტირის, იძახის ვაგლახ, ვასა"**: იორმუღალნოში არც წყალია, არც გზა და ბავშვებსაც განათლება არა აქვთო. თქვე ედუარდის კალთაში გამოზრდილებო, ეს ყველაფერი, თქვენი მმართველობის დროს თუ არ იყო, 9 წლის განმავლობაში სად იყავით და თუ იყო, ბიძინამ ააფეთქა საყდრისივით?!

დღე არ გავა, პოლიტიკოსებმა თავიანთი ყალბი რეიტინგები პიტნასავით არ შეგვტენონ ცხვირში. **"ენდიაის"** და **"აირაის"** იმდენი ნაირსახეობა ითვლის უკვე საოქტომბრო ხმებს, ვეღარ ვიგებ, სად იწყება სიმართლე და სად – ტყუილი. საინტერესო სტატისტიკა ჩამივარდა ხელთ: ოცნებას 500 000 მხარდამჭერი ჰყავსო, ბურჭულაძემ – 1 000 000, ორპროცენტიან რესპებმა – 1 500 000, ხალიანას – 2 000 000, ფქვილოვნას – 2 500 000, ოდესელებს – 3 000 000 და ბოლოს, შალვას 5 მილიონ ს ჩემ ტო! ეჰ, თამარის დრო გამახსენდა, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გაშლილი საქართველო! პავლე რომ ამბობდა, ინგოროყვა – 12 მილიონზე მეტი ვიყავით მაშინო!

რაღაცები ძალიან მაგრად ეშლება **"ქოცებსაც"**. თავისთავად ცხადია, ეგენი ყველაზე მეტ ადგილს მოიპოვებენ პარლამენტში, ალბათ ძვალს სახრავად **"ნაცებსა"** და **"პატრიოტებსაც"** მიუგდებს ამომრჩეველი, მაგრამ ახლახან რომ ქუთაისში წარადგინეს კანდიდატები, კითხვები მწვავედ დაისვა! რიგითი **"ნაცი"** კითხულობს არასტრატეგიულად: ვისი დროის მინისტრი იყო ნარჩემაშვილიო? რიგითივე **"ქოცის"** პასუხი ასეთია: ეგებ გაიხსენოთ, ვინ იყო შევარდნაძის დროის იუსტიციის მინისტრიო? ამომრჩეველმა კი დაადგინა: ყველანი ბავშვობიდან ანუ შევარდნაძის დროიდან მოდიან და ამიტომაც საშველი არც არის!

ისევ ქუთაისის **"პრეზენტს"** ვუბრუნდები. ზემო იმერეთის სამი მუნიციპალიტეტის გამგებლებიდან ორი რომ წარადგინეთ მაჟორიტარად, ბატონო ოცნებავ, მესამემ რა დააშავა? თანაც საჩხერის გამგებელს აუარეთ გვერდი, იმ საჩხერისას, სადაც **"ოცნების"** აკვანი დაირწა! თანაც ბატონმა კვირიკაშვილმა თქვა, საჩხერეში ჩვენი კანდიდატი კვიჟინაძე იქნებაო! ვეღარ გავიგე, ეგ კვიჟინაძე თქვენია თუ ძიძიგურის?! ამავე **"სპასაწელ"** კვირიკაშვილზე ვკითხულობ, ზუგდიდელი ჩინოვნიკი ლაგვილავა რომ აფეისბუკებდა, ვლაქერნობის დღესასწაულზე მოწყალების მთხოვნელი ბიჭი ფულით დაასაჩუქრა, ტაძრის **"სამთავრობო სექტორში"** ხალხი გადმოაადგილა, წაქცეული ქალბატონები ფეხზე ააყენაო, ქუთაისურ წარდგინებაზე ვიღაც ლურჯმაისურიანი დედაკაცი რომ ეძებდა დაკარგულ ბაღანას, რად არ უპოვა?!

პ.ს. სიმონ, ნემეტანი სუსტი კანდიდატურები გვყავს ქუთეისელებს, – აღმოხდა ერთ დროშიანს ბალახვანის კიბეებთან. მეორე ეუბნება: – კი, ეგენი სუსტებია, მაგრამ ადრე მსუქანი რომ გვყავდა, გააკეთა რამე?!

პპ.ს. ბიძინას ეკითხებიან: ბატონო ბიძინა, კობა ნარჩემაშვილი ვარდოსნებმა რომ დააპატიმრეს, **"გამოსასყიდი"** ჯერ 300 ათასი ლარი გადაახდევინეს, მერე 500 ათასი და მაგ დროს შს მინისტრის ხელფასი 1.000 ლარი იყო, ვითომ პატიოსანი მინისტრი ამას შეძლებდაო? ბიძინამ უთხრა შემკითხველებს: მე ვარ ადამიანი, რომელიც შევარდნაძის დროინდელ კადრებს ისევ შევარდნაძის დროინდელი კადრებით ამარცხებს და **"ოცნებაში"** სიმშვიდის მომნიჭებელიც ვარო! თუ ჭკუით არ იქნებიან **"ნაცები"**, ვიტალი ხაზარაძეს გამოვიყვან ასპარეზზე და ჩაკითხვებზე ჩაპასუხებიც მზად მექნებაო!

# ნინო ჯღარკავა: ხუხა! მოყევი რა არ გაპატია ბიძინა ივანიშვილმა!




ყველას კარგად გვახსოვს, თუ როგორ აქტიურობდა წინა არჩევნებში ხუხაშვილი, რომელიც შემდეგ მოულოდნელად გაქრა **"ქართული ოცნების"** რადარებიდან. მაშინვე გაჩნდა ეჭვი, რომ ხუხაშვილსა და ოცნების თავკაც ივანიშვილს შორის შავმა კატამ გაირბინა. ეს ეჭვი კიდევ უფრო გაძლიერდა მაშინ, როცა ხუხაშვილმა ღია ეთერში დაიწყო ოცნებისტების კრიტიკა.

ჟურნალისტი ნინო ჯღარკავა სოციალურ ქსელში საგულისხმო პოსტს ავრცელებს:

**„ხუხას „სოკარიდან" ფულები რომ ჩაუხსნეს, აზერებს რომ დიდ მაყუთებს თხოვდა ბიძოს ზურგს უკან, რკინიგზაში რომ გადაზიდვების თემა და შავი ფული ჩაუხსნა ღარიბაშვილმა და ბიუჯეტისკენ მიმართა, იმიტომაა ხომ ხეპრე?**

**ვისაც არ შეარგო ირაკლიმ „გემრიელი" ლუკმა ყველა მისი მტერი როგორ გახდა კაცოო? მოყევი, ხუხა, მოყევი რა არ გაპატია ივანიშვილმა! თუ არადა ჩვენ მოვყვებით ყველაფერს, მოვა შენი ღორობის გაშიფვრის დრო. ილოცე, რომ ღარიბაშვილმა პირი არ გააღოს.**

**ხო, კიდევ, სანამ ოცნებას შეუერთდებოდი კახა დამენიასთან ზარი გაიხსენე – ვანო მერაბიშვილს როგორ უთანხმებდი ივანიშვილთან წასვლას, ანუ თქვენიანი ვარ და „ვინერგებიო."**

**ეს პოსტი გეყოფა ერთი თვე სანერვიულოდ და თუ ფაქტებს მოინდომებ, ხომ იცი, რომ არ გაჭირდება..."** – წერს ჯღარკავა.

# თქვენ, პედერასტებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით და მსოფლიოს მოუვლინეთ თითქმის მოუშორებელი განსაცდელი!

ჟურნალისტი გელა ზედელაშვილი საფრანგეთში მომხდარ ტერაქტს ეხმაურება სოციალურ ქსელში წერს:

– „მას შემდეგ, რაც გრანდებმა დატოვეს მსოფლიო პოლიტიკა და მათი ადგილები დაიკავეს პედერასტებმა (ყველანაირი გაგებით), დედამიწას მოედო ახალი ფაშიზმი, ანუ ტერორიზმი!

იოსება პაპამ 5 წელიწადში გაანადგურა ანალოგიური მოვლენა და ისე მიაჩმორა ყველა, დღემდე ბოდიშებს იხდიან (ახლა არ დამიწყოთ დიქტატურაზე ლაპარაკი, მიმიფურთხებია თქვენი სისხლიანი და გაუგებარი დემოკრატიისათვის!!!), თქვენ კი ვერაფერი მოგიხერხებიათ რაღაც დამპალი წარმონაქმნისთვის – ე.წ. ისლამური სახელმწიფოსთვის!

თქვენ, პედერასტებო, ყველა ქვეყნისა უკვე შეერთდით და მსოფლიოს მოუვლინეთ თითქმის მოუშორებელი განსაცდელი!

თქვენ ევროპას შეუსიეთ თვითმკვლელი ტერორისტების განუსაზღვრელი რაოდენობა მაშინ, როცა სამი კინკილა ქართველისთვის არ გემეტებათ ვიზალიბერალიზაცია – მაღაზიებიდან ძეხვს იპარავთო! ამ დროს მილიარდებს ახარჯავთ და ეფერებით თქვენივე ამფეთქებლებს!!!

თქვენ ხართ ცვედნები, ჯერ ვითომ რუსეთს უხურებთ, ზემოდან უყურებთ, არაფრისმაქნის სანქციებს უწესებთ, არაფრისმთქმელ რეზოლუციებს იღებთ, რომელთა არსებობაც მეორე დღესვე გავიწყდებათ, მერე სიმაღლის მიხედვით მიდიხართ პუტინთან და ფეხებში უვარდებით, ფეხსაცმელებს ულოკავთ, დაგვეხმარეო!!!

ამერიკელებს 5 სამგზავრო თვითმფრინავი ისე ჩამოგიგდეს და 3 მრავალსართულიანი შენობა ისე დაგანგრიეს თავზე, დღემდე ვერ მოსულხართ აზრზე! გავარტყი თქვენს თავდაცვისუნარიანობას და უსაფრთხოებას, ჩვენც რომ გვპირდებით!!!

საფრანგეთში დღეგამოშვებით ხოცავენ ათეულობით ადამიანს და სადაცაა, მაგ "ვიშკასაც" (ეიფელის კოშკს რომ ეძახით), მალე წამოგაქცევენ თავზე!!!

კი ვიზიარებ ფრანგი ხალხის მწუხარებას, მაგრამ ყველამ კარგად იცით, რომ ეს არ არის უკანასკნელი!!!"

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ **გიორგი ჯალაღანიას**

# ტრანსფერ ONLINE: 21 ივლისის ტრანსფერები და ჭორები




ესპანური გამოცემა არცა იტყობინება, რომ რაფაელ ვარანმა, რომელსაც კარგი ურთიერთობა აქვს ჟოზე მოურინიოსთან, უარყო პორტუგალიელის წინადადება **"მანჩესტერ იუნაიტედში"** გადასვლაზე. ინგლისური კლუბი მზად იყო, 40 მილიონი ევრო გადაეხადა ფრანგში.

13:10. შკყ შპორტს-ი ირწმუნება, რომ **"ნიუკასლის"** ნახევარმცველი ჟორჟინიო ვეინალდუმი სულ მალე **"ლივერპულში"** გადაბარგდება. **"ნიუკასლში"** მზად არიან, ჰოლანდიელს 25 მილიონ ფუნტად შეელიონ და ვეინალდუმი მალე სამედიცინო შემოწმებაზე გაემგზავრება.

13:15. **"ვესტ ჰემის"** თანამფლობელის შვილმა ჯეკ სალივანმა გაამჟღავნა ინფორმაცია კარლოს ბაკას ახალ გუნდზე. სავარაუდოდ, **"მილანი"** კოლუმბიელს ლონდონელთა რიგებში გაუშვებს. **"ვესტ ჰემმა"** უახლოესი 48 საათის განმავლობაში უნდა მიიღოს პასუხი ბაკასგან.

13:36. **"ბარსელონას"** ვუნდერკინდი ალენ ჰალილოვიჩი, რომელმაც სრულად ვერ წარმოაჩინა საკუთარი ნიჭი კატალონიაში, ბედს **"ჰამბურგში"** ცდის. ფეხბურთელმა უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება. ასე რომ, ეს უკვე შემდგარი ტრანსფერია. კონტრაქტი ოთხი წლით გაფორმდა.

13:47. **"უდინეზემ"** ოფიციალურად გამოაცხადა 5-წლიანი კონტრაქტის გაფორმების შესახებ **"ვალენსიის"** ნახევარმცველთან, როდრიგო დე პაულთან.

13:59. პეპ გვარდიოლამ მიანიშნა, რომ **"მანჩესტერ სიტის"** ლეროი სანეთი გაძლიერება უნდა. **"ამ მომენტისთვის ლეროი "შალკეს" ფეხბურთელია. რა თქმა უნდა, ჩვენ გვქონდა მათ წარმომადგენლებთან კავშირი და იციან ჩვენი დაინტერესების შესახებ"**, – განაცხადა პრესკონფერენციაზე გვარდიოლამ.

14:05. **"იუვენტუსმა"** უარი თქვა ჰაქან ჩალჰანოღლუს შეძენაზე. როგორც ოოტბალლ Iტალია-ს მიაჩნია, ტურინელები შეაშინა 25-მა მილიონმა ევრომ, რომელიც **"ლევერკუზენმა"** ფეხბურთელში მოითხოვა.

14:09. მარიო გიოტცე **"დორტმუნდში"** ბრუნდება. **"ბორუსიამ" "ბაიერნს"** 26 მილიონი ევრო გადაუხადა და ნახევარმცველთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

14:15. **"იუვენტუსს"** მიაწერენ **"ნიუკასლის"** ნახევარმცველის, მუსა სისოკოს მიმართ დაინტერესებას. თჰე უარდიან-ი აღნიშნავს, რომ ინგლისელებს 35 მილიონი ფუნტის მიღება სურთ, ტურინელები კი შეეცდებიან, ფასი 20 მილიონამდე დააგდონ.

14:29. **"ინტერმა"** და აქსელ ვიტსელმა ახალ ტაქტიკას მიმართეს, – აღნიშნავს შპორტ Iტალია. იტალიურ კლუბს არ სურს ბელგიელში 22 მილიონი ევროს გადახდა. ამიტომაც ისინი მზად არიან, ერთი სეზონი მოიცადონ და მომავალ ზაფხულს ფეხბურთელი უფასოდ მიიღონ.

14:34. **"ჩელსის"** ძალიან უნდა ალვარო მორატა და მზად არის, 75 მილიონი ევრო გადაიხადოს, მაგრამ **"რეალი"** არ აპირებს ფორვარდთან დაშორებას, მასთან 2021 წლამდე კონტრაქტს გააფორმებს და წელიწადში 6 მილიონ ევროს გადაუხდის.

14:40. **"ლაციო"** ორი ფეხბურთელით უნდა გაძლიერდეს. ლაპარაკია ფორვარდ ჩირო იმობილესა და მცველ ჯორდან ლუკაკუზე, – იტყობინება შკყ Iტალია. ამ დუეტს დღეს სამედიცინო შემოწმებაზე ელიან.

15:15. ბრაზილიელი განსო უკვე ესპანეთშია და თითქმის დაასრულა **"სევილიაში"** გადასვლა. ნეიმარის მეგობარმა წარმატებით გაიარა სამედიცინო შემოწმება და ჯერი პრეზენტაციაზეა.

15:22. ჟერემი მატიომ **"ბარსელონას"** სხვა კლუბში გაყიდვა სთხოვა. კატალონიელები 10 მილიონ ევროს მოითხოვენ, ხოლო ფრანგ მცველზე კანდიდატები არიან "ბეშიქთაში" და "ლივერპული".

15:31. მინო რაიოლა ირწმუნება, რომ პოლ პოგბა "იუვენტუსს" არ დატოვებს.

16:00. მაურო იკარდიმ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ "ინტერის" ერთგულია და "არსენალში" გადასვლას არ აპირებს: "ინტერთან" 2019 წლამდე მაქვს კონტრაქტი. ეს ჩემი გუნდია. დანარჩენის შესახებ კი კლუბს ჰკითხეთ".

16:20. "ატლეტიკო" არ აპირებს "ბარსელონასთვის" ფორვარდ ლუსიანო ვიეტოს დათმობას. შპორტ.ეს-ის ცნობით, მადრიდელებს ურჩევნიათ, ფეხბურთელი "სევილიას" მისცენ, რადგან "ბარსაში" პირდაპირ კონკურენტს ხედავენ.

16:34. "კრისტალ პალასი" აქტიურად არის დაინტერესებული "ფენერბაჰჩეს" თავდამსხმელით, მუსა სოუთი.

16:45. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ დაასახელა ვისენტე დელ ბოსკეს მემკვიდრე. ეს არის ხულენ ლოპეტეგი, რომელიც ცოტა ხნის წინ "პორტუს" ავარჯიშებდა.

17:30. საბოლოოდ გაირკვა, რომ "რეალის" ახალგაზრდა ფორვარდი ბორხა მაიორალი მომავალ სეზონში "ვოლფსბურგში" ითამაშებს. კლუბებმა მოილაპარაკეს 19 წლის თავდამსხმელის იჯარაზე.

17:41. "ტოტენჰემი" აპირებს კონტრაქტი გაუხანგრძლივოს ერიკ დაიერს. ლონდონელები ნახევარმცველს ხუთწლიან ხელშეკრულებას სთავაზობენ, ხელფასი კი კვირაში 70 ათასი ფუნტი იქნება.

17:51. "რომამ" იჯარით "ატალანტაში" გაუშვა ბოსნიელი მცველი ერვინ ზუკანოვიჩი.

18:00. ოოტბალლ სპანა-ს ინფორმაციით, "ატლეტიკო" და "ბარსელონა" ფორვარდ კევინ გამეიროს გადაბირებას აპირებენ. მადრიდელები მზად არიან, "სევილიის" მიერ მოთხოვნილი 40 მილიონი გადაიხადონ, "ბარსას" კი ეკონომიის გაკეთების იმედი აქვს.

18:08. დევიდ მოიესი, შესაძლოა, პრემიერლიგაში დაბრუნდეს. შოტლანდიელს "სანდერლენდში" ნიშნავენ იმ შემთხვევაში, თუ ამ გუნდს სემ ელარდაისი დატოვებს.

18:37. ბრაზილიელი დეივერსონი, რომელიც შარშან "ლევანტეში" თამაშობდა, ახალ სეზონში "ალავესის" მაისურს მოირგებს.

19:01. "უოტფორდმა" ოფიციალურად გამოაცხადა, რომ შეთანხმებას მიაღწია "მარსელის" მცველთან, ბრის ჯა ჯეჯესთან. კონტრაქტი ოთხწლიანია, ტრანსფერი კი 4 მილიონი ევრო დაჯდა.

19:35. თჰე თიმეს-ი წერს, რომ "სუონსის" ძალიან უნდა "ტოტენჰემიდან" ნახევარმცველის, ნასერ შადლის შეძენა, რომელიც შარშან არც ისე ხშირად ხვდებოდა ლონდონელთა ძირითადში. შეთავაზებული თანხის ოდენობაა – 10 მილიონი ფუნტი.

19:57. "მანჩესტერ სიტის" აკავშირებენ ახალგაზრდა და ნიჭიერ ბრაზილიელთან, გაბრიელ ხესუსთან. ეს ბიჭი "პალმეირასში" თამაშობს და დაახლოებით 30 მილიონი ევრო ღირს.

20:05. "ბილბაოს" ყოფილი ფეხბურთელი ფერნანდო ამორებიეტა ხიხონის "სპორტინგში" გააგრძელებს კარიერას. ამ გუნდში ბასკი "ფულჰემიდან" გადავიდა, სადაც სამი წელი ითამაშა.

20:18. იურგენ კლოპს "ლივერპულისთვის" მაქს მაიერის შეძენა სურს. ეს ფეხბურთელი 20 წლისაა და "შალკეში" თამაშობს.

20:23. "იუვეტუსმა", როგორც იქნა, გააფორმა მარკო პიაცას ტრანსფერი. ხორვატის პრეზენტაცია უკვე შედგა, თუმცა გარიგების დეტალები ჯერ უცნობია.

20:36. როგორც ჩანს, ფერნანდო მუსლერა ევროპას ტოვებს. ურუგვაელი მეკარით აქტიურად არის დაინტერესებული "ბოკა ხუნიორსი", რომელიც მზადაა, "გალათასარაის" 20 მილიონი ევრო გადაუხადოს.

21:02. ჟოზე მოურინიომ განაცხადა, რომ "მანჩესტერ იუნაიტედმა" მხოლოდ 75 პროცენტით შეასრულა სატრანსფერო ნორმატივი. "მე დირექტორატს ოთხი ფეხბურთელის შეძენა ვთხოვე და მათ სამუშაოს 75 პროცენტი შეასრულეს – მოიწვიეს იბრაჰიმოვიჩი, მხითარიანი და ბაი. 31 აგვისტომდე გვჭირდება სამუშაოს დარჩენილი 25 პროცენტის შესრულება", – თქვა პორტუგალიელმა. როგორც ჩანს, ამ 25 პროცენტში პოლ პოგბა იგულისხმება.

21:37. რუმინელი რაზვან პოპა, რომელიც მილანის "ინტერს" ეკუთვნის, ერთი წლით იჯარით "სარაგოსაში" წავიდა, – დაწერა არცა-მ.

# გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა




უკვე გამოვიდა I, II,III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

**სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.**

**წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.**

**თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.**

**ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374**

## იუმორი

– იცი, სეროჟა იტალიაში იყო და ასე თქვა, სოფი ლორენმა გამიღიმაო.

– გაუღიმებდა, აბა რა, მე რამდენჯერაც სეროჟას შევხედავ, იმდენჯერ სიცილით ვბჟირდები.

* * *

– დედიკო, მართლა კომბოსტოში მიპოვე?

– კი, შვილო...

– კომბოსტო საიდან მოხვდა შენთან?

– მამაშენმა მომითრია.

* * *

ქალაქიდან ჩასული აგრონომი სოფლელ აგრონომს ირონიულად ეკითხება:

– და თქვენ ამტკიცებთ, რომ ამ ხიდან ორ ტონა ვაშლს კრეფთ?

– რა თქმა უნდა, არა, რა სისულელეა.

– რაა სისულელე?

– ის, რომ ამ ხიდან ვაშლს ვკრეფთ. ეს კარალიოკის ხეა.

**გარდაიცვალა სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუგო ომი მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, მის დაძირვას რომ ცდილობდა.**




დომენტი ბაგნიძის *მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.*

*კოორდინატებია:* თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48




**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**

ISSN 1987-8966 "ილორი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექრედაქტორი 568-01-21-32
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge